140
1978

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

8

1978

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ახალბედა მექანიზატორის ზურაბ შუშანაშვილის პირველი „გასეირნება" და „ინტერვიუ"

ფო[...] ვ. ბორისენკო[...]

მირონ ხერგიანი

# ჩვენი შრომითი მეთოხნეები

თბილისიდან 30 კილომეტრზე — ულამაზესი საბადურის მთა, გორშევარდენი, და მერმე თიანეთის მისადგომებთან — კოხი! ლაღად მოშრიალე წიფლიანი წარაფების მწვანე ერთფეროვნებას მთელი ფერდობის გაყოლებაზე გაშენებული ფიჭვნარის მუქი-მწვანე გამა აფერადებს, უდაბნოს ოაზისივით თავისებურ ელფერსა და სიცოცხლეს ჰმატებს წიწვოვანთა ნარგავები აქაურობას.

— ბუნების გამრავალფეროვნებისათვის უფროსების მხარდამხარ ჩვენი აღსაზრდელებიც იღვწიან, — მეუბნება თიანეთის სკოლა-ინტერნატის საწარმოო სწავლების ხელმძღვანელი, ქალბატონი ელისო შუშანაშვილი. — თუმცა გაგონილს საკუთარი თვალით ნანახი სჯობია, წამობრძანდით აქეთ. — იგი სამანქანო გზის გადაღმა, შუაგულ ტყეში შემოღობილ ფიჭვის სანერგისაკენ მიმიძღვება.

სანერგეს ბავშვები შესევიან. შორიდან ჭრელ-ჭრულა ყვავილებივით მოჩანან. თითქოს სიოს ქროლვაზე ირწევიანო, სინამდვილეში კი თოხებით ხელში, მარდად დასტრიალებენ ფიჭვის ნარგავებს — მალე კი ბუნების საერთო ზეიმს მათი აწყობილი, გულიანი ხმებიც უერთდება.

„ვთოხნოთ და ვთოხნოთ სიმინდი,
მალე ყანის მკაც მოვათ,
ჩვენთან იქნება სიმღერა,
მტერთან კი დიდი გლოვაო..."

მღერიან პატარები მამაპაპურ ნადურს. ყველამ მშვენივრად იცის თავისი საქმე. სათუთად ეღოლიავებიან ნერგებს, მიწას აყრიან და ძირებს უფხვიერებენ...

„გამოცდილი მემინდვრეები გეგონება, ისე მარჯვედ იქნევენ თოხს..."

— ვფიქრობ გულში ნორჩების შემხედვარე და ვცდილობ მათი ამ შესაშური შრომითი ენთუზიაზმის საიდუმლოს ამოცნობას.

— თქვენი მოსწავლეები სწავლაშიაც ასეთი მოცადები არიან? — ვეკითხები ქალბატონ ელისოს.

— მართალია, მოსწრების თვალსაზრისით ბავშვებში განსხვავება არის, მაგრამ საერთო მდგომარეობა არც თუ ურიგო გვაქვს. რაც შეეხება „შრომით განწყობილებას". ამაზე სჯობს თვითონ ბავშვებს გავესაუბროთ.

— რა გრძნობა მოგაცილებთ ყოველ დილა უთენია მეურნეობის მინდვრებისაკენ? — გულთბილი მისალმების მერე კითხვით მივმართავ ფიჭვის ნარგავებთან მოფუსფუსე პიონერების ერთ ჯგუფს.

სკოლა-ინტერნატის მეექვსეკლასელი ფრიადოსანი მოსწავლე —

მზია ჯინჭარაძე ამბობს:

— მე და ჩემი მეგობრები საერთო სახალხო საქმიანობაში მონაწილეობას პიონერული მარშის—მარშრუტის — „პიონერმშენის" შემადგენელ ნაწილად ვთვლით. სამოქმედო გეგმა ჩვენ ჯერ კიდევ კომკავშირის 60 წლისთავის შესახვედრად სამზადისის პერიოდში, გასული წლის შემოდგომაზე შევიმუშავეთ, ხოლო საქ. ალკკ მე-18 ყრილობის მიერ დასახულმა გრანდიოზულმა ამოცანებმა შრომის წადილი გაგვიორკეცა...

ხვიჩა მათურელი, — მეხუთე კლასის მოსწავლე:

— სახელოვანი კომკავშირის იუბილესთან დაკავშირებით სკოლაში მოვაწყეთ რაზმეულის პიონერული ხაზი. პიონერხელმძღვანელმა, გალინა კახოშვილმა გაგვაცნო საქ. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ პასტუხოვის მოხსენება. შემდეგ ამ მოხსენებიდან გამომდინარე ცალკეულ საკითხებზე რაზმებში გვქონდა საუბარი. აქედან თითოეულმა ჩვენთაგანმა სათანადო დასკვნა გამოიტანა. ამხანაგების წინაშე პირობა დავდეთ, მოწინავენი ვყოფილიყავით შრომასა და სწავლაში.

საუბარში ებმება მეექვსეკლასელი ინგა ჩიტაური:

— ჩვენი მთავარი, ასე ვთქვათ, „მოსამზადებელი უბანი" გახლავთ სკოლის საცდელი ნაკვეთი, სადაც ტრადიციულად ბოსტნეული მოგვყავს. აქ მოწყობილ სანერგეში გამომუშავებული ჩვევები მშვენივრად გამოგვადგა ისეთ სერიოზულ საქმეში, როგორიც არის ფიჭვის ნერგების მოშენება.

მაყვალა არაბული მეექვსე კლასის მოსწავლე, რაზმის საბჭოს თავმჯდომარე:

— შარშან, როგორც შრომის და სწავლის წარჩინებული, ორი თვით ვიყავი წარგზავნილი არტეკში, სადაც უამრავი მეგობარი შევიძინე. ჩემს თანატოლებთან ამჟამადაც მაქვს მიმოწერა, ვუამბობ მათ თიანელი მოსწავლეების შრომით საქმიანობაზე. ყველას ძალიან აინტერესებს, თუ რატომ ავირჩიეთ ინტერნატელებმა საწარმოო უბნად მაინცდამაინც კოხის ტყეების, აქაური ბუნების—ფლორისა და ფაუნის შეფობა. მე უკვე რამდენიმე მათგანს მივწერე, რომ ჩვენი მხარე, ე. ი. საქართველოს აღმოსავლეთის მთიანეთი ისტორიულად მოკლებულია წიწვოვან მცენარეულობას. ჩვენ კი უფროსების დახმარებით ვცდილობთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, „სასიამოვნო დისონანსი" შევიტანოთ ამ ტრადიციულ ერთფეროვნებაში. გვეამაყება კიდეც, რომ ჩვენი უფროსი მეგობრების — კომკავშირლების ამ საშვილიშვილო წამოწყებამ მეტად სასიამოვნო შედეგი გამოიღო. ფშავის ტყეებში ამჟამად კავკასიური ფიჭვის სურნელოვანი მასივები გვაქვს...

ზურაბ შუშანაშვილი, — მეშვიდე კლასის მოსწავლე:

— მაყვალას ნათქვამს მინდა დავუმატო, რომ ჩვენი მარშრუტი — „პიონერმშენი" მარტოოდენ ბუნების მრავალფეროვნებასა და მოვლა-პატრონობაში მონაწილეობას არ გულისხმობს. ადრე გაზაფხულზე ჩვენი სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები აქტიურად ვეხმარებოდით მეურნეობებს თესვისა და სიმინდის მარგვლა-თოხნის ოპერაციებში. შემოდგომობით კი ყოველთვის ვმონაწილეობთ მოსავლის აღებაში. როგორც წესი, ტყეებში ვაგროვებთ გარეულ ხილს, კენკროვანთა ნაყოფს სიონის წვენების ქარხანაში ჩასაბარებლად. ჩვენი ბავშვების სახელზეა აგრეთვე ტონობით ჯართი და მაკულატურა... ეს, რაც შეეხება „პიონერმშენის" მარშრუტით გათვალისწინებულ ამოცანებს. ასეთივე მონდომებით „ვუტევთ" პიონერული მარშის სხვა მარშრუტებსაც.

ბავშვების მეორე ჯგუფი მოშორებით „მიერეკებოდა" თავის სვეს. მე და ქალბატონი ელისო მათკენ გავეშურეთ.

მეექვსეკლასელმა გოგიტა მარაულმა ჩვენთან საუბარში განაცხადა:

— ძალიან მიყვარს ინტერნატის პიონერთა ოთახში ფუსფუსი. აქ ათასნაირი საინტერესო საუბარია მოსწავლეებს შორის. ლამაზად გაფორმებული სხვადასხვა „კუთხეები" ჩვენს გონებას შორეულ გზებზე წარიტაცებს და საოცრებათა სამყაროში გადაგვახედებს ხოლმე. აქ არის წარმოდგენილი „ლენინის კუთხე", სადაც დიდი ბელადის ცხოვრების ამსახველი ექსპონატებია წარმოდგენილი. „ინტერნაციონალური მეგობრობის კუთხე" საზღვარგარეთელი თანატოლების ცხოვრებაზე, პიონერული ორგანიზაციების საქმიანობაზე გვესაუბრება. გვაქვს აგრეთვე სტენდები — „ისინი ჩვენი ბედნიერებისათვის იბრძოდნენ", „შინმოუსვლელნი". „პირველი კომკავშირლები". მე მინდა განსაკუთრებით შევჩერდე ერთ განყოფილებაზე. ეს გახლავთ „ჩვენი სახელოვანი თანატოლები". ვის არ აღელვებს და საბრძოლო შემართებით არ აავსებს ვალია კოტიკის, პავლიკ მოროზოვის და სხვათა სამაგალითო საქმეები. მათი სიმამაცე გადამდებია. „ჩვენ რა შე-


გამოდის 1926 წლიდან

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

# პიონერი

8 აგვისტო 1978

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობა


15844

გვიძლია მათი მაგალითისამებრ მოვიმოქმედოთ მშვიდობიანობის ჟამს?“ — ხშირად დავფიქრებულვართ ხოლმე ამ საკითხზე და როცა პიონერხელმძღვანელის ან მასწავლებლებისაგან პასუხად მიგვიღია — სანიმუშო სწავლა და მიღებული ცოდნის განმტკიცება ველ-მინდვრებზე, ფერმებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში! — უყოყმანოდ მიგვიტანია მათი დარიგება გულთან.

ელისო შუშანაშვილი:

— სკოლა-ინტერნატს შრომითი ტრადიციები ძველთაგან მოსდევს. სწავლის პარალელურად გოგონები „მეოჯახეობის კაბინეტში“ ხელსაქმეს ეუფლებიან. ბიჭები კი ხელობას — დურგლობას სწავლობენ, ერთი სიტყვით, შრომით ჩვევებს იძენენ. სკოლის დამთავრების შემდეგ მათთვის უკვე გარკვეულია ცხოვრების გზა. სასიამოვნოა, როცა მოსწავლე ათწლედის დამთავრებამდე დირექტორთან მოდის და სთხოვს სამუშაოდ მოწყობაში დაეხმაროს. — ასეთი განცხადებები წელსაც მრავლად დაგვიგროვდა. მეათეკლასელებს — ნაირა ბეჟანიშვილს, ნელი არაბულს მეძროხეობის ფერმაში გადაუწყვეტიათ სამუშაოდ წასვლა. მარიამ გოგოჭურსაც მწველაობა განუზრახავს, რუსუდან ქუდიანაშვილი ფაბრიკას უმიზნებს, მალხაზ ნაყოფიასა და ჯამბულ ხარანაულს პროფტექნიკურ სასწავლებელში სურთ სწავლის გაგრძელება, გივი არაბულს მამამისის ხელობა — ჩობნობა იტაცებს, ყიზლარის ველებზე უნდა გალალოს მეურნეობის ცხვარი. გელა ბაინდურაშვილიც, როგორც ახალგაზრდა მეღორე, მამამისს უნდა ამოუდგეს მხარში. ივერი დაიაურიც მამამისის პროფესიას, ტრაქტორისტობას უნდა დაეუფლოს და რომელი ერთი ჩამოვთვალო კიდევ... ეს ფაქტები მასწავლებლებს მხნეობას გვმატებს, რწმენას გვიორკეცებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს შრომას ფუჭად არ ჩაუვლია. ათი წლის მცდელობამ გაგვიმართლა; ჩვენ სწორი გზით მივდივართ...

მეექვსეკლასელი ფრიადოსანი მოსწავლე ნანა პეტრიაშვილი მეგობრების ნათქვამს დასძენს:

— „პიონერმშენი“ მარტოოდენ ფლორის გამრავალფეროვნებას როდი გვისახავს. ჩვენი ვალია გავუფრთხილდეთ ფაუნასაც, დავიცვათ იგი ბრაკონიერთა ხელყოფისაგან. ყურადღება მივაქციოთ ნადირ-ფრინველს დიდთოვლობის ჟამს. ადრე გაზაფხულზე ვიზრუნოთ ტყეებში ჩიტებისათვის „სახლების“ მოწყობაზე...

რაიონის სკოლებმა მთელი ივრისპირა ფართობები „სამოქმედო უბნებად“ დავინაწილეთ, ინტერნატელებმა, ბუნებრივია, კოხი ვირჩიეთ...

* * *

და კვლავ გაისმის ნორჩების ნადური:

„ზღვა თივა გაგვითიბნია,
უმზეოდ გაგვიფენია,
— აილე თორემ დანამავს,
ცაზე ღრუბელი ფენია...“

დავემშვიდობე მასპინძლებს და კიდევ დიდხანს მომესმოდა მათი ამღერებული გულის ხმა.



ყოველ დილაუთენია ხალისიანად მიეშურებიან ინტერნატელი პიონერები სანერგისაკენ

ვსწავლობთ ახალ კონსტიტუციას




# მოქალაქეთა უფლება-მოვალეობა

საქართველოს სსრ ახალი, 1978 წლის კონსტიტუცია, სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის შესაბამისად, ამკვიდრებს მოქალაქეთა მთელ რიგ უფლებებსა და მოვალეობებს; ამასთან წინანდელ კონსტიტუციასთან შედარებით ახალში ბევრი ახალი უფლება-მოვალეობებია განსაზღვრული. უფლებათა სფეროდან ეს სიახლეებია, მაგალითად, ბინის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის მიღწევებით სარგებლობის უფლებები, მოვალეობათა სფეროდან — ბუნების დაცვა, ისტორიული ძეგლების დაცვა-შენახვაზე ზრუნვა და სხვ.

ამ საკითხებს კონსტიტუციაში დათმობილი აქვს მეორე კარი „სახელმწიფო და პიროვნება", რომელიც შეიცავს მე-5 და მე-6 თავებს — „საქართველოს სსრ მოქალაქეობა. მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა" და „საქართველოს სსრ მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი, თავისუფლებანი და მოვალეობანი".

მოქალაქეთა უფლებრივ მდგომარეობას, ჩვეულებრივ, განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკა, მეურნეობის ესა თუ ის სისტემა. აქედან გამომდინარე, ჩვენს სინამდვილეში მეურნეობის სოციალისტური სისტემისა და საწარმოო საშუალებათა და იარაღების სოციალისტური საკუთრების არსებობა უზრუნველყოფს მოქალაქეთა ფართო უფლებებს, აწესებს ვალდებულებათა განსაზღვრულ წრეს.

ბურჟუაზიული ქვეყნების მოქალაქეებისაგან განსხვავებით საბჭოთა მოქალაქეებს აქვთ შრომის, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის, სახელმწიფოებრივ მმართველობაში მონაწილეობის და სხვა უფლებანი. და ეს უფლებები და მოვალეობანი თანაბრად მიეკუთვნება ყოველ საბჭოთა მოქალაქეს.

როგორც საქართველოს სსრ კონსტიტუციის 32-ე მუხლშია ფიქსირებული, „საქართველოს სსრ მოქალაქენი თანასწორნი არიან კანონის წინაშე წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებების მიუხედავად.

საქართველოს სსრ მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა უზრუნველყოფილია ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში".

ამრიგად, ეს თანასწორუფლებიანობა ვრცელდება ქალსა თუ მამაკაცზე, ყველა რასისა და ეროვნების მოქალაქეებზე.

კონსტიტუცია მამაკაცის თანასწორ შესაძლებლობებს ანიჭებს ქალებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ კულტურულ საქმიანობაში და მოითხოვს აგრეთვე ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც საშუალებას მისცემენ ქალებს შრომა შეუხამონ დედობას.

რაც შეეხება რასობრივი და ეროვნული თანასწორუფლებიანობის დაცვას, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონსტიტუციური პრინციპია, რომლის მიხედვითაც „რასობრივი ან ეროვნული განსაკუთრებულობის, შუღლისა ან უგულებელყოფის ყოველგვარი ქადაგება კანონით ისჯება" (მუხ. 34).

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 31-ე მუხლით „სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარგებლობენ საქართველოს სსრ მოქალაქეთა თანაბარი უფლებებით". რესპუბლიკაში ცხოვრობენ აგრეთვე უცხოელი მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირნიც. მათი უფლებები განსაზღვრულია კონსტიტუციის 35-ე მუხლით. საქართველოს სსრ თუ სხვა მოკავშირე სს რესპუბლიკების მოქალაქეების, უცხოელი მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებები სახელმწიფოს მოვალეობაა და, პირიქით, მათზე დაკისრებული ვალდებულებები სახელმწიფოს უფლებაა.

მოქალაქეობის ცნებაში იგულისხმება პიროვნების (ფიზიკური პირის) სახელმწიფოსადმი მიკუთვნება და მასზე ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის გავრცელება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. ამიტომაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის 31-ე მუხლით „საქართველოს სსრ მოქალაქეები საზღვარგარეთ სარგებლობენ საბჭოთა სახელმწიფოს დაცვითა და მფარველობით".

ქვეყნის შიგნით საქართველოს სსრ მოქალაქენი ფლობენ სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და პირად უფლებებსა და თავისუფლებებს.

მოქალაქეთა უფლებებს განსაზღვრავს კონსტიტუცია, მიმდინარე საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები. სახელმწიფოს მიერ ნებადართული ქცევის წესი განსაზღვრულ ფარგლებს მოიცავს. საზღვარდაუდებელი უფლება არ არსებობს. ამიტომაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის 37-ე მუხლით დაკანონებულია, რომ „მოქალაქეთა მიერ უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება არ უნდა ვნებდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს, სხვა მოქალაქეთა უფლებებს".

მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებში იგულისხმება შრომისა და დასვენების უფლება, ჯანმრთელობის დაცვის, მატერიალური უზრუნველყოფის, ბინის, განათლების და სხვა უფლებები; პოლიტიკურ უფლებებში — არჩევნებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლება—შეიტანონ სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წინადადებანი მათი საქმიანობის გაუმჯობესების თაობაზე, გააკრიტიკონ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, გაერთიანდნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებად; პოლიტიკურ უფლებებს მიეკუთვნება აგრეთვე მოქალაქეთა სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების თავისუფლება. ამავე დროს გასათვალის-

წინებელია ისიც, რომ ამ უფლებათა გამოყენება საქართველოს სსრ მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ მხოლოდ „ხალხის ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წესწყობილების განმტკიცება-განვითარების მიზნით“.

რაც შეეხება მოქალაქეთა პირად უფლებებს, საქართველოს სსრ კონსტიტუცია ითვალისწინებს სინდისის თავისუფლებას, პიროვნების ხელშეუხებლობას; კანონი იცავს მოქალაქეთა პირად ცხოვრებას, მიმოწერის, სატელეფონო საუბრებისა და სატელეგრაფო შეტყობინების საიდუმლოებას.

მნიშვნელოვანი სიახლეა მოქალაქეთა უფლება „გაასაჩივრონ თანამდებობის პირების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მოქმედება“ (მ. 56). იმავე მუხლის მიხედვით, თანამდებობის პირთა ისეთი მოქმედება, რომელიც არღვევს კანონს, ამეტებს უფლებამოსილებას, ბღალავს მოქალაქეთა უფლებებს, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

გასაჩივრება ყველა შემთხვევაში მოეწყობა „კანონით დადგენილი წესის“ შესაბამისად.

საქართველოს სსრ მოქმედი კონსტიტუციის 57-ე მუხლით „უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება განუყოფელია მოქალაქის მიერ თავის მოვალეობათა შესრულებისაგან“. ეს იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს კონსტიტუციურ უფლებათა გარდა აქვს განსაზღვრული მოვალეობებიც.

მოქალაქეთა ძირითადი მოვალეობებია საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების დაცვა, სამშობლოს დაცვა, შეიარაღებული ძალების რიგებში სამხედრო სამსახური, სოციალისტური საკუთრების დაცვა-განმტკიცება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ა. შ.

კონსტიტუცია განამტკიცებს შრომის უფლებას (მ 38) მაგრამ ამავე დროს აკანონებს თითოეულ შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობასაც — „კეთილსინდისიერად შრომობდეს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის არჩეულ დარგში, რაც თითოეული მოქალაქის ღირსების საქმეა“ (მ. 58).

მოქალაქეთა მოვალეობებიდან საქართველოს სსრ ახალ კონსტიტუციაში გათვალისწინებულია ბუნების დაცვა (მ. 65), ისტორიული ძეგლებისა და სხვა კულტურულ ღირებულებათა დაცვა-შენახვისათვის ზრუნვა (მ. 66), აგრეთვე მშობლების ვალდებულება, ზრუნავდნენ შვილების აღზრდისათვის, ზრდიდნენ მათ „სოციალისტური საზოგადოების ღირსეულ წევრებად“; თავის მხრივ შვილებიც „მოვალენი არიან ზრუნავდნენ მშობლებისათვის და ეხმარებოდნენ მათ“ (მ. 64).

საქართველოს სსრ კონსტიტუცია მოითხოვს მოქალაქეთაგან, ხელს უწყობდნენ საბჭოთა სახელმწიფოს „ძლიერებისა და ავტორიტეტის განმტკიცებას“ (მ. 60). ამავე დროს კონსტიტუციის მიხედვით ყოველი მოქალაქის „...ინტერნაციონალური მოვალეობაა, ხელს უწყობდეს სხვა ქვეყნების ხალხებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას, საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას“ (მ. 67).

მოქალაქეთა ძირითად უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებულია მოზარდი თაობისა და ახალგაზრდობის ინტერესების დაცვაც.

33-ე მუხლში, სადაც ლაპარაკია მამაკაცებთან ქალების თანასწორუფლებიანობაზე, მითითებულია ისიც, რომ უზრუნველყოფილია „დედათა და ბავშვთა სამართლებრივი დაცვა“ და მცირეწლოვან ბავშვთა დედების სამუშაო დროის თანდათან შემცირება“; ამას გარდა, კონსტიტუციით სახელმწიფო იცავს ოჯახს, „...ქმნის და ავითარებს საბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელს... გასცემს დახმარებასა და შეღავათებს“ (მ. 51).

მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან დაკავშირებით საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუცია მოითხოვს განსაკუთრებულ ზრუნვას მოზარდი თაობის ჯანმრთელობისათვის, კერძოდ — აკრძალვას „ბავშვთა შრომისა, რომელიც დაკავშირებული არ არის სწავლებასა და შრომითს აღზრდასთან“ (მ. 40).

მოქალაქეთა დასვენების უფლების უზრუნველსაყოფად კონსტიტუციაში გათვალისწინებულია „მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება“ (მ. 39); სახელმწიფო „ხელს უწყობს მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას“ — ნათქვამია 24-ე მუხლში.

მოქალაქეთა განათლების უფლებასთან დაკავშირებით ხაზგასმულია ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელება“ (მ. 43).

მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებებიდან აღსანიშნავია ასაკობრივი ცენზის შემცირება. სიახლე იმაში გამოიხატება, რომ „საქართველოს სსრ ყველა მოქალაქეს, რომელსაც თვრამეტი წელი შეუსრულდა, უფლება აქვს აირჩიოს და იყოს არჩეული“ რესპუბლიკის მასშტაბით ყველა რგოლის საბჭოში. ეს ახალგაზრდობის დიდი დაფასებაა, კიდევ ერთი დადასტურებაა ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე ნათქვამი სიტყვებისა: „ჩვენი საზოგადოება ზრუნავს ახალგაზრდობისათვის და ენდობა მას“. საქართველოს სსრ კონსტიტუციით დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების უფლება სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად აქვთ აგრეთვე „სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციებს“ (მ. 96).

მოქალაქეთა უფლების დაცვა საბჭოთა სახელმწიფოს სავალდებულო ამოცანაა. ამავე დროს ყოველი საბჭოთა მოქალაქე თავის მხრივ უნდა უდაოდ ასრულებდეს თავის მოვალეობებს.

არ შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას მოქალაქეთა უფლებების დაცვა, თუ სამშობლოში დაცული არ არის, თუ არ სრულდება სამხედრო ვალდებულება, თუ არ არის განმტკიცებული სოციალისტური ეკონომიკა, თუ მოქალაქეები კეთილსინდისიერად არ შრომობენ და ა. შ.; „საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის არიდება შეუთავსებელია სოციალისტური საზოგადოების პრინციპებთან“ — ჩაწერილია საქართველოს სსრ კონსტიტუციის 58-ე მუხლში.

ამრიგად, მოქალაქეთა უფლებების მთავარი გარანტიაა სამშობლოს ძლიერება, როგორც ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე. „საჭიროა თითოეულმა საბჭოთა ადამიანმა ნათლად შეიგნოს, რომ საბოლოო ანგარიშით მისი უფლებების მთავარი გარანტია სამშობლოს ძლიერება და აყვავებაა. ამისათვის კი თითოეული მოქალაქე პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს საზოგადოების წინაშე, კეთილსინდისიერად იხდიდეს თავის ვალს სახელმწიფოს წინაშე, ხალხის წინაშე“.

საბჭოთა მოქალაქისათვის დამახასიათებელია უფლებათა და მოვალეობათა ურთიერთშეხამება, პირადი ინტერესების დაქვემდებარება საერთო-სახალხო, სახელმწიფოებრივი ინტერესებისადმი და ამ გზით მოქალაქეობრივი ღირსებისა და სიამაყის დაცვა.

გრ. ერემოვი,
პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი



ნუგზარ აფხაზავა

მოთხრობა

მხატვარი ელისო ცაგაძე

1

— სანიკიძევ, გამოიღვიძე, უკვე თბილისში ვართ! — ჩაესმა ბიძინას ნინელი მასწავლებლის დამცინავი ხმა და აქაიქ მერხებს შორის გახმიანებული სიცილიც გაიგონა. „აღარ მობეზრდა ამ დალოცვილს ეს ერთი და იგივე ხუმრობა?“ — წყენით გაიფიქრა და თავი ასწია. არ მიუხედ-მოუხედავს, ინტუიციით მიხვდა, ვინ იცინოდა და ვინ არა: თენგიზას პირი ახლა ღლავივით ყურებამდე აქვს გახეული, ვახუშტის წინწამოყრილ კბილებზე ხელი აუფარებია და ხმამაღლა ხვიხვინებს, ვარდისფერლოყება ვანიკა პინგვინივით ირხევა აქეთ-იქით. ნაზია ირინეს მართლა მთვლემარე ბაჭიასავით მიულულავს თვალები, ხოლო თამილა ისე გულიანად კისკისებს, თითქოს ულიტინებენო... ერთი — ირმა არ იცინის, თავი აუღერია და დაძაბული, სერიოზული შეჰყურებს მასწავლებელს, თუმცა (ბიძინამ კარგად იცის ეს) გულისყური აქეთ აქვს; მიშას კი, მიშა მაჩაბელს, სახეზე ოდნავ შესამჩნევი ირონიული ღიმილი გადაკვრია, დარდიმანდულად, ფეხიფეხგადადებული ზის და საჩვენებელი თითით ძეწკვზე შებმულ „ჟიგულის“ გასაღებს ატრიალებს.

მთელმა კლასმა იცის, რომ დღეს, გაკვეთილების შემდეგ, ბიძინა სანიკიძე და მიშა მაჩაბელი უნდა გავიდნენ და „ერთმანეთს დაარტყან“.

2

ბიძინას მამა ადრე გარდაეცვალა, ისე ადრე, რომ მხოლოდ ბუნდოვნად, დიდი ხნის წინათ ნანახი სიზმარივით ახსოვს მისი მომღიმარე სახე, შავი, ჩხვლეტია ულვაშები და დიდ-დიდი ბრიალა თვალები. მის მდგომარეობაში მყოფი ბავშვების უმეტესობას, ჩვეულებრივ, მამის მოგონებისას სინანულის ხანმოკლე გრძნობა გაჰკრავს ხოლმე. ეგ არის და ეგ. ბიძინა დედამ სულ სხვანაირად გაზარდა. ამ საოცრად მშვიდი, შრომისმოყვარე და თავმოყვარე ქალისათვის მისი მეუღლე ადამიანობის ჭეშმარიტი ნიმუში და ადამიანური სიკეთის სრულყოფილი განსახიერება იყო, ამიტომ შვილის აღზრდისას ერთადერთ ეტალონად და მაგალითად მამის თვისებებს იყენებდა: „ბიძინა, მამას არ გაუხარდებოდა შენი ასეთი საქციელი...“ „შვილო, მამაშენი ამას არ იკადრებდა...“ „არა გრცხვენია? შენს მამას ეს ეკუთვნის შენგან?...“ „იცი, მამა რას იზამდა შენს ადგილას?..“ და სულგანაბულ შვილს მოუყვებოდა ადრე წასული, ლეგენდად ქცეული მამის საინტერესო და ვაჟკაცურ თავგადასავლებს, მისი სამართლიანობის, პირდაპირობის, შეუდრეკელობის, სიმამაცის ამბავს... მართლაც, დედის მოლოდინი და იმედი ახდა. ბიძინა პატარაობიდანვე ცდილობდა ყველაფერში მამისათვის მიებაძნა. ხშირად მის გადიდებულ ფოტოსურათთან დადგებოდა და გარეგნულ მსგავსებასაც ეძებდა — გამოხედვაში, ღიმილში, თავის დაჭერაში — და პოულობდა კიდეც. ზოგჯერ, როცა ვინმეს ნათქვამს ყურს მოჰკრავდა — „ეს ბავშვი სულ მამის კვალზე წავიდაო,“ ან „მამამისს ტყუპისცალივით ჰგავსო“, ან როცა დედა გულში ჩაიკრავდა — „შემოგევლე, შვილო, ზედგამოჭრილი მამაშენი ხარო“, ბიძინას სიხარულისაგან სუნთქვა ეკვროდა.

ერთი სიტყვით, მამა ბიძინას ცხოვრების მუდმივი და განუშორებელი თანამგზავრი გახდა. ასე რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, შეეგუებოდა თუ არა ბიჭი საყვარელი სოფლის მიტოვებას, როცა ერთ ზაფხულის დღეს დედამ ბარგი შეკრა, იმავე საღამოს მატარებელში ჩასხდნენ, მეორე დილით თბილისში, გოგებაშვილის შესახვევში ერთი პატარა ეზოს ჭიშკარში შევიდნენ, ხის კიბეზე სულ სამი საფეხური აიარეს და მომცრო ოთახის კარი შეაჭრიალეს. ბიძინა იცნობდა ამ ოთახს, რომელშიც მამას თავისი სტუდენტობა გაეტარებინა და თითოეულ ნივთს — პატარა მაგიდას, ორიოდე სკამს, რკინის საწოლს და ნაირ-ნაირ წიგნებს — ყველაფერს მისი ხელის სითბო ახლდა. მამა სამუშაოდ სოფელში რომ გაანაწილეს, ოთახი ღარიბ ნათესავს დაუტოვა (მაშინ ძალიან ჭირდა თბილისში ბინის შოვნა), იმ ნათესავმა კი შარშან ბინა მიიღო და ცარიელი ოთახი მთელი ერთი წელი მოთმინებით ელოდა პატრონს. ჰოდა, სწორედ ამ მამისეულ ბინას მოაშურა დედა-შვილმა.

პატარა ეზოში მათ გარდა კიდევ ორი ოჯახი ცხოვრობდა. ერთი — სტუდენტი ქალ-ვაჟი ხანშესულ დედასთან ერთად, მეორე კი — ახალგაზრდა ცოლ-ქმარი და მათი ერთადერთი ქალიშვილი ირმა, რომელიც ბიძინას თანატოლი აღმოჩნდა და სექტემბერში ერთსა და იმავე კლასში მოხვდნენ კიდეც. ირმა მხოლოდ აგვისტოს ბოლოს ჩამოვიდა ბებიას სოფლიდან, ხანშესული ქალი და მისი ქალიშვილიც მთელ ზაფხულს სოფელში ისვენებდნენ, ასე რომ შინ მარტო სტუდენტი ვაჟი იყო, რომელიც სწრაფად დაუმეგობრდა ბიძინას. სტუდენტს მერაბი ერქვა, გეოლოგიურზე სწავლობდა, ბოლო კურსზე, ოცდახუთიოდე წლისა იქნებოდა. გოლიათური აღნაგობის პატრონი იყო, არსენას ბეჭები, რკინის კუნთები დაა კეთილი ღიმილი ჰქონდა.

სოფელში ადრე ადგომას დაჩვეული ბიძინა აქაც უთენია იღვიძებდა. მზის ამოსვლამდე უკვე ფეხზე იყო, საუზმეს სწრაფად მოითავებდა, აივანზე მოაჯირთან ჩამოჯდებოდა და ხელში წიგნს დაიჭერდა. მზის ამოსვლის წინ მერაბიც გამოდიოდა ეზოში.

— დილა მშვიდობისა, ყმაწვილო! — ასძახებდა ბიძინას და თვალს ჩაუკრავდა. — აბა ჰე, შენ იცი, თუ აიღო მეცნიერების საოცნებო მწვერვალები!

უწყინარი, მეგობრული დაცინვა იცოდა მერაბმა, ამიტომ ბიძინა გაუღიმებდა, სალამის პასუხად თავს დაუქნევდა და წიგნს დახურავდა. მერე მთელ საათს მონუსხულივით თვალს ადევნებდა მერაბის ვარჯიშს. მერაბი ჯერ ფუთიანი გირებით ვარჯიშობდა, მერე ორფუთიანებზე გადადიოდა. ბიძინას სულ სათვალავი ერეოდა, რამდენჯერ აჭიმავდა ხოლმე ეს გოლიათი ამოდენა გირს, რომელსაც მერე ბირთვივით გაჰკრავდა და მიწას ისე დაანარცხებდა, რომ ნიადაგი ზანზარებდა.

ერთხელ, ვარჯიში რომ დაამთავრა, წყალი გადაივლო და პერანგი ჩაიცვა, მერაბი აივანს მიადგა:

— ყმაწვილო, სულ წიგნს რომ კითხულობ, სპორტი არ გიყვარს?

— რავა არ მიყვარს! — დასავლური კილოთი მიუგო ბიძინამ და მაშინვე გამოასწორა: — როგორ არა, მიყვარს!

— ყოჩაღ! — გაუხარდა მერაბს. — მაინც, უფრო რომელ სახეობას სცემ პატივს, ჰა, ყმაწვილო?

— ყველას კრივი მირჩევნია, — რატომღაც გაწითლდა ბიძინა.

მერაბმა კმაყოფილებით დააქნია თავი:

— რა უშავს, კრივიც ვაჟკაცური სპორტია, ოღონდ თუ ვინმე უკეთურს არ ჩაუვარდა ხელში... ისე, ჩვენში დარჩეს და, ჩემი აზრით, ცოტა ველური კია. შენ ეს მითხარი, თვითნასწავლი ხარ თუ სადმე სექციაში მეცადინეობდი?

— კი, ვმეცადინეობდი, ცოტ-ცოტას, — ისევ გაწითლდა ბიძინა. — ჯერ უმცროსი ბიძა მავარჯიშებდა სახლში, მამის ძმა. ცნობილი მოკრივე იყო, საქართველოს პირველობის პრიზიორი... მერე სკოლაში ჩამოყალიბდა სექცია და იქ დავდიოდი, სოსო ჟორდანია მასწავლიდა, ოსტატობის კანდიდატი.

— ბიჭოს! შენ არ ხუმრობ, ხომ იცი! იქნებ ისიც მითხრა, თანრიგოსანი ვარო, ჰა?

— კი, მეორე თანრიგი მაქვს.

— ოჰო! ყოჩაღ, ყოჩაღ!

მერაბმა თავისი მძიმე, ვეება ხელი ასწია და ბიძინას მხარზე მსუბუქად ჩამოადო.

— ძალიან გამახარე, ყმაწვილო, ჩემმა მზემ, ძალიან გამახარე, — ახლა უკვე ღიმილით კი არა, სავსებით სერიოზული კილოთი უთხრა. — სპორტი ამ ქვეყნად ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიკეთეა. ოღონდ საქმე ისე უნდაააწყო, რომ სწავლაში ხელი არ შეგეშალოს. ესეც დაიხსომე; არაფერმა გაცდუნოს და ეს სიკეთე ბოროტად არ გამოიყენო! არავითარ შემთხვევაში! მით უმეტეს შენ — მოკრივემ!

— ვიცი. ჩვენი მასწავლებელიც ამას გვეუბნებოდა.

— ჭკვიანი კაცი ყოფილა.

მეორე დღეს მერაბმა ბიძინას მოკრივის ხელთათმანები ამოუტანა, აივანზე მოკრივის განუყრელი იარაღი — „გრუშა" ჩამოუკიდა და უთხრა:

— სპორტს სისტემატურობა უყვარს. მიდი, ივარჯიშე და — შენ იცი! თუ რამე დაგჭირდეს, ნუ მოგერიდება, აქა ვარ!

3

თუ ახალ მეზობლებსა და ბიძინას შორის იმთავითვე კეთილგანწყობილება დამყარდა, სკოლაში, პირიქით, პირველივე დღე უსიამოვნებით დაიწყო.

ბიძინამ გაკვეთილზე დაინახა ირმა, კედლის მხარეს, მესამე რიგში რომ იჯდა, და ისე გაუხარდა, ვითომ წლობით მონატრებულ მეგობარს შეხვედროდეს. გოგონამაც მოუხედა (ალბათ ადრევე ჰყავდა შენიშნული) და გაუღიმა. გაკვეთილის დამთავრების ზარი დაირეკა თუ არა, ბიძინამ ირმასთან მისვლა დააპირა, მაგრამ უცებ წინ შავგვრემანი, მაგრად ჩასხმული, წვრილთვალება ბიჭი გადაუდგა:

— დაიცა, ძმაკაც. ისა, საით მიიჩქარი?

— რა მოხდა?

— წამო, დერეფანში გავიდეთ. ერთი-ორი სიტყვა უნდა გითხრა.

წვრილთვალება ტკეპნით ლაპარაკობდა, თანხმოვნებს განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოთქვამდა და ინტონაციაც რაღაც არაბუნებრივი, არაქართული ჰქონდა. ბიძინას ქუჩაში კი მოესმინა ასეთი კილო, მაგრამ ვერ წარმოედგინა, ვინმე სკოლაში თუ გაბედავდა ამგვარ ლაპარაკს. ამიტომ ეს ბიჭი თავიდანვე არ მოეწონა, მაგრამ დერეფანში მაინც გაჰყვა — გავიგო ერთი, რა უნდაო.

— შენა, ისა, სადაური ხარ? — ჰკითხა წვრილთვალებამ, როცა დერეფნის ბოლოში განმარტოვდნენ. თუმცა ამას რა განმარტოება ეთქმოდა — მაშინვე კიდევ ორი ბიჭი შემოემატათ. ფეხათრევით მოვიდნენ, თითქოს ეს-ესაა მარათონული რბენა დაამთავრეს და არაქათი გამოსცლიათო. ხელები ჯიბეებში ჩაეჩარათ და მხრები აეწურათ.

— ახლა აქაური ვარ, — გაიღიმა ბიძინამ, — თბილისელი.



— ბიჭო, საიდან ჩამოხვედი-მეთქი, ისა, მე გეუბნები! — ხმას აუწია წვრილთვალებამ და „ბიჭოს" მაგიერ თითქმის „ბეჭო" გამოუვიდა, ხოლო „გეუბნებიში" უ ხმოვანი სანახევროდ გადაყლაპა. — გაიგე თუ არა? შენა, ხუმრობის ხასიათზე ხომ არა გგონივარ?!

— გავიგე, — მხრები აიჩეჩა ბიძინამ და თავისი სოფელი დაუსახელა. დაუსახელა და უცებ გაუკვირდა — ან ისეთი რა ვიხუმრე, ან იმისთანა რა მოხდა, ამ ბიჭს გუნება რომ წაუხდინაო, და ისევ მხრები აიჩეჩა.

— შენ იცი, რას გეტყვი?! აქ შენა, ისა, სოფელი ხომ არა გგონია?! — წვრილთვალებამ ბრაზიანი მოზვერივით თავი დახარა და ბიძინას შეუბღვირა. — შენ ეგ სოფლური რაღაცრაღაცეები ჩამოიბერტყე, გაიგე თუ არა? თორემ ხო იცი, ეგრევე, ისა, აჟურში მოგიყვან, გესმის შენა?!

ბიძინას ახლა ის გაუკვირდა, როგორ არ ვბრაზდებიო. ის კი არა, პირიქით, სიცილს ძლივს იკავებდა, ისე უცნაურად და უმიზეზოდ იქაჩებოდა ეს ბიჭი! თანაც რანაირად ლაპარაკობდა, რა საოცარი ლექსიკონი ჰქონდა!

— შენა, ისა, რა გქვია?

— ბიძინა მქვია. ბიძინა სანიკიძე.

— ჰოდა ეგრე. მე კიდევ მიშა მაჩაბელს მეძახიან. დაიხსომე, გამოგადგება.

ზარი დაირეკა. წვრილთვალება ნელა შებრუნდა და ზლაზნით წავიდა კლასისაკენ. ხოლო ორ თანაკლასელთაგან ერთ-ერთმა, ახალნაბანავები გოჭივით ვარდისფერმა და ჩასუქებულმა (აკი მართლა ,,გოჭოს" ეძახდნენ მეტსახელად, სინამდვილეში კი ვანიკა ერქვა), ბიძინას საიდუმლოდ ჩასჩურჩულა:

— შენ მაგას ერიდე, გესმის? ეგ ცოტა ნერვიული ბიჭია..

ეგ იყო. იმ დღეს გაკვეთილების დამთავრებამდე არაფერი მომხდარა.

შინისაკენ მიმავალ ბიძინას ირმა წამოეწია და დაემგზავრა:

— რაო, ხომ არ შეგაშინა მიშა მაჩაბელმა?

— შემაშინა კი არა... საერთოდ ასეთია ეს ბიჭი?

— როგორი ,,ასეთი"?

— რაიმეს სწავლობს?

— შენ ჩინურს სწავლობ?

— ჯერ არა. ისე კი ვაპირებ.

— ჰოდა, ისიც ასე აპირებს, — ჩაიცინა ირმამ. — ყოველი ახალი მეოთხედიდან გამოსწორებას აპირებს, მაგრამ ჯერ საშველი არ დაადგა. ის კი არა, დღითიდღე ხელიდან მიდის. მაგასთან არც დაყვავება გადის, არც გაჯავრება, არც წაყრუება. არც უფროსი იცის და არც უმცროსი.

— მშობლები არ ჰყავს?

— არა ჰყავსო? ჰი-ჰი! არა ჰყავს კი არა... მაგის მამა პროფესორია, რომელიღაც ინსტიტუტში დიდი თანამდებობა უკავია. ამბობენ, კარგი კაციაო, მაგრამ თავისი შვილის ამბავს თურმე თითქმის არ კითხულობს, სულ თავის ნებაზე ჰყავს მიშვებული. საკუთარი მანქანა ჰყავთ. შაბათობით ის მანქანა მიშას განკარგულებაშია, ამბობენ, სადაც უნდა, იქ დააქროლებსო.

— რას მეუბნები?

— მაშ!.. დედა ექიმი ჰყავს. ბებია კი აქვე, ჩვენს სკოლაში მუშაობს. სხვათა შორის, დამსახურებული პედაგოგია.

— კარგი ერთი! თუ ყველა ასეთი კარგი და სახელიანი ჰყავს,ეგ ვიღას დაემსგავსა?

ირმამ ცხოვრებისეული სიბრძნით დატვირთული დიდი ქალივით ამოიოხრა:

— ასეა. მიშას მკაცრად არავინ ექცევა — ზოგი ბებიას, ზოგი დედის, ზოგიც მამის ხათრით. მაგასაც თავს გაუვიდა — კლასიდან კლასში ხომ მაინც გადავყავარო, როგორმე სკოლას დავამთავრებ, ატესტატს ავიღებ და მერე მე და მამაჩემმა ვიცითო. თუმცა ერთხელ მეოთხე კლაში დარჩა, მერე — მეექვსეში. ერთმა და იმავე საგანმა დატოვა — მათემატიკამ. ვინ არ მიუგზავნეს მათემატიკის მასწავლებელს, მაგრამ არაფრის დიდებით სამიანი არ დაუწერა, კლდესავით დადგა და მაინც თავისი გაიტანა.

— მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო, ნათქვამი რომ არის, ისე, არა?

— მაშ! სწორედ ისე გამოვიდა.

4

იმ პირველი საუბრის შემდეგ, დერეფნის ბოლოში რომ გაიმართა, მიშა მაჩაბელს ბიძინასადმი რაიმე ინტერესი არ გამოუჩენია. გაკვეთილებზე, ჩვეულებრივ, წყნარად იჯდა, თუმცა ეტყობოდა, რომ მასწავლებელს თითქმის არ უსმენდა და ფიქრით სულ სხვაგან იყო. თანდაყოლილი ყოყოჩობა საკლასო ოთახში იმდენად არ ეტყობოდა, მაგრამ შესვენებისას დერეფანში რომ გავიდოდა, ინდაურივით გაიფხორებოდა, გაიბღინძებოდა და ისე დადიოდა. უმეტესად უფროსკლასელ ბიჭებთან მასლაათობდა ხოლმე (ასაკით ხომ სწორედ მათი თანატოლი იყო), თუმცა თითქმის ყოველთვის თან ახლდნენ თენგიზა და ვანიკა, თვალებში პირმოთნედ რომ შესჩერებოდნენ და ყველაფერზე თავს უკანტურებდნენ. მთელი კლასი, ორი-სამი ბიჭისა და რამდენიმე გოგონას გამოკლებით, დაშინებული ჰყავდა. თუმცა, მათთვის რომ გეკითხათ, გეტყოდნენ, მიშასი კი არ გვეშინია, ხათრი გვაქვს მისი და ეგააო.

ბიძინამ თავიდანვე ყველაფერს ალღო აუღო (ახალი თვალი უკეთ ხედავს ხოლმე ხინჯსაც და სიკეთესაც!), მაგრამ ჯერჯერობით კრინტს არ სძრავდა (,,მეტიჩრობა არავინ დამწამოსო!"), ვიდრე მალე ორმა შემთხვევამ მკვეთრად არ დააპირისპირა მიშა მაჩაბელთან.

ერთ მშვენიერ დღეს, სექტემბრის მიწურულს, ბოლო გაკვეთილის წინ, შესვენებაზე, ვანიკა მიხურულ კართან სარივით დარჭო, თენგიზა კი პირველ მერხზე შეხტა და მჭახე ხმით გამოაცხადა:

— აბა ერთი მომისმინეთ! ხვალ დილით — გაიგეთ? — ხვალ დილით სკოლაში მოსვლა არავინ გაბედოთ! ვინც ვაჟკაცია, ჩვენთან წამოვა, ზღვაზე გასეირნება გადაგვიწყვეტია! გაიგეთ?! ცხრა საათზე ერთმანეთს ბარნოვისა და პეტრიაშვილის კუთხეში შევხვდებით! ვისაც არ უნდა, სახლში იჯდეს და გარეთ ცხვირი არ გამოჰყოს, თორემ ზეგ დილით რაც მოუვა, თავის ცხვირს დააბრალოს! გაიგეთ თუ არა?!

კლასში უკმაყოფილო დუდუნი გაისმა — მეორე დღეს პირველი გაკვეთილი ქართული ლიტერატურა ჰქონდათ, ლიტერატურის მასწავლებელი ძალიან კეთილი, ძალიან განათლებული და საყვარელი ქალი იყო, ამიტომ ხვალინდელი ,,შატალო" ბევრს არ ესიამოვნა, მაგრამ ხმამაღლა ვერავინ ვერაფერი თქვა.

ბიძინამ მაჩაბელს გადახედა, რადგან იცოდა, რომ განცხადების ჭეშმარიტი ავტორი და ,,შატალოს" თავიდათავი სწორედ ის იყო. მიშა ღია ფანჯარასთან იდგა, ქუჩას გადაჰყურებდა და ვითომ არც კი აინტერესებდა, რა ხდებოდა საკლასო ოთახში, მის ზურგსუკან.

— რა გაზუზუნებთ ფუტკრებივით, გაიგეთ თუ არა, რაც გითხარით? ხვალ გაკვეთილებზე არავინ მოვიდეს-მეთქი, თორემ... — მუქარით თითი გააქნია თენგიზამ.

— მე მოვალ, — თქვა ბიძინამ. არცთუ ხმამაღლა უთქვამს, მაგრამ მაინც ყველამ გაიგონა და უცებ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ა? — მეტი ვერაფერი მოახერხა თენგიზამ.

— მე მოვალ. გაიგე? — ბიძინამ ამხანაგებს თვალი მოავლო. — სხვაც ბევრი მოვა.

თენგიზა მერხიდან ჩამოხტა.

— შენ იცი, რას გეტყვი?!

— არ ვიცი! რა უნდა მითხრა? — მშვიდად ჰკითხა ბიძინამ.

— რა და...

— შეეშვი! — უცებ დაიყვირა მიშამ და შემობრუნდა. — თავი გაანებე! მაგასაც ვნახავთ, ვინ მოვა და ვინ არა. ხვალინდელი დილაც გათენდება!

მეორე დილაც გათენდა და მეშვიდე ,,ა" კლასის ოცდათხუთმეტი მოსწავლისაგან სკოლაში მხოლოდ ათი მივიდა. ქართული ლიტერატურის მასწავლებელმა გაკვეთილი მაინც ჩაატარა, მეორე გაკვეთილზე კი ისტორიის მასწავლებელს სკოლის დირექტორიც შემოჰყვა.

დირექტორმა მკაცრად მოავლო თვალი თითქმის ცარი-

ელ საკლასო ოთახს, მზერა რატომღაც ირმაზე შეაჩერა და მოღუშულმა ჰკითხა:

— რა არის ეს? სხვები სად არიან?!

ირმამ თავი დახარა.

— რას გაჩუმებულხარ? არ იცი?!

დუმილი არ დარღვეულა.

— არც შენ, სოსო? არა? იქნებ ის მითხრათ, ვინ წამოიწყო ეს ამბავი? ვის ეკუთვნის ეს ,,დიდებული‘‘ ინიციატივა?

არავინ შერხეულა.

ბიძინამ ხელი ასწია:

— შეიძლება, პატივცემულო დირექტორო?

დირექტორი შეცბა. ეტყობა, ,,დაკითხვას‘‘ ფორმალურად, ყოველი შემთხვევისათვის ატარებდა, მოსწავლეთა ფსიქოლოგიას კარგად იცნობდა და სულაც არ მოელოდა, რომ ვინმე ხელს ასწევდა და დამნაშავის გამომჟღავნებას იკისრებდა. ამიტომ ხშირი წარბები გაკვირვებით აზიდა:

— გისმენთ!

ბიძინამ მერხზე თითით ჯვარი თუ მიმატების ნიშანი დახატა და წრეხაზი შემოავლო. ჩანდა, სათქმელის დაწყება უჭირდა, ბოლოს, როგორც იქნა, ძალა მოიკრიბა:

— კლასში ყველამ ვიცით, ეს შატალო ვისი წამოწყებაცაა, მასწ... მაგრამ... ძალიან გთხოვთ, ძალას ნუ დაგვატანთ, ნუ გვათქმევინებთ... აი, გპირდებით, რომ ეს უკანასკნელად მოხდა, მეტად აღარ განმეორდება. ეს ერთხელ გვაპატიეთ, მასწ...

დირექტორი, ეტყობა, არ ელოდა საქმის ასე შეტრიალებას. დაფიქრდა, მერე რაღაც გადაწყვიტა, მოსწავლეები მოათვალიერა და ბიძინას თვალი თვალში გაუყარა:

— კეთილი. ვთქვათ, გაპატიეთ. ოღონდ უნდა დავაზუსტოთ: შენ ხომ კლასის სახელით ლაპარაკობ, მაგრამ კლასი გიჭერს კი მხარს? დარწმუნებული ხარ, რომ სიტყვა არ გაგიტყდება? ზერელე ნათქვამ სიტყვას არავითარი ფასი არა აქვს, ხომ იცი?

— ვიცი, მასწ...

საღამოს ბიძინამ ყველაფერი უამბო დედას.

— კი, შვილო, სწორად მოქცეულხარ. არც რამე დაგიმავებია და არც ბიჭობა შეგირცხვენია. მამაშენიც ასე იზამდა, — მოუწონა დედამ.

## 5

მეორე, გადამწყვეტი დაპირისპირება დღეს დილით, პირველსავე გაკვეთილზე მოხდა.

წინა საღამოს ბიძინამ სოფლიდან ბარათი მიიღო. ყოფილი თანაკლასელი მამუკა საბაშვილი საშინელ ამბავს ატყობინებდა:

ერთ საღამოს მათი უახლოესი მეგობარი, ყოველთვის მხიარული და უზრუნველი ვახტანგი თურმე სკოლიდან შინ ბრუნდებოდა (მეშვიდე კლასს გაკვეთილები მეორე ცვლაში ჰქონდა). თემშარიდან ორღობეში შეუხვია თუ არა, რომელიც ბიჭბუჭებით იყო სავსე, შორეული მოსახვევიდან ყვირილი მოესმა. — ,,ბუღა! ბუღა! — განწირული ხმით იძახდა ვიღაც. — ,,ჩქარა ეზოებში, ბავშვებო!‘‘ გოგონები და ბიჭუნები ჯერ გაშეშდნენ, მერე ერთბაშად იხუვლეს, წივილ-კივილით ჭიშკრებს მიაშურეს და ეზოებში შეცვივდნენ. ამასობაში ის ვიღაც მოსახვევიდან გამოვარდა, თან — ,,ბუღა! ბუღაო!‘‘ — ყვირილი არ შეუწყვეტია. ვახტანგი შეჩერდა და იმ წამსვე ვეებერთელა სატევრებივით გაალმასებულრქებიანი, ლაშებზე დუჟმორეული ბუღა დაინახა, რომელიც ზვავივით მოექანებოდა ორღობეში.. იმას, ვინც ყვირილით მორბოდა, ვახტანგი კარგად იცნობდა, ვარლამი ერქვა. ერთ-ერთ ჭიშკარს რომ გაუსწორდა, ვარლამმა უცებ გეზი იცვალა, ერთი ნახტომით ეზოში შევარდა და ჭიშკარი ჭახუნით მიხურა.

გავეშებული ბუღა ერთი შედგა, მიწა დატორა, ავად დაიზმუვლა, მერე უცებ მთასავით მოირღვა ადგილიდან და



დაოთხილი გაექანა ახალი მსხვერპლისაკენ — ხუთიოდე წლის ბიჭუნასაკენ, რომელიც, როგორც ჩანს, თავდაპირველად შიშს გაექვავებინა, მერე კი იმავე შიშს დაეფრთხო და ახლა აცა-ბაცა, ხელებგაშლილი მორბოდა ვახტანგისაკენ. ვიღაცამ უახლოეს ეზოში გულისშემძვრელად დაიკივლა — ცოტაც და, საშინელება მოხდებოდა!.. თითქმის განწირული ბავშვი მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ ვახტანგი მასთან გაცილებით უფრო ახლოს იყო, ვიდრე გაცოფებული პირუტყვი. ვახტანგი არ შეყოყმანებულა — ამას აშკარად ხედავდნენ მეზობლები — ადგილს მოსწყდა და ისარივით გავარდა. ბიჭუნას რომ ჩაუქროლა, ხელი გაჰკრა და ღობისძირისაკენ გადაისროლა. ამასობაში ქშენით მოვარდა ის დაწყევლილი ბუღა. ვახტანგმა მარჯვედ უგანა და ის იყო, მოსახვევისაკენ უნდა გავარდნილიყო (გატყუება უნდოდა), რომ ფეხი გადაუბრუნდა. არ წაქცეულა, მაგრამ წონასწორობა დაკარგა და შებარბაცდა. ეს დაკარგული დრო კი საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ შემობრუნებული ბუღა წამოსწეოდა და რქა ჯოჯოხეთური ძალით ამოეკრა ფერდში. ვახტანგი ჰაერში ავარდა, ღობეს გადაუქროლა და როცა ძირს დეცა, მიწამდე სული არ დაჰყოლია. მყისვე თოფმაც იგრიალა. ბუღამ წინა ფეხებით ჩაიჩოქა, ცხვირი ხმელ ფოთლებში წაჰყო და გვერდზე გადავარდა. მაგრამ რაღა დროს!..

ბიძინა თვალგაშტერებული, გაშეშებული დაუხვდა სამსახურიდან დაბრუნებულ დედას. იმ საღამოს არ უვახშმია, ლუკმა ვერ გადაიტანა, ყელში. არც საკვირველია, რადგან ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა სიკვდილმა ახლობელი ადამიანი გამოსტაცა (მამის დაღუპვა ხომ თითქმის არ ახსოვდა). ღამეც არ უძინია, რაღაცნაირ კოშმარულ ბურანში იყო გახვეული.

დილით მთვარეულივით ადგა და მოშხამული გუნებით წავიდა სკოლაში. ის დილაც მის განწყობილებასავით მძიმე იყო, ღრუბლიანი და უღიმღამო. სკოლა ხომ ძალიან უყვარდა და მუდამ იქით მიუხაროდა, მაგრამ ახლა ეს ნათელი შენობაც პირქუში ეჩვენა. დერეფანი ნელი ნაბიჯით გაიარა და საკლასო ოთახში შევიდა. სულ ათიოდე მოსწავლე დაუხვდა — ჯერ ადრე იყო — ზოგი გაკვეთილს იმეორებდა, ორი გოგონა ხმადაბლა საუბრობდა — გუშინდელ ტელეგადაცემას არჩევდნენ. კუთხეში ვანიკა და მიშა მაჩაბელი იდგნენ. ვანიკას მომუჭულ ხელში ასანთის კოლოფი ეჭირა, ყურზე მიედო და გაფაციცებით უსმენდა: კოლოფში რაღაცა ფხაჭუნობდა. ეს ფხაჭუნი გვერდით ჩავლილმა ბიძინამაც კი გაიგონა. ბიძინამ ჩანთა მერხზე დადო, ფანჯარასთან მივიდა და ზარის დარეკვამდე ქუჩას გადაჰყურებდა, თუმცა ამ ქუჩის ნაცვლად თვალწინ მშობლიური სოფლის სურათები ედგა და თამილამ სახელო რომ ჩამოქაჩა, მაშინღა გაიგო მასწავლებლის შემოსვლა.

ხოლო გეოგრაფიის გაკვეთილზე....

ის იყო, მარინე მასწავლებელმა ახალი მასალის ახსნა დაიწყო, რომ კლასში უცნაური ბზუილი გაისმა. მასწავლებელი წამით შეცბა და დააყურადა, მაგრამ მაშინვე ისევ განაგრძო საუბარი. ბზუილი კი არ შეწყვეტილა და ახლა მასწავლებელსაც შეეტყო ამ მოვლენით დაინტერესება. ეს ბზუილი ხან უკანა კედელთან ისმოდა, ხან ფანჯრის სიახლოვეს, ხანაც კარადასთან, და უცებ ყველამ დაინახა შუა ოთახში, ჭერთან დიდი შავი ბუზი, რომელიც ფეხებზე გამობმულ თეთრი ძაფის ნაწყვეტს მიაფრიალებდა. აღფრთოვანებულმა თენგიზმა წამოიწია და ხელი გაიწოდა, მაგრამ აუცდა; ვახუშტი მერხზე შეხტა, მაგრამ მასაც ხელი მოეცარა; ვერც მალხაზმა შეიკავა თავი, ისიც აიტოტა და წაეტანა, უცებ მერხის ფეხს წამოედო და იატაკს დაენარცხა. ატყდა სიცილი, მერხების ბრახუნი და სულ რამდენიმე წამში მთელი კლასი ისე აირია, რომ მასწავლებელმა ხმის ამოღებაც კი ვერ მოასწრო.

მოულოდნელად კარი გაიღო და კლასში განცვიფრებულმა სასწავლო ნაწილის გამგემ შემოიხედა. ქალბატონი ნინო ალბათ დერეფანში მიდიოდა და ხმაური რომ გაიგონა, იფიქრა, გაკვეთილი ცდებაო. შემოვიდა და ასეთი უცნაური ამბავი კი დახვდა! სასწავლო ნაწილის გამგე მკაცრი ქალი გახლდათ და მოსწავლეებს მისი ძალზე ერიდებოდათ. ამიტომ თვალის დახამხამების უმალ ყველა მოსწავლე თავის ადგილს დაუბრუნდა, კლასი დაწყნარდა, და ამ სიწყნარეში უფრო მკაფიოდ მოისმა საცოდავი ბუზის ბზუილი. ბიძინამ აშკარად დაინახა, როგორ შეენთო სიწითლე მარინე მასწავლებლის აქამდე გაფითრებულ ღაწვებს. სასწავლო ნაწილის გამგემ აიხედა და ძაფშებმულ ბუზს თვალი გააყოლა. მერე ბავშვებს მიუბრუნდა და ხმის აუწევლად, საოცარი, ოლიმპიური სიმშვიდით იკითხა:

— ყველაფერი თქვენს კლასში როგორ უნდა მოხდეს, ჰა?

ამ შეკითხვას პასუხი არ სჭირდებოდა და მოსწავლეები დუმდნენ.

— ვინ გააკეთა ეს? — კითხვა ქალბატონმა ნინომ მარინე მასწავლებელს დაუსვა, მაგრამ მაშინვე მიხვდა — ამ ქალმა ახლა ხმა რომ ამოიღოს, მაშინვე ისტერიული ქვითინი აუვარდებაო, და ისევ კლასს მიმართა: — ვისი ნამოქმედარია-მეთქი ეს?!

პასუხის სურვილი ახლაც არავის გამოუმჟღავნებია.

ბიძინა ბზუილის გაგონებისთანავე მიხვდა, ვისი ნახელავიც იყო მომხდარი სისაძაგლე, მაგრამ რატომღაც არავითარი აღშფოთების გრძნობა არ გასჩენია. მაგრამ ახლა, მარინე მასწავლებლის სატირლად გამზადებულ სახეს რომ უყურებდა, როცა ხედავდა, როგორ ლაჩრულად დუმდა კლასი, ბიჭის მთელი არსება საშინელმა ბრაზმა მოიცვა, რომელიც გუშინ გაგებულმა უბედურების ამბავმა გააასკეცა („ზოგი ჩვენს ასაკში გმირია, ესენი კი...“). ბიძინამ თვალი მიშა მაჩაბლის მერხისაკენ გააპარა და ამ დროს სასწავლო ნაწილის გამგემ სწორედ მასზე შეაჩერა მზერა:

— სანიკიძევ, შენ რაიმეს თქმა ხომ არ გინდა?

ბიძინა შეჩქვიფდა, სახე წამოუწითლდა. ნელა წამოდგა:

— არა, მასწ... მე არა... მაგრამ იქნებ... იქნებ თვითონვე გაბედოს... — თავი ძლივს შეიკავა, რომ მიშა მაჩაბელისაკენ არ მიეხედა. — ადგეს და თქვას...

— გამოტეხისა და აღიარების იმედი ტყუილად ნუ გექნება, ასეთი საქმის ჩამდენი, არა მგონია, დიდი ვაჟკაცი იყოს! — ქალბატონმა ნინომ ჩაიცინა. — თუმცა იქნებ ვცდები, ა, ბავშვებო? იქნებ მართლა ადგება ის „ვაჟკაცი“ და აღიარებს, ა?

კლასში დუმილი იდგა. ის ბუზიც აღარ ბზუოდა, სადღაც ჩამოისვენა ალბათ...

შესვენებაზე დერეფანში არავინ გასულა. ყველა რაღაცის მოლოდინში განაბულიყო. მართლაც, მიშა მაჩაბელი ზლაზვნით წამოდგა, სახეზე შეყინული ღიმილით დაფასთან მივიდა, შემობრუნდა და ბიძინას შეაჩერდა:

— მოდი, ბიჭო, აქ! — როგორც ყოველთვის, ახლაც ტკეპნით თქვა და „ბიჭოს“ მაგიერ ისევ „ბეჭო“ გამოუვიდა.

ბიძინას გულწრფელად გაეცინა:

— შენ ასე საკუთარ შინაყმებს მოუხმე, გაიგე? შენი „ბეჭოები“ შენს ახლომახლო მოიკითხე!

— შენა, ბიჭო, რამე ხომ არ გინდა?! — მერხებისაკენ წამოვიდა მიშა, მაგრამ მოულოდნელად წინ ქვიტკირივით ჩამკვრივებული გია ბურდული გადაუდგა:

— მიშა, ხელი არ გაანძრიო! ხომ იცი, სადაცა ხარ!



— მოიცა! მაგას რა, პირველბიჭობა უნდა?!

— პირველბიჭობა კი არა... შეჩერდი-მეთქი, გეუბნები!

— მომეცალე, თორემ!..

— მე კი გიმეორებ, ჭკუას მოუხმე, ვიდრე გვიან არ არის!

— შენ რა, წითელი ყელსახვევით მაშინებ?

— კი არ გაშინებ, გაფრთხილებ!

გიას მხარში გოჩა ამოუდგა. ნელ-ნელა პაატაც ახლოვდებოდა. ბოლო მერხიდან „გრძელი" სოსოც დაიძრა. მაჩაბელი მიხვდა, რომ ამჯერად უკან უნდა დაეხია... მხრები შეათამაშა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და მოჭუტული თვალებით გახედა ბიძინას:

— შენა, ბიჭო, გაკვეთილების შემდეგ ქვემოთ დაგიცდი. უნდა დავარტყათ.

— დიდი სიამოვნებით! — ხელები გაშალა ბიძინამ. — სიმართლე თუ გაინტერესებს, კარგა ხანია, შენი მიჟეჟვა მინდოდა!

კლასში ხარხარი გაისმა. მოსწავლეთა უმეტესობა გულიანად იცინოდა, და მიშა მაჩაბელისათვის უცებ ნათელი გახდა, რომ თუ დღეს, გაკვეთილების შემდეგ, ბიძინა სანიკიძეს ჩხუბში ვერ აჯობებდა, სამუდამოდ უნდა გამოსთხოვებოდა კლასში „პირველი ბიჭის" სახელს და უფროსკლასელთა შორის მოპოვებულ „ავტორიტეტსაც". ეს ბიძინამაც კარგად იცოდა, მაგრამ ამაზე სულაც არ უფიქრია, გაკვეთილი დაიწყო თუ არა, მიშა მაჩაბელი და მასთან გასამართავი დუელი მაშინვე არარსებულივით დაავიწყდა, ოცნებით ისევ მშობლიურ სოფელში გადაფრინდა და თვალწინ იმ მზიანმა დღეებმა ჩაუქროლეს, რომლებიც ვახტანგთან და მამუკასთან გატარებული ბედნიერი წუთებით იყო სავსე. „რატომ, რა დააშავა?" — აეკვიატა და აღარ მოშორდა ეს კითხვა. თავჩაღუნული იჯდა, სინამდვილეს მთლიანად გამოეთიშა და მოგონებიდან მხოლოდ ნინელი მასწავლებლის დამცინავმა ხმამ გამოარკვია:

— სანიკიძევ, გამოიღვიძე, უკვე თბილისში ვართ!

ეჰ, რა იცოდა ნინელი მასწავლებელმა, რა ცეცხლი დუღდა ბიძინა სანიკიძის გულში!

6

— კობის ქუჩაზე გავიდეთ, — საქმიანი იერით წინადადება შემოიტანა თენგიზამ. ბიჭები სკოლის შენობის წინ იდგნენ, ტროტუარზე. — იქ ერთი შეჩერებული მშენებლობა ვიცი, დიდი მიყრუებული ეზოა. კაციშვილი ხელს არ შეგვიშლის.

— შორსაა? — იკითხა სოსომ.

— არა, აქვეა,ასიოდე ნაბიჯზე. ხუთ წუთში იქა ვართ.

შორიდან მაყურებელი თვალიც კი ადვილად შეძლებდა ორი დაჯგუფების გამოყოფას: მიშა, თენგიზა, ვანიკა და ვახუშტი ერთად მიდიოდნენ; მიშა მაჩაბელი ყინჩად მიაბიჯებდა, მის ჩანთას ვანიკა მიაფრიალებდა, თვითონ კი ჯიბეებში ხელები ჩაეწყო და სახეზე განუშორებელი ირონიული ღიმილი გადაკვროდა. ხუთიოდე ნაბიჯის მოშორებით ბიძინა, გია, გოჩა, პაატა და სოსო მიდიოდნენ, ხოლო მათ ოდნავ ჩამორჩენოდნენ ირმა, ხათუნა და თინიკო.

— ნეტა ესენი რაღას გამორბიან? — გაკვირვებით ჩაილაპარაკა გოჩამ და გოგონებს მიუბრუნდა. — ერთი მაუწყეთ, თუ შეიძლება, თქვენ სადღა მობრძანდებით?

— შენ რა გინდა, გიშლით რამეს? — გამომწვევად მიახალა ხათუნამ.

— მიშლით თუ არ მიშლით, გაკვეთილების შემდეგ შინ რომ უნდა წახვიდეთ, ეს თქვენთვის არ უსწავლებიათ? თუ, იქნებ, სახლის გზა დაგავიწყდათ?

— შენ ნუ გედარდება, არ დავიკარგებით. — თინიკომ ირმას და ხათუნას გადახედა. — არა, გოგოებო?..

„როგორმე უნდა ამერიდებინა ეს ჩხუბი, — სინანულით ფიქრობდა ამასობაში ბიძინა. — ბიძაჩემი სულ მარიგებდა, მოკრივემ თავისი ძალა და ხელოვნება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა გამოიყენოსო. მაგრამ იქნებ სწორედ ეს არის უკიდურესი შემთხვევა? თუმცა არა, მე ხომ საკმაო დრო მაქვს, რომ გადავიფიქრო და უარი ვთქვა?.. ჰე-ჰე, უკან დავიხევ და — მაშინ უნდა ნახოთ მიშა მაჩაბლის გაყოყოჩება, მთლად არ გავა თავს?.. არა და... სოსო მასწავლებელიც დღენიადაგ ჩამჩიჩინებდა: მოკრივეს უწვრთნელ ადამიანთან შედარებით ვეებერთელა უპირატესობა აქვს, დაახლოებით ისეთივე, როგორიც თანამედროვე ავტომატით შეიარაღებულ მეომარს ხელკეტიანი პირველყოფილი ველურის წინაშეო. ამიტომ, გვარიგებდა სოსო მასწავლებელი, მოკრივე ქუჩურ ჩხუბს ყველანაირად უნდა ერიდოსო"...

ბიძინამ მიშა მაჩაბელის განიერ ბეჭებსა და მსხვილ კისერს შეავლო თვალი.

„ რა თქმა უნდა, ღონე კი აქვს, მაგრამ უფრო მოჭიდავეს ჰგავს, ეს ვერ იჩხუბებს... რა ვქნა?.. ავდგებოდი და უარს ვიტყოდი, მაგრამ მშიშარად ჩამთვლიან... ეს გოგოები რაღას

მოდიოდნენ, რა, სეირის ყურება უნდათ?“ — ბიძინას დრო-დადრო ესმოდა მათი ხმადაბალი საუბარი. — „მოდი, გიას, გოჩას, პაატას ავუხსნი, რაშიც არის საქმე, იქნებ გამიგონ?.. მაგრამ ვაითუ ლაჩრის სახელი მომეკეროს? მერე მოცილება არ გინდა?..არა, ჯობს, ისე, მსუბუქად ვიჩხუბო, „ჩრდილთან ბრძოლასავით“, მარტო მარცხენას ვიხმარ, მარჯვენით თავს დავიცავ მხოლოდ... ვაი, დედა აქ საიდან გაჩნდა?!“.

დედა აღმართზე ამოდიოდა, ხელში რაღაც შეფუთული ნივთი ეჭირა. როგორც ჩანს, თავის საფიქრალს ფიქრობდა და ქუჩა რომ გადმოჭრა, ბიძინა და ბავშვები მაშინღა დაინახა.

— აქ რა გინდათ, აქეთ სად მიდიხარ, შვილო?—გაკვირვებით შეეკითხა შემცბარ ბიჭს. ამ დროს ირმაც შენიშნა და ალერსიანად გაუღიმა: — შენც აქა ხარ, კუდრაჭავ? საით გაგიწევიათ/ ასე კოლექტიურად?

— ისე... გამოვიარეთ... — სხვა პასუხი ვერ მოახერხა გოგონამ.

— ისე? — გაუკვირდა დედას. — „ისე“ რას ჰქვია? ან აქ რა სასეირნო ადგილი ნახეთ?

— არა, დეიდა, ავადმყოფი ამხანაგის სანახავად მივდივართ. — ყველასათვის მოულოდნელად წინ წამოიწია თენგიზამ და მწუხარე სახე მიიღო. — დიდი ხანია წევს და...

— არა, არა, ხუმრობს ეგ, დედა, — სწრაფად ჩაერია ბიძინა, დედას წინ დაუდგა და მკლავზე ალერსით მოჰკიდა ხელი. — დედიკო, შენ წადი და მე ახლავე დაგეწევი... სულ ორიოდე წუთში... — და ჩურჩულით დაუმატა: — გეფიცები.

ქალი შეყოყმანდა, ჯერ ირმას შეხედა, მერე შვილს.

— კარგი, შვილო, კარგი, შენ იცი. აბა გელოდები და მალე მოდი. უშენოდ არ ვისადილებ.

ბიძინა ცოტახანს იდგა და უყურებდა, როგორ მიჰყვებოდა დედა აღმართს. რატომღაც გული შეეკუმშა, ღრმად ამოისუნთქა და ჩანთა მარცხენა ხელიდან მარჯვენაში გადაიტანა.

— ჰე, წავედით! — მოუთმენლად წამოიძახა ვანიკამ. — რაღას ველოდებით?

„ნეტავი მამა რას იზამდა ჩემს ადგილას? რა ვიცი, არა მგონია, მასზე უფრო სუსტისათვის ხელი გაერტყა... ან კიდევ მერაბი რას მეტყვის, ამ ჩხუბის ამბავს რომ გაიგებს?.. დედაჩემმა კიდევ რაღა ახლა ამოიარა!“

— მგონი გადაიფიქრა, ხო იცი? — ჩაიხვიხვინა ვახუშტიმ. — ეჰე...

— ჰო, გადავიფიქრე! — მტკიცედ განაცხადა უცებ ბიძინამ. — არ ვიჩხუბებ. მორჩა და გათავდა.

მაჩაბელი იდგა, ბრძოლამოგებული ფალავანივით იღიმებოდა და ძეწკვგამობმულ მანქანის გასაღებს დაუდევრად ატრიალებდა.

გია ბიძინასთან მივიდა, მხარზე ხელი ჩამოადო.

— შეგეშინდა?. — ხმადაბლა ჰკითხა.

ბიძინას გაეცინა:

— შემეშინდა კი არა... უბრალოდ, სისულელეა ეს ჩხუბი. თანაც დედას შევპირდი და...

— გაუშვით, იაროს, დედიკოს ბიჭია! — დაცინვით თქვა თენგიზამ. — დღეიდან უფრო ჭკვიანად იქნება!

ბიძინამ ყურადღება არ მიაქცია, ვითომ არ გაუგონია. მობრუნდა, ირმას მკლავში ხელი გამოსდო:

— წამო, ირმა, წავიდეთ!.. კიდევ ვინმე თუ მოდის ჩვენსკენ? არავინ?.. აბა ჩვენ წავედით.

და, აი, სწორედ ამ დროს მოხდა ის ამბავი, რომელიც მერე კარგა ხანს პირზე ეკერა მათი სკოლის ყველა მოსწავლეს: ირმასა და ბიძინას ჯერ ოცი ნაბიჯიც არ ექნებოდათ, გავლილი, რომ წინ სამი მეცხრეკლასელი ბიჭი შემოეყარათ. ბიძინამ მაშინვე იცნო ისინი — სამივენი მიშა მაჩაბლის მუდმივი თანამოსაუბრენი იყვნენ.

ერთი მათგანი ისეთი აყლაყუდა იყო, დანარჩენ ორს მთელი თავით ასცდენოდა. სწორედ იმ აყლაყუდამ, ირმას გაუსწორდა თუ არა, გოგონას ჩანთას თავისი ჩანთა ჩამოჰკრა და გააგდებინა. ირმა შეკრთა და პირზე ხელი აიფარა, აყლაყუდამ კი ხარხარი ასტეხა და მუხლზე ხელის ტყაპუნს მოჰყვა, ვითომ — მოვკვდი, აღარ შემიძლიაო. ის ორიც სიცილით ჩაბჟირდა.

ბიძინამ გულის კოვზის ქვემოთ უეცარი სიცივე იგრძნო და უცებ პირი გაუშრა. თავისი ჩანთა ნელა დადო ტროტუარზე და ვიდრე წელში გაიმართებოდა, დაინახა: მეშვიდეკლასელები ჯერ არ წასულიყვნენ, იდგნენ და მათკენ იყურებოდნენ. „ნეტა რას უდგანან უსაქმო მოსეირეებივით?“ — ბრაზით გაიფიქრა, ბაგეზე იკბინა და აყლაყუდასაკენ ნაბიჯი გადადგა:

— შენ, მგონი, გელა გქვია, არა? აბა ერთი აქეთ მოიწი, ეს ჩანთა აიღე, გაწმინდე და ამ გოგოს მიაწოდე! — თითი ჩანთისაკენ გაიშვირა.

აყლაყუდა მოულოდნელობისაგან გაშრა, სიცილი პირზე შეაცივდა.

— მე მეუბნები? — მკერდზე თითი მიიდო და მეგობრებს გაკვირვებით გადახედა. — ერთი ჰკითხეთ, მე მეუბნება?

— ჰო, შენ გეუბნები! — ბიძინას საკუთარი ხმა თითქოს შორიდან მოესმა — ყურები დაუგუბდა და იმიტომ. — სწორედ შენ გეუბნები. ჩანთა აიღე-მეთქი, გითხარი!

— მეე?!

— შენ!

ახლა აყლაყუდამაც ნაბიჯი გადადგა:

— შენ მე ვინმეში ხომ არ გეშლები?

— არა! გიცნობ, რა ვიგინდარაცა ხარ!

აყლაყუდამ ავად ჩაიცინა და ირმას ჩანთას ფეხი გაჰკრა, თანაც ბიძინასთვის მზერა არ მოუცილებია. ეს იყო და მერე თვალი ვერავინ შეასწრო, რა მოხდა სულ რამდენიმე წამის განმავლობაში: აყლაყუდას ჯერ გულის კოვზში ეძგერა ბიძინას მარცხენა, მარჯვენა კი ნიკაპში დაეჯახა და იმსიგრძე ბიჭი შუა ქუჩაში გაიშხლართა, თვალის დახამხამებაში იმ ორმაც მისი ბედი გაიზიარა და ხორბლით გატენილი ტომრებივით ზედ დააცვივდნენ თავიანთ გრძნობადაკარგულ მეგობარს.

ბიძინა დაიხარა, ირმას ჩანთა აიღო, ხელისგულით დაბერტყა, მტვერი მოაცილა და თვალებგაფართოებულ გოგონას გაუწოდა. მერე თავის ჩანთას დასწვდა, ირმას მკლავში ხელი მოჰკიდა და იქაურობას ისე გასცილდნენ, უკან არ მოუხედავთ.

...მიშა მაჩაბელი კი...

მიშა მაჩაბელი მეორე დილით სკოლაში არ მოსულა, არც მესამე დღეს გამოჩენილა, არც მეოთხეს. მერე თქვეს, სხვა სკოლაში გადავიდაო.










კომკავშირის 60 წლისთავის შესახვედრად

# სტენდები მოგვითხრობენ

ყოველდღე, 11 საათზე ნელა იღება ქუჩის მხარეს გამავალი ხის მასიური კარი და მზის შუქი ათინათებად ნაწილდება ვრცელსა და მყუდრო დარბაზში.

მერე, ისე ერთბაშად, თითქოს ათეულობით ვარსკვლავი გაბრწყინდაო, ორ სართულზე ჟღნთებიან ნათურები და გაკამკამებული სტენდები საზეიმო იერს იღებენ.

ასე დგება ახალი დღე აქ, საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმში.

მან ცოტა ხნის წინ იზეიმა თავისი დაბადება.

მით უფრო გიკვირს: რამდენი რამის გაკეთება მოსწრებულა ამ მცირე ხანში.

ეს სახლი ჩვენი ქვეყნის მარადიული სიჭაბუკის ვრცელი წიგნია, ფურცელ-ფურცელ გადაშლილი კომკავშირის 60-წლიანი გმირული გზა.

— ნუ ჩქარობ, დროო!

ნურც იმას გაიკვირვებ, თუ გეტყვიან, რომ იმ სტენდთან ჩამუხლული პატარა გოგონა, სადაც პირველ კომკავშირელთა, სპარტაკელთა ცხოვრების ამსახველი ფოტომასალა, კომკავშირული ბილეთები და ბუდიონური ქუდია მოთავსებული, სხვისას კი არა, საკუთარ გზას იხსენებს ახლა.

ეს ასე მოხდა: სიყრმითვე მახლობელი მათი სახელები მასთან, ისევე, როგორც ასეულობით მის თანატოლთან, პირველად ლეგენდებიდან მოვიდნენ, მოგონებებიდან, სიმღერე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიდან და ლექსებიდან მოვიდნენ, და მერე, სულ მალე იგრძნო, რომ ეს ყოველივე განუყრელი იყო მისი არსებისაგან.

ეს იყო ისე ჩვეულებრივი და დიდებული, როგორც ახალი დღის გათენება.

ბორის ძნელაძის პირისპირ მდგარი, იგი ახლა ძველ კომკავშირელებს თავისი სკოლის ამბებს მოუთხრობს.

ბორისს უხარია და გოგონას აღტაცებას არა აქვს საზღვარი.

...თმადათოვლილი ჭაღარა კაცი დიდხანს, ძალიან დიდხანს დგას სტენდთან, რომელზეც 20-30-იანი წლების კომკავშირელთა ცხოვრებაა წარმოდგენილი. ეს ყველაფერი მისთვის წარსულად არასოდეს ქცეულა. უბრალოდ, საქმეში გართულს, შესაძლოა, წუთით მივიწყებია და ახლა ამ ფერგადასულმა სურათებმა უცბად გაახსენეს, როგორც გუშინდელი ამბავი:

„სამშაბათს, 20 აგვისტოს, გაიმართება ზემო-ქედის კომუნის საერთო კრება...“ ერთ-ერთ საკითხზე ინფორმაციით გამოვიდა კობა ჩოხელი, შემდგომში ჩვენი საკოლმეურნეო მოძრაობის ცნობილი მოღვაწე.

შიმშილი, უცხოელ თუ შინაურ მტერთა საბოტაჟი და დივერსიები ვერ გატეხს მათს რწმენას, ვერ შეუსუსტებს ძალას. ისინიააშენებენ ახალ ცხოვრებას, შექმნიან ერთიან მძლავრ საბჭოთა ქვეყანას და უმძიმესი განსაცდელის ჟამს მკერდით დაიცავენ მას ისეთი ღირსებით, როგორც რევოლუციის განახლეგის






ქარ-ცეცხლში შობილ სპარტაკელთა მემკვიდრეებს შეშვენით. მათგან შთაგონებული, პირველ კომკავშირელთა საგმირო საქმეებით აღტაცებული ჭაბუკი მირზა გელოვანი სამშობლოს ერთგულების ფიცად ჩამოძერწავს სტრიქონებს შავნაბადაზე და მერე, დიდი სამამულო ომის გრიგალში დაცემული პოეტი-ჯარისკაცი, თავისი თაობის სახელით ვაჟკაცურ ხმას მიაწვდის მომავალს: „მე ამ ომიდან დავბრუნდები გამარჯვებულ ლაშქართან ერთად...“

და დაბრუნდება. მისი სიცოცხლე გაგრძელდება თაობათა ხსოვნაში, მათ საქმეებსა და ოცნებებში, ვინც ომის ცეცხლიდან ფერფლადქმნილ ქალაქებს ფენიქსივით აღადგენს, ვინც ახალ სიცოცხლეს დაუმკვიდრებს დნეპრჰესს და რუსთავს, ყაზახეთის ყამირსა და კოლხეთის დაბლობს.

სამყარო აღტაცებით შესცქერის მას, ლენინის სამშობლოს, საბჭოთა ქვეყანას. მისი სწამთ და ეიმედებათ ვიეტნამელ მეგობრებს, კუბელ პატრიოტებს, თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩილელ კომუნისტებს... და არ არსებობს ძალა, რომელსაც ამ სოლიდარობის შერყევა შეეძლოს.

რწმენით, ახალი ენერგიით აღვსილი ტოვებ საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმს და აქ ნანახითა და განცდილით აღძრული კიდევ ბევრი ნათელი ფიქრი მიგყვება თან. ახლა თითქოს უფრო ხელშესახებად გრძნობ, რომ შენ, ვინც სიამაყით ატარებ 70-იანი წლების პიონერის სახელს, შენი საქმეებითა და მომავლის მიზნებით აგრძელებ ახალგაზრდა კომუნისტთა უჭკნობ იდეალებს, ლენინური კომკავშირისა, რომელიც თავისი დაბადების სახელოვან მე-60 წლისთავს ეგებება.

თ. მეტრეველი.

ფოტო ვ. ბორისენკოსი.

# პედაგოგი და ლიტერატორი

ოციანი წლების მიწურულს ახალგაზრდები, რომლებიც მწერლობაში ფეხის შედგმას ვაპირებდით, ხშირად შევდიოდით ხოლმე ჟურნალების „პიონერის“ და „ოქტომბრელის“ რედაქციებში.

ერთ დღესაც ამ საბავშვო ჟურნალების რედაქციების დერეფანში ვიდექი. ვხედავ, შემოვიდა ერთი კაცი, რომელსაც დიდი პორტფელი ეჭირა ხელში. რედაქციაში რომ შევიდა, ფანჯრიდან შევხედე, როგორ მიესალმა იგი ყველას და თავისუფალ მაგიდას მიუჯდა. მაშინვე მიუტანეს წერილები და წინ დაუწყვეს. ის უხმოდ შეუდგა სწორებას. ერთი შეხედვითვე დამაინტერესა, თუ ვინ იყო და ვიკითხე. მითხრეს: შალვა თაბუკაშვილიაო. საბავშვო ჟურნალებში თურმე სტილისტად მუშაობდა.

ასე გავიცანი შალვა თაბუკაშვილი. უფრო დავუახლოვდი მას 1933 წლიდან, „პიონერის“ რედაქციაში ერთად მუშაობის დროს. ის მაშინ ამ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრიც იყო. როგორც კოლეგიის წევრი, არ კმაყოფილდებოდა ნაწარმოების მარტო სტილისტურად გასწორებით. ყველა მასალაზე, მათ ავ-კარგზე გულდასმით მსჯელობდა. ასევე კითხულობდა მეორე ჟურნალის, „ოქტომბრელის“ მასალებსაც. მაგრამ მარტო ამითაც არ ამოიწურებოდა მისი საქმიანობა. წერდა მოთხრობებს, თარგმნიდა, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში ეძებდა ბავშვებისათვის საინტერესო მასალებს. ათეული წლების მანძილზე სახელმწიფო გამომცემლობის საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სექტორში არ გამოსულა წიგნი, ენობრივად რომ არ გაეჩალხა. თარგმნა რუსული ლიტერატურის კლასიკოსების—ლ. ტოლსტოის, ი. ტურგენევის, ა. ჩეხოვის და სხვათა ნაწარმოებები.

სად არ შეხვდებოდი შალვა თაბუკაშვილს, — არა მარტო გამომცემლობებში და ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, არამედ სამეცნიერო დაწესებულებებში, სასწავლო-სააღმზრდელო მეთოდურ კომისიებშიც; მოღვაწეობდა სკოლებშიც, როგორც პრაქტიკოსი პედაგოგი და თავგამოდებით იცავდა ქართული ენის სიწმინდეს. ჩვეულებრივი საუბრის დროსაც კი არ ხმარობდა კუთხურ სიტყვებს.

უმაღლესი განათლება მოსკოვში ჰქონდა მიღებული, რევოლუციამდე.

შალვა ტკბილი მოსაუბრე კაცი იყო. თუ რაიმეს შეეკითხებოდი, მაშინვე თავს მიანებებდა მუშაობას, მოიხსნიდა სათვალეს, რაღაც გულიანად მოიხედავდა შენკენ და ღიმილმოფენილი სახით შეუდგებოდა პასუხის გაცემას. პასუხი უბრალო, ზერელე კი არა, საფუძვლიანი, ვრცელი, ამომწურავი იყო.

ჩვენი საბავშვო ჟურნალების შინაარსი მარტო ლექსებით, მოთხრობებითა და ზღაპრებით არ ამოიწურებოდა. საჭირო იყო პატარ-პატარა მასალები ბუნების ბევრ სხვადასხვანაირ უცნაურობაზე, ცხოველთა თავისებურებებზე, ტექნიკის საოცრებებზე და სხვა საინტერესო ამბებზე. შალვას ყოველთვის მომზადებული ჰქონდა ასეთი მასალები.



მაგრამ შალვას საქმიანობა ჩვენს რედაქციაში არც ამით მთავრდებოდა, მან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა, როგორც ლიტერატურულმა მოღვაწემ — საბავშვო ჟურნალებში გამოაქვეყნა საინტერესო მოთხრობები, აქვეყნებდა ლექსებსაც, თუმცა არასოდეს წამოსცდენია, მე მწერალი ვარო. ახლაც მახსოვს მისი რამდენიმე მოთხრობა. გავიხსენებ ერთ მათგანს, რომელიც ამ ორმოცი წლის წინათ დაისტამბა ჟურნალ „ოქტომბრელში“. ეს არის მოთხრობა „ქეთინოს ანგარიში“. სიუჟეტი ასეთია: ავადმყოფმა მამამ პატარა ქეთინო მეზობელთან გაგზავნა დროის გასაგებად. ქეთინომ ამბავი მოიტანა: ხუთი საათიაო. მამას გაუკვირდა. მართალია, დილა იყო, მაგრამ არც ისე ადრე. ხუთ საათზე ხომ ისევ ღამეა ხოლმე. ზუსტი დროის გასაგებად მერე დედა გავიდა. მან თქვა: ათის ნახევარიაო. ამაზე ქეთინომ წამოიძახა: „მეც ეგრე მითხრეს, მერედა, ათის ნახევარი განა ხუთი არ არის?“

ქეთინოს თავისებურმა ანგარიშმა ავადმყოფიცა და კარგად მყოფნიც მხიარულ გუნებაზე დააყენა.

მისი მოთხრობები რომ ახლაც ინტერესმოკლებულნი არ არიან, ეს ერთი ფაქტითაც დასტურდება: როცა საუკეთესო ქართული საბავშვო მოთხრობებისა და ლექსების წიგნი — „იზარდე, მწვანე ჯეჯილო!“ გამოვიდა, მისი ერთ-ერთი მოთხრობა იქაც შეიტანეს. აქვე უნდა გავხსნა მისი ორიოდე ფსევდონიმიც, რომლებსაც იგი აწერდა ხოლმე თავის ნაწარმოებებს, ესენია შ. ფარცხნალელი (იგი სოფელ ფარცხნალიდან იყო) და შ. თ-ლი.

შალვა თაბუკაშვილი ითვლებოდა შესანიშნავ მასწავლებლად და მეთოდისტად. მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

ათეული წლების მანძილზე ჩვენს სკოლებში მესამე, მეოთხე და მეხუთე კლასებში ისწავლებოდა მისი შედგენილი სახელმძღვანელოები მშობლიურ ლიტერატურაში. გამოსცა დიდად სასარგებლო წიგნი „პუნქტუაცია“.

ხომ ასე დიდად იყო დატვირთული შალვა, მაგრამ დასვენების დღეს მართლაც დასასვენებლად იყენებდა. კვირა დღეს მას თბილისში ვერავინ ნახავდა. ნადირობა უყვარდა. ნადირობიდან ხან ნადავლით ბრუნდებოდა, ხან კი ხელცარიელი, მაგრამ ყოველთვის კარგ გუნებაზე იყო. მეუბნებოდა, ნადირობას უნდა შეეჩვიოო, თან დასძენდა: ნადირობა სპორტის ერთ-ერთი საუკეთესო სახეაო. იმდენი მელაპარაკა, რომ ბოლოს და ბოლოს გავყევი სანადიროდ. თოფიცა და ვაზნებიც თვითონ მომცა, ეს იყო 1934 წლის ზაფხულში.

კვირა დღეს დილაუთენია გავედით თბილისის რკინიგზის სადგურში. ჩავსხედით მატარებელში. შალვას გარდა სხვებიც მოდიოდნენ სანადიროდ. ყველანი იცნობდნენ ერთმანეთს. ერთმა შალვას ჩემზე ჰკითხა:

— ეს არასოდეს მინახავს, მონადირეა?

— არა, ახლა უნდა შევაჩვიო.

— თუ შედეგიანი გამოდგა დღევანდელი ნადირობა, მერე იქნებ მართლა შევეჩვიო, — ვთქვი მე.

— ერთმა დღემ გული არ უნდა გაგიტეხოს, — მითხრა იმ უცნობმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შვილო

**მ ი ნ დ ი ა  ა რ ა ბ უ ლ ი**

შვილო, უნდა მაგრად იდგე,
ქარმა ტანი არ დაგიძრას
ან ვიღაცის შურის ცეცხლმა
სახლ-კარი არ გადაგიწვას!
შვილო, მუდამ შენი გქონდეს
ლხინიცა და გასაჭირიც,
ვინმემ ძვირი თუ შეგკადრა,
შენ არ ჰკადრო მასაც ძვირი!
შვილო, სუსტს და შენზე მდარეს
არასოდეს არ დასცინო,
ჩამოშორდი მას, ვინც ლუკმის
მოპოვებას არმად ცდილობს!
შვილო, შენი გულის დარდი
ხშირად არსად დაიჩივლო,
შენ რომ გეყოს, იმდენ ნუგეშს
ვერვინ მოგცემს მაინც, შვილო!
შვილო, ახლო მეგობარი
მუდამ ახლო დაიგულვე,
იცოდე, რომ მარტოდმარტო
ვარდიც ვერ ითაიგულებს!
შვილო, სხვის ქალს ნუ შეირჩენ,
შენიც არვის შეარჩინო,
ყველას გვერდზე ნუ დაჯდები,
ნუ ენდობი ყველას, შვილო!
შვილო, შენ ხარ შენი თავის
ერთადერთი გამგებელი,
თუ გსურს, ბოლოს ყვავილს კრეფდე,
ამთავითვე დარგე ბევრი!
შვილო, უნდა ყველაფერი
დაინახო მშვენიერად,
ყველაფერზე წმინდად გწამდეს
შენი ერი, შენი ენა!
შვილო, სიტყვა მტკიცე გქონდეს,
მტკიცე გქონდეს მუდამ რწმენა,
არ შეკრთე და არ დაიბნე,
გზაზე ჯანღი თუ დაწვება!
შვილო, მკაცრმა საწუთრომან
ხშირად იცის ახირება —
გაჭირვებაც იქვე არის,
სადაც არის დალხინება!
შვილო, გული უმიზეზოდ
არაფერზე აიყარო,
უნდა ხელად ჩამოწმინდო
ამღვრეული ფიქრის წყარო!
შვილო, წუთისოფლის ბოლოს
სიმწარეს რომ არ იმკიდე,
ტვირთი შენი წასაღები
შენ თვითონვე აიკიდე!
შვილო, რამე თუ შექმენი,
თუ აიგე თბილი ბუდე, —
იცოდე, რომ ყველაფერში
მეგობარსაც წილი უდევს!
შვილო, ცრუ და ლაზღანდარა
ახლოსაც არ გაიკარო,
არ მიენდო მას, ვინც ზოგჯერ
კარგკაცობს და კაიქალობს!
შვილო, რომ ჩვენს მწვერვალებზე
წყნარი სიო თამაშობდეს,
გზა უშიშრად გადუღობე
გრიგალებს და ქარაშოტებს!
შვილო, ვინაც რა უნდა ქნას,
რასაც უნდა ქადაგებდეს,
ვინმე კარზე თუ მოგიხტა,
შეაკვდი და არ დანებდე!
შვილო, დაე შენს მამულში
შენი ხარი ბალახობდეს,
სამშობლოს რომ დაიფიცავ,
გულში ხინჯი არა გქონდეს!
შვილო, ხნულში ნაცნობ-უცნობს
სიკეთე რომ ათესვინო,
შენს გასავლელ საწუთროში
დიდი განსჯა გმართებს, შვილო!

მივყვებოდი მონადირეებს, მაგრამ განა ხელცარიელი — ზურგჩანთა სავსე მქონდა საგზლით. პატარა კუპრიელით წითელი ღვინოც მიმქონდა. ეს მე ვიცოდი, თორემ არც შალვამ და არც აკაკი რეხვიაშვილმა (სახელმწიფო გამომცემლობის საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამგე და ჟურნალ „პიონერის" რედაქტორი) არ იცოდნენ.

ჩამოვედით იქ, სადაც შალვას კარგი სანადირო ადგილები ეგულებოდა. მზე ჯერ კიდევ არ იყო ამოსული.

— აქ ფრინველებიც არის და კურდღლებიც, — გვითხრა შალვამ.

დაუვიწყარია ის დილა ჩემთვის. ფრინველების რა ხმა აღარ ისმოდა: ჭიკჭიკი, გალობა, სტვენა, ჭახჭახი...

მზე კარგად წამოიმართა.

ფრინველთა გნიასი თანდათან დაცხრა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ერთი ჩიტიც აღარ ჭაჭანებდა იმ არემარეში.

არც კურდღელი ჩანდა!

— ალბათ გაიგეს, „განთქმული" მონადირე რომ ჩამოვედი და ყოველი სულდგმული მიიმალა, — გავიხუმრე.

— შენ არაფერ შუაში ხარ. იცის ხოლმე ასე, — მითხრა შალვამ.

— მაშ, რაკი ასეა, დავსხდეთ ჩრდილში, დანაყრება მოგვიხდება, — ვთქვი მე.

შალვამაც მხარი ამიბა:

— დანაყრება არ იქნება ურიგო საქმე.

— ეს უფრო ნაღდია, — წამოიძახა აკაკიმ.

მოვძებნეთ კარგი ჩრდილი, დავსხედით.

მოვხსენი თავი ზურგჩანთას და ამოვალაგე სანოვაგე. კუპრიელიც გადმოვდე გვერდზე.

კარგად ვისაუზმეთ. წამოვწექით. წავიძინეთ, რომ გავიღვიძეთ, ისევ სანადიროდ მოვიმართეთ. კარგა ხანს ვიარეთ, ვუთვალთვალეთ, მაინც არაფერი გამოჩნდა. ერთი კურდღელი კი დავინახეთ, მაგრამ ისე შორს იყო და ისე გარბოდა, სროლა არ ღირდა. ის იყო და ის!

შალვა მაინც კმაყოფილი იყო, თავისებური ღიმილით დინჯად ამბობდა: თუმცა ვერაფერი ვინადირეთ, მაგრამ ბუნების წიაღში ხომ გავატარეთ მთელი დღეო.

როცა მოხუცდა და შორს აღარ შეეძლო წასვლა, ჩემთან გამოივლიდა ხოლმე (მეზობლად ვცხოვრობდი), მეტყოდა: წამო, ვაკის პარკში გავისეირნოთო. აბა, უარს როგორ ვეტყოდი. ვაკის წარმტაცი, ამწვანებული პარკის ხეივნებში ხან ერთგან, ხან მეორეგან შეჩერდებოდა ხოლმე და იტყოდა: რა შეუძლია ადამიანის ხელს! აქ წინათ ხრიოკი იყო, ახლა კი მწვანეშია ჩაფლული.

ბოლოს შინიდანაც ველარ გამოდიოდა. უხაროდა, მეგობრები რომ მოინახულებდნენ.

წლევანდელ 29 მარტს უნდა შესრულებოდა შალვა თაბუკაშვილს დაბადების 85 წელი. იგი უკვე რამდენიმე წელია ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ საბავშვო ჟურნალების რედაქციებსა და პედაგოგიურ საზოგადოებრიობაში ყოველთვის მადლიერებით იგონებენ მის სახელს.

ლავრენტი ჭიჭინაძე.



# ზნეობის ანბანი

## სულმდაბლობა — უსინდისობა, სისაძაგლე

ნათქვამია: ახალშობილი ქაღალდის სუფთა ფურცელს ჰგავსო. იგი არც ცუდია და არც კარგი. იბადება კითხვა: საიდან ჩნდებიან სულმდაბლები, ვისგან იზრდებიან კეთილშობილი ადამიანები? ადამიანი თვითონ ქმნის საკუთარ თავს, აი რაშია საქმე. ადამიანი თვითონ აყალიბებს თავის პიროვნებას, იმიტომ რომ იგი ადამიანია. ასე განსაჯეთ, თვით ყველაზე შემზარავ სისაძაგლესა და სულმდაბლობას ადამიანი მხოლოდ იმიტომ სჩადის, რომ ის ადამიანია. არ გეგონოთ, რომ ყველაზე შავბნელი, რაც დედამიწის ზურგზე არსებობს, მხოლოდ ბრიყვი და სუსტი ადამიანების მიერ იყოს შექმნილი. პირიქით, ძალა შემზარავსაც აქვს, ძალა აქვს ბოროტებასა და სიმდაბლეს.

საქმე იმაშია, რა ძალა ჭარბობს ადამიანში.

ჩვენს ყოფას იმიტომ ეწოდება საბჭოური, ხოლო ჩვენს ქვეყანას იმიტომ ეწოდება სოციალისტური, რომ ჩვენში ყველაფერი ადამიანისთვისაა, იმისათვის, რომ ადამიანში ამოიზარდოს სიკეთისა და ჰუმანურობის ყლორტები, ხოლო ბოროტების, სიმდაბლის ყლორტი დაჭკნეს და გადაშენდეს. და მაინც სიმდაბლე არის, არსებობს. ყველაზე იოლი იქნებოდა მისთვის წარსულის გადმონაშთი გვეწოდებინა, მისთვის გადაგვებრალებინა, რაც ჩვენამდე იყო. მაგრამ საიდანღა გაჩნდა გაზეთში ასეთი ცნობა: ბანდიტმა მოკლა სახალხო რაზმელი, ვერაგულად პირდაპირ სახეში ესროლა ტყვია. ეს ხომ ახლა მოხდა, ჩვენს დღეებში, ბანდიტიც ახალგაზრდა კაცია, ომის შემდეგ დაბადებული, წარსულისა მას არა გაეგება რა. საიდან ჩნდება რიგში უხეში აყალმაყალი, ანდა მოზარდი ბაზრული ლანძღვა-გინებით რატომ იკლებს ხანდაზმულ ქალს, რომელიც მას ბებიად შეჰფერის? არა, აქ წარსულს ვერ მოიშველიებ, აქ მხოლოდ აწმყოზე უნდა ფიქრი.

...ბისტროვკაში მეათეკლასელმა ბიჭმა გოგონას ფეხი დაუდო, გოგონა დაეცა. იგი სათვალეებს ატარებდა. დაცემისას სათვალე გატყდა და გოგონას მთლად დაუსერა სახე.

როგორ გგონიათ? ამხანაგებიდან რომელიმემ გაჰკიცხა ეს ბიჭი? სილა გააწნა? ღირსი კი იყო, მე, მაგალითად, მხარს ვუჭერ ამას, ძალზე აქტიურადაც ვუჭერ მხარს, რადგან ასეთ სილას შეუძლია ტვინის სასიკეთოდ შებრუნება... აქ კი პირიქით მოხდა, „აზრისა და ინტელექტის გიგანტები" სხვა კლასებიდან გარს შემოერტყნენ გოგონას და სიცილი ატეხეს.

...კალგასაში მეხუთეკლასელებმა კარზე ჩექმა შემოდეს. სახელურს როგორც კი გამოსწევს კაცი, ჩექმა თავზე დაეცემა, რაღაც ხაფანგივით არის. მე პრინციპში ხუმრობა, ოინები მიყვარს, ცხადია, თუ ისინი ახლო მეგობრებზეა გამიზნული და ისიც გაკვეთილების შემდეგ. მაგრამ ბავშვებმა ეს ხაფანგი გერმანული ენის მასწავლებელს მოუწყვეს. ეს ჩექმა გახლდათ ამ კლასის მოსწავლეთა „სიბრძნის" მწვერვალი.

...ვლადივოსტოკის ერთ-ერთ სკოლაში თურმე ასეთი წესია დაკანონებული: კლასში რომ ახალი მოსწავლე მოვა, აბუჩად იგდებენ, მოსვენებას არ აძლევენ, საჩხუბრად იწვევენ. შემდეგ ჩხუბი იმართება ფარდულებს უკან, ახალმოსული ებრძვის ადგილობრივ ბავშვს. „მაყურებლები" ტაშს უკრავენ გამარჯვებულს. ნამდვილი გლადიატორების ბრძოლაა! ამ ბრძოლას მხოლოდ ერთი რამ აკლია — კეთილშობილება; ადგილობრივს მხარს უჭერენ, თუ ჩხუბს წააგებს; შესაძლოა მიეშველონ კიდეც, ახალმოსული კი მარტოდმარტოა, საკუთარი თავის ანაბარა. თუ სცემენ — მოიდრიკება, საერთო „ნებას" დამორჩილდება.

როგორც ხედავთ, წერილები სხვადასხვაა, ადგილებიც სხვადასხვა, საერთოა მხოლოდ ერთი — სულმდაბლობა, სისაძაგლე.

და აქ მე კვლავ შეგახსენებთ სუფთა ფურცელს. ადამიანი დაბადებითვე არც კარგია და არც ცუდი. ადამიანი საკუთარ თავს თვითონ ქმნის ადამიანად. იგი თვითონ არის საკუთარი თავის აღმზრდელი.

ზოგიერთი, განსაკუთრებით უფროსები, ჩემს შეხსენებაზე უთუოდ მისაყვედურებენ, რომ მე მეტისმეტად ბევრს ვაკისრებ თვითონ ბავშვებს, ყველაფერი მათზე როდი არის დამოკიდებულიო: არის სკოლა, მასწავლებლები, კინო, წიგნები, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაცია. ის ბისტროვკელი მეათეკლასელი, მაგალითად, ხომ კომკავშირელი იქნებოდა...

სიმდაბლე სიმდაბლეა. და თუ ადამიანმა მოასწრო და სიმდაბლე ჩაიდინა, მან ამით ჭუჭყიანი სტრიქონი ჩაწერა იმ თეთრ ფურცელზე. ამაოა ფიქრი იმაზე, რომ მისი გადასწორება შეიძლება! მაგრამ, საბედნიეროდ, მას წინ მთელი სიცოცხლე აქვს და ამით საშუალება ეძლევა იმ ფურცელზე ნათელი სტრიქონებიც ჩაწეროს.

ორიანს თუ ხუთიანს ფურცლის ბოლოს თვითონ ცხოვრება ჩაწერს. პირველი სტრიქონი ცხოვრების დასაწყისია. კარგი, კეთილი, ჰუმანური — თესლივითაა: ღივდება და აღმოცენდება.

ა. ლიხანოვი

აი, რა წერილი გაუგზავნა გაზეთს 19 წლის ქვის ხურომ კიევიდან: „გოგონასთან ერთად მოვდიოდი. ორნი შემოგვხვდნენ, ჯერ შეურაცხყოფა მოგვაყენეს, მერე კი — დამარტყეს!. და ჩემთვის სრულიად მოულოდნელად გავიქეცი. უკანასკნელი მხდალივით გავიქეცი და მივატოვე უმწეო გოგონა..."

მეორე წერილი სამედიცინო სასწავლებლის მოსწავლე გოგონების ჯგუფს ეკუთვნის:

„ჩვენს სასწავლებელში იყო მასწავლებელი, რომელიც გვიყვარდა და პატივს ვცემდით: არ ვიცით რაში ვერ „შეთანხმდნენ" სასწავლებლის დირექცია და ჩვენი მასწავლებელი, მაგრამ ის კია, რომ ჩვენც აღმოვჩნდით ამ კონფლიქტში ჩარეული. გვაიძულეს ხელი მოგვეწერა ამ პედაგოგის საწინააღმდეგოდ შეთხზულ წერილზე... იძულებულს გვხდიან ვიყოთ მდაბალი, ცრუ. და ჩვენც უკვე ვდუმვართ, ხმას არ ვიმაღლებთ, ვეთანხმებით, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიცით, საკუთარი ძალით, სულერთია, სიმართლეს ვერ ვიპოვით".

ამ წერილის ავტორებს პირწმინდად ავიწყდებათ, რომ გასაჭირში თვითონ ისინი კი არ არიან ჩავარდნილნი, არამედ მათი „საყვარელი და პატივსაცემი" ადამიანი. და რომ, შესაძლოა, სწორედ მათ მიაყენეს იმ ადამიანს ყველაზე მაგარი დარტყმა. მიაყენეს დარტყმა, დაკარგეს „სიმართლის რწმენა" და ახლა შველას ითხოვენ, დაგვეხმარეთ, სინდისს არ ვუღალატოთო.

მიაქციეთ ყურადღება, მათ აღშფოთებას იწვევს ყველა და ყველაფერი, საკუთარი თავისა და საკუთარი ქცევის, საკუთარი საზიზღარი გამცემლობის გარდა.

ქალიშვილებს „მოსთხოვეს" წერილობით დაედასტურებინათ ცილისწამება მასწავლებელზე. და ბევრმა მათგანმა ამ ცილისწამებას ხელი მოაწერა!

კაცმა რომ თქვას, რა საშიშროება ელოდათ მათ? რა, უბედურება, რომლითაც შეიძლებოდა, თუნდაც საკუთარი თავის წინაშე, გაგემართლებინათ ეს სისაძაგლე? ჭეშმარიტად ზნეობრივი ადამიანები არ პატიობენ საკუთარ თავს ცრუმოწმეობას მაშინაც კი, როდესაც ნამდვილად არაფრის ძალა არ შესწევდათ; მაშინაც კი, როდესაც მათ აპატიებენ ხოლმე ისინი, ვისაც ცილი დასწამეს. ზიზღი ცილისწამებისადმი — მორალის ერთ-ერთი ყველაზე ბუნებრივი და აუცილებელი ნორმაა ისევე, როგორც ზიზღი გამცემლობისადმი.

მე თვალს არ ვხუჭავ არც ამ კონფლიქტის მეორე მხარეზე. გოგონების მოქმედება, როგორც ჩანს, მხოლოდ შედეგია. იგი გამოწვეულია პედაგოგების მიერ ჩადენილი, როგორც ადამიანური, ასევე კანონიერების თვალსაზრისით საზიანო ქმედებით. მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა, და არც ამ გოგონების გასამართლებლად გამოდგება.

მხოლოდ გამოუცდელობით, ახალგაზრდული გულუბრყვილობით შეიძლება რამდენადმე აიხსნას მოსწავლეთა ეს ყოვლად დასაგმობი პოზიცია მთელ ამ საქმეში.

რედაქციაში გამოგზავნილი წერილიც ანონიმური იყო, და უკვე ამით მისმა ავტორებმა თითქოსდა თავიანთი საკუთარი მოვალეობის, პასუხისმგებლობის ზღვარს იქით გადასწიეს სამართლიანობისათვის ბრძოლის „ფრონტი".

ისინი შეშინდნენ, წერილი ანონიმურად გამოაგზავნეს და ამით საკუთარ სინდისს უღალატეს — შედეგი კი, როგორც ხედავთ, სულმდაბლობა გამოვიდა.

გამოსავალი კი იყო: მისულიყვნენ განათლების განყოფილებაში, ადგილობრივ გაზეთში, რჩევა ეკითხათ. ჩვენ თითქმის ყოველთვის თვითონ ვწყვეტთ, ვუღალატოთ თუ არა ჩვენს საკუთარ სინდისს. ამაში ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ჩვენს არჩევანზე ძალიან ხშირად დამოკიდებულია სხვა ადამიანის პატიოსანი სახელი და ღირსება.

ჭეშმარიტება ნათელია: ყველა ადამიანი ვიღაცისთვის ახლობელია და საბოლოო ჯამში ცხოვრებაში ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენგან იღებს სათავეს და ჩვენვე გვიბრუნდება.

ჭეშმარიტება ნათელია, მაგრამ... არც თუ ისე ადვილია ყოველთვის იყო ზნეობრივად პრინციპული. ბევრ რამეს განაპირობებს ის, ვამართლებთ თუ არა ჩვენს უნებლიე თუ ნებისმიერ განდგომილებას, თუ სირცხვილი გვწვავს ამ ჩავარდნებისა და უღირსი საქციელის გამო? სწორედ სირცხვილი, ეს, როგორც კ. მარქსი ამბობდა, ადამიანის შიგნით მიმართული მრისხანება, აუცილებელია წაბორძიკებული კაცისთვის. სწორედ მას ძალუძს მოაშოროს ადამიანის სინდისს მორალური დაცემის ობი.

ა. რომანოვი.

## სიმშვიდე სჯაბნის სიფიცხეს

### პ. ლარუსი

ერთხელ ფრანგი პოეტი ლამოტი თეატრიდან გამოდიოდა და ერთ ჭაბუკს შემთხვევით ფეხი დააბიჯა. გულმოსულმა ჭაბუკმა პოეტს უბიძგა და სილა გააწნა.

— თქვენ, ბატონო, იმის გამო, რაც ჩაიდინეთ, გული დაგწყდებათ, — უთხრა პოეტმა, — მე უსინათლო ვარ.

მშვიდად და გულკეთილად ნათქვამმა ჭაბუკს გაბრაზება გაუქარვა. მან პოეტს ბოდიში მოუხადა.



### ა. ბერკენი

ერთი ვაჭარი ბაზრობიდან ცხენით ბრუნდებოდა. ზურგს უკან, უნაგირზე ფულით სავსე ტყავის ჩანთა ჰქონდა დაკრული. კოკისპირულად გაწვიმდა, ვაჭარი სულ გაიწუწა. შეწუხებული ბედს უჩიოდა, რაღა მე შემესწრო ასეთი ცუდი ამინდიო.

მალე თავი უღრან ტყეს შეაფარა. უცბად შიშისაგან ლამის გული შეუღონდა, გზის პირას ყაჩაღი დაინახა, რომელსაც თოფი დაემიზნებინა მისთვის. აი, ჩახმახს გამოსწია კიდეც, მაგრამ თოფი არ გავარდა, ეტყობოდა დენთი წვიმას დაესველებინა. ვაჭარმა ცხენს დეზი ჰკრა და თავს უშველა.

უბედურებას გადარჩენილმა გაიფიქრა — „მშრალი და კარგი ამინდი რომ ყოფილიყო, ახლა სისხლის პორევში მკვდარი ვეგდებოდი, ბავშვებს ჩემი შინ დაბრუნების ლოდინი ამაოდ ჩაუვლიდათ. წვიმამ, რომელსაც ვუჩიოდი, სიცოცხლეცა და ფულიც შემინარჩუნა."

## დამშეული არაბი

### ფ. ბლანშევი

არაბს უდაბნოში გზა დაებნა. ორ დღეს არაფერი უჭამია. შიმშილისაგან გული მისდიოდა. ამ დროს ერთ ჭას წააწყდა, სადაც მგზავრები ჩვეულებრივად აქლემებს არწყულებენ. იქ, სილაზე, ტყავის პატარა ჩანთას მოჰკრა თვალი.

„ბედი მწყალობს. — თქვა არაბმა. როდესაც ჩანთა აიღო და ხელით მოსინჯა, — შიგ, ვფიქრობ, ფინიკია ან კაკალი. კარგად მოვილხენ."

ამ ტკბილი იმედით შეპყრობილმა ჩანთა გახსნა, ნახა შიგ რაც იყო და მწარედ წამოიძახა:" „ვაიმე, ეს მხოლოდ მარგალიტის მარცვლებია."

ფრანგულიდან თარგმნა ილოდიონ ქავჟარაძემ.





კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ.



ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 8

# ამხანაგმა დააშავა... რა იღონე შენ?

შეიძლება ყურიც მოგიკრავს უფროსების ნათქვამისათვის: ბავშვი დაუწერელი დაფაა, ზედ გინდ ავს დააწერ, გინდ კარგს, და ამის მიხედვით მისგან ან ბოროტი კაცი დადგება, ან კეთილიო.

ამით აღზრდის დიდი მნიშვნელობაა ხაზგასმული. მართლაც, თუ ადამიანის ხასიათი თავიდანვე გამრუდდა, მერე მისი გამოსწორება ძალზე ძნელდება ხოლმე.

ჩვენში მოზარდის აღზრდაზე ერთობლივად ზრუნავენ ოჯახი და სკოლა. თითქოს ყველა პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ თითოეული ბიჭუნასა და გოგონასაგან ღირსეული, საზოგადოებისათვის შესაფერი მოქალაქე გაიზარდოს. მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ ხდება და ამაში არა მარტო ოჯახი ან სკოლა, არამედ ზოგჯერ პიონერულ მუშაობაში არსებული ფორმალიზმი, პირადად შენი ან შენი ამხანაგების ინერტულობაც არის დამნაშავე.

შეიძლება რაზმში გარეგნულად ყველაფერი რიგზე იყოს — რეგულარულად ეწყობოდეს ლიტერატურული დილები, ინტერნაციონალური საღამოები, ექსკურსიები, შეხვედრები შრომის მოწინავეებთან თუ ომის ვეტერანებთან და ა. შ., თანაც ყველაფერი ეს ლამაზად აისახოს ოქმებსა და ალბომებში... მაგრამ ზოგჯერ ამ ერთობლივი ღონისძიებებისა და რაზმის ყურადღების გარეშე რჩება ე. წ. ძნელად აღსაზრდელი მოსწავლე, რომელიც გაკვეთილზე მასწავლებელს ხელს უშლის, სასკოლო ინვენტარს არ უფრთხილდება, ამხანაგებთან უხეშობს; ის კი არა, უფროსების მიბაძვით იქნებ სიგარეტისკენაც გაექცეს ხელი. ასეთ ბავშვზე, ჩვეულებრივ, რაზმის თუ რაზმეულის შეკრებაზე გაკიცხვა ან საერთოდ არ მოქმედებს, ან ზოგჯერ უარეს ნაყოფსაც კი გამოიღებს ხოლმე. მასთან სულ სხვაგვარი მუშაობაა საჭირო, ინდივიდუალურად უნდა მივუდგეთ, მის სულში ჩავიხედოთ, გავიგოთ — იქნებ რა აწუხებს, რა საფიქრალი და სადარდელი აქვს!.. ამას ყველაზე უკეთ, უფროსებზე უკეთ თქვენ — მისი ამხანაგები შეძლებთ. მაგრამ აკეთებთ კი ამას?

მომისმინეთ, ორ ბავშვზე უნდა გიამბოთ.

თბილისის 22-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასში სწავლობს გია ლადუნაშვილი, რომელიც მილიციის ბავშვთა ოთახში წვრილმანი ხულიგნობისთვის აღრიცხვაზეა აყვანილი — იგი თურმე ძალზე უხეშად, უდიერად ექცევა ბებიას. მამამისს, გენადის, სკკპ წევრს, ვაჭრობის დარგში პასუხისმგებელ მუშაკს, შვილზე ხელი აქვს აღებული — არ მემორჩილება და რაც უნდა ის უქნიაო. გია არც დედას უჯერებს და სკოლაშიც ძნელად აღსაზრდელად ითვლება.

მაგრამ აბა ერთი ვკითხოთ გიას ამხანაგებს: თუ მისულა მასთან რომელიმე მათგანი, თუ გასაუბრებია მეგობრულად, თუ უთქვამს — გია, მოდი, მე დამდე პატივი, ჩემი ხათრით ნუღარ მოიქცევი ასე, თუ რაიმე გიჭირს, მე მითხარი და მხარში ღვიძლ ძმასავით ამოგიდგებიო?..

არადა, თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება გიამ იმაზე უარესი რამ ჩაიდინოს, ვიდრე წვრილმანი ხულიგნობაა...

ახლა მეორე მაგალითი:

იმავე, 22-ე საშუალო სკოლაში უფრო ადრე სწავლობდა ამირან ჩ-ძე. თავიდან თითქოს არ იყო უწესო ბიჭი, მაგრამ ცუდ წრეში მოექცა და ერთ-ორჯერ სხვისი სარდაფიდან კომპოტისა და მურაბის ქილები მოიპარა. ვითომ წვრილმანია, არა? მაგრამ დანაშაული, ჩვეულებრივ, წვრილმანით იწყება. მილიციის ბავშვთა ოთახთან არსებულმა საზოგადოებრივმა საბჭომ ამირანს შეფად მეზობელი დიასახლისი მიუჩინა, რომელიც დედობრივი ზრუნვით ეპყრობოდა ბიჭს, ალერსიანად ექცეოდა, დედაშვილურად ჭკუას არი-

## ჩვენი შემოქმედება

### სოფელში

იქ მამალი დაიყივლებს,
აქეთ ძაღლი იღრინება,
წიწილები წივწივებენ,
ჩემი ბებო იღიმება,
ფუჩინას რომ რძეს აჭმევენ,
კატა შურით იბღვირება.

ია კევლიშვილი,

თბილისის მე-18 საშუალო სკოლა, VII კლასი.

---

ყველა იძინებს. ხეთა რტოებზე
ისმის ჩურჩული ფრთხილი,
მხოლოდ არაგვი ბორგავს და ბორგავს,
არაგვს არ უნდა ძილი.

მთებსაც ჩასთვლიმა, მხოლოდ ხანდახან
ძილს უფრთხობს ქოთი მგლების,
ქარი კი დაძრწის — ფოსტალიონი
ამ შესაზარი ხმების.

როშკის მწვერვალზე წევს მონადირე
კლდეებს ნამეხარს ურჩენს,
სინდიურისძე დროთა ჭენებას
ყრუ ჭიუხიდან უმზერს.

მე გესტუმრებით ვაჟას მუხლით,
ამაყო მთებო,
გრიგალს თქვენს მკერდზე თავს რომ
უხლით,
თეთრო დევებო.
ახლა ისვენებთ, ძალას იკრებთ
და ცოტა ხანში
ზვავებს ღავლუვით დააქანებთ
სალაშქროდ ბარში.
ხოლო გრიგალი, რითაც მთები
დაზაფრულია,
ვაჟას სულია, დაიხსომეთ,
ვაჟას სულია!

თამაზ წიკლაური,

თიანეთის სკოლა-ინტერნატი, IX კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებდა. ამირანს ყურადღება არ მოაკლო სკოლამაც — მასთან ინდივიდუალურად მუშაობდნენ მასწავლებლები, თან ამხანაგებიც კეთილი სიტყვითა და საქმით მხარში ამოუდგნენ და ყველაფერმა ამან შედეგიც მოიტანა: ამირანი ახლა მ. თოიძის სახელობის თბილისის მე-11 სამხატვრო საშუალო სასწავლებელშია და ერთ-ერთ სანიმუშო, დისციპლინიან მოსწავლედ ითვლება. აი, მოკლე ამონაწერი მისი დახასიათებიდან: „იგრძნობა, რომ მტკიცდება მისი შეგნება, ყალიბდება ნამდვილი ადამიანი“.

მაშასადამე, სწორი, ადამიანური მიდგომით, ზოგჯერ ერთი მიგნებული სიტყვითაც კი შეიძლება გზას აცდენილი ყმაწვილი შემოაბრუნო და ისევ გზაზე დააყენო. ოღონდ ეს დროულად უნდა გაკეთდეს, დროულად და მოზომილად.

ჩემო მეგობარო, შესაძლოა, თქვენს შორისაც არიან გია დადუნაშვილისა და ამირან ჩ-ძის მსგავსი პიონერები. თუ ასეა, მოგვწერეთ მათზე, აგრეთვე თქვენზეც — როგორ მუშაობთ მათთან, რას აკეთებთ მათი გამოსწორებისათვის. მოდით, ერთად ვიმსჯელოთ, ვიკამათოთ ამ მნიშვნელოვან საკითხებზე, შევიმუშაოთ ერთიანი აზრი, დავსახოთ ერთობლივი ღონისძიებანი.

ამ საქმიან საუბარში მონაწილეობის მისაღებად თქვენთან ერთად ვიწვევთ მშობლებს, პედაგოგებს, პიონერხელმძღვანელებს, მწერლებს, მეცნიერებს, ყველა მშრომელს.

ამრიგად, ვიწყებთ კამათს თემაზე: „ამხანაგმა დააშავა... რა იღონე შენ?“



ხათუნა ცხაკაია, თბილისის 28-ე საშუალო სკოლა, V კლასი.



# მკურნალი

**გურამ პეტრიაშვილი**

მხატვარი ი. სამსონაძე.

ერთ საღამოს პატარა ქალაქის მთავარ ქუჩაზე ხმაური ატყდა. მცხოვრებლებმა ფანჯრებიდან თავი გამოყვეს და ასეთი სურათი დაინახეს:

ქუჩაზე თეთრხალათიანი კაცი გარბოდა და უკან ოცამდე მოქალაქე მისდევდა. ყველამ იცნო ის კაცი, ახია მაგაზეო, ჩაილაპარაკეს და ისევ შეყვეს თავი ოთახში.

ის კაცი ცუდი ექიმი იყო.

დიდხანს ითმენდა ხალხი, მაგრამ თურმე სურდოიან ავადმყოფს ისეთი წამალი მისცა, რომ კინაღამ ფეხები გააფშეკინა და მოქალაქეებმა თქვეს, სხვა გზა არ არის, ჭკუა უნდა ვასწავლოთო.

ექიმმა კი წაავლო ხელი თავის ჩანთას და გაიქცა. გაეკიდნენ დამუქრებული მოქალაქენი.

ქალაქის ბოლომდე მიჰყვნენ.

სილაქებიც მიიღო, პანღურიც ბევრი უთავაზეს და ქინქრიხოშიც წაუტიალეს.

მოკლედ, სცემეს გემრიელად.

წაჩანჩალდა ექიმი.

დაღამდა.

— გაიგეთ? ექიმი გაუძევებიათო.

— აქამდე უნდა მოგვეშორებინა თავიდანო, — ისმოდა აქა-იქ ქუჩაში.

...რაოდენ დიდი იყო მოქალაქეთა გაკვირვება, როცა მეორე დილით დაინახეს ქუჩაში მშვიდად მომავალი ექიმი თავისი ჩანთით ხელში. თავი ისე ამაყად ეჭირა, სულაც არ ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა ისევ ეცემათ. პირიქით, იმდენად გათამამებულიყო, გამვლელებს სთავაზობდა, ხომ არაფერი გტკივათ, მომსახურეთო.

არც წინა დღის ნაცემი ეტყობოდა ექიმს.

— ამას რაც გუშინ დავაკელით, დღეს უნდა ავუნაზღაუროთო, — თქვა ერთმა კაცმა, რომელსაც რამდენიმე დღე თავის ტკივილი აწუხებდა და ძალიან ცუდ გუნებაზე იყო.

გადმოსძახა ექიმს აივნიდან, ამოდი, იქნებ მიშველო რამეო.

ექიმი ავიდა.

— რა გტკივაო? — ჰკითხა.

— თავი მტკივაო, — უთხრა კაცმა.

— ძალიან კარგი, — თქვა ექიმმა, — მაგას ახლავე ვუშველითო.

— თუ კარგია, გაიგებ, ცოტა ხანში შენც რომ აგტკივდებაო, — დაემუქრა კაცი ექიმს.

იმ კაცის სახლის წინ სეირის მოლოდინში მოგროვდა ხალხი.

ფიქრობდნენ, აი ახლა გაიღება კარი და კისრისტეხით გამოვარდება ექიმიო.

მაგრამ არ ამტყდარა აყალმაყალი.

ექიმი მშვიდად გამოვიდა სახლიდან, აივანზე კი კაცი გადმოდგა და გადმოსძახა, შენ გაგახარა ღმერთმაო.

მოქალაქეები გაშტერდნენ.

— შენ, კაცო, მასხრობ, თუ რა არისო? —ასძახეს იმას.

— რას ვმასხრობ. ისე მაქვს თავი, თითქოს მისდღეში არა მტკენოდესო, — გადმოსძახა კაცმა აივნიდან, — ეგეთი ექიმი მეორე არაა



ქვეყანაზე. თუ არა გჯერათ, თვითონ სცადეთო.

რამდენიმე მსურველი მაშინვე აღმოჩნდა.

წაიყვანა ექიმმა ისინი შინ და ხუთ წუთში ყველა მოარჩინა, თუმცა ყველას მძიმე სატკივარი სჭირდა და ერთი მათგანი ოცი წლის ავადმყოფიც კი იყო.

გავარდა ხმა მთელ ქალაქში, ექიმი სასწაულებს ახდენსო.

ჯერ არ სჯეროდათ, ხუმრობა იქნებაო, მაგრამ ბოლოს დარწმუნდა ყველა.

და რომ დარწმუნდნენ, მიზეზს დაუწყეს ძებნა: კი მაგრამ, ეს ვაიექიმი ასე უცებ კაიექიმი როგორ გახდაო.

განსაკუთრებით ის იყო გასაოცარი, რომ ახლა ექიმი წამლებით კი აღარ ჭყიპავდა ავადმყოფებს, იქვე არჩენდა, უცებ.

თვითონ ავადმყოფები ყვებოდნენ: სხვას ყველას გარეთ გაუშვებს ხოლმე და, მარტო რომ დავრჩებით, გვეტყვის, თვალები დახუჭეთო. თვალს რომ დავხუჭავთ, ოდნავ ხელს შეგვახებს ხელზე და მაშინვე გვირჩება ჭრილობა და გვიყუჩდება ტკივილიო.

ფიქრობდნენ მოქალაქენი, რაშია საქმეო.

იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს ამ დასკვნამდე მივიდნენ: ალბათ ცემამ უშველაო.

ეს რომ დაასკვნეს, ზოგ სხვა მოხელესაც შეჰხედეს დაფიქრებით, ესენიც ხომ არ მივცეთო.

რაც მართალია, მართალია, პატარა ქალაქი კაი ქალაქი იყო, მაგრამ იქ ყოველთვის ბლომად მოიძებნებოდა მიცემის ღირსი მოხელე.

ალბათ ასეც უზამდნენ იმ საწყლებს, ის ამბავი რომ არა, რაც შემდეგ მოხდა.

ერთხელ ექიმთან ერთი კაცი მივიდა და სთხოვა, წამოდი, ჩემს ბავშვს უწამლე რამეო.

— კი, ბატონოო, — უთხრა ექიმმა, გავიდა მეორე ოთახში და ჩანთა გამოიტანა, — წავიდეთო.

წავიდნენ.

გზაში ექიმმა ჰკითხა კაცს:

— რა სტკივა?

— არც ჭამს რამეს, არც სვამს, წევს ლოგინში და დარდობს, — უთხრა კაცმა.

— რაზე დარდობს?

— ერთ პატარა ლეკვს ეთამაშებოდა ხოლმე, რაც ის ლეკვი დაკარგა, მას შემდეგ დარდობს.

— ლეკვი დაკარგა და იმიტომ ჩავარდა ლოგინად? — შეფიქრიანდა ექიმი და შეჩერდა.

— გვიშველე რამე, ექიმო, — შეეხვეწა კაცი.

— ეგ ძნელი ავადმყოფობაა, ჯერჯერობით ეგეთი რამის მორჩენა მე არ შემიძლია, — თქვა ექიმმა და, თუმცა ბევრს ეხვეწა კაცი, მაინც არ გაჰყვა.

იმ ბავშვს სხვა ექიმებიც ბევრი ეხვია თავს, მაგრამ ვერავინ მოარჩინა.

ბოლოს ამ ექიმს უთხრეს მოქალაქეებმა, მორჩენა შეგიძლია თუ არა, მაინც უნდა სცადო, აბა რისი ექიმი ხარო.

კიდევ უარი რომ თქვა, მაშინ წამოდგა ერთი, მუშტზე დაიხედა და უთხრა, ექიმი შენ კი ხარ, მაგრამ ცოტა რამე ჩვენც გაგვეგება და შენი წამალი უკვე ვიცითო.

მიხვდა ექიმი, რასაც ჰპირდებოდნენ, და დაჰყვა მათ ნებას.

— კარგი, წამოვალ, მაგრამ იცოდეთ, ბავშვს უნდა ეძინოს, როცა ვუმკურნალებო, — უთხრა ბავშვის მშობლებს.

— კი, ბატონო, ოღონდ შენ მოდი, როცა დაიძინებს, დაგიძახებთო. — და წავიდნენ.

იჯდა ექიმი დაფიქრებული.

ახლა ალბათ დროა, რომ გითხრათ, რაშიც იყო საქმე.

საქმე იმაში იყო: ბავშვმა რომ ლეკვი დაკარგა, ის ექიმმა მოიპარა.

ეს ასე მოხდა:

მაშინ მოქალაქეებისაგან ნაცემმა ექიმმა სული რომ მოითქვა, გზიდან გადავიდა. ხევში ჩავიდა და ნაკადულის წყლით პირი დაიბანა, დაჟეჟილ ცხვირზე სველი ცხვირსახოცი დაიდო და მდელოზე წამოწვა.

ყველაფერი სტკიოდა.

თვალები დახუჭა. იწვა ასე ერთხანს.

და უცებ იგრძნო, რომ რაღაც შეეხო ხელზე. იმავ წამს ყველა ტკივილი დაუამდა. გაახილა თვალი და ნახა, მის ხელს პაწია ლეკვი ეხებოდა გრილი დრუნჩით.

— ერიჰა, აი სასწაული! — თქვა ექიმმა.

წაავლო ხელი ლეკვს, შეუკრა პირი ცხვირსახოცით, არ იყეფოს და არ გამცესო, და თავის ჩანთაში უკრა თავი.

წავიდა ექიმი და ცოტა რომ გასცილდა იქაურობას, შემოესმა, როგორ ეძახდა ბავშვი ლეკვს: „ცუგა, ცუგა, სადა ხარო“...

ექიმი ავადმყოფებს ასე არჩენდა: ამოაყოფინებდა ლეკვს ჩანთიდან დრუნჩს და მიადებინებდა ავადმყოფის ხელზე.

ახლა იმისი იმედი ჰქონდა, ბავშვი ძილში ვერ გაიგებს ლეკვის შეხებასო...

მაგრამ რომ შეატყობინეს, მოდი, ბავშვმა დიძინაო, მაინც შეშინებულმა გასწია იქით.

მივიდა, ყველა გაუშვა გარეთ.

მერე მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ მითვალთვალებსო, ფანჯრის ფარდები დაათვალიერა — ამათ იქით ხომ არავინ იმალებაო, კარის ჭუჭრუტანაშიც შეიჭყიტა, იქიდან ხომ არ მიყურებენო.

რომ დარწმუნდა, არავინ მიცქერსო, ფრთხილად ამოიყვანა ჩანთიდან ლეკვი. მეტი სიფრთხილისათვის თვალები აუხვია, პატარა მეგობარი არ დაინახოსო. მიადებინა ლეკვს დრუნჩი ბავშვის ხელზე.. და ის მოხდა, რისიც ასე ეშინოდა და რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო: ბავშვს იმწამსვე გაეღვიძა, „ცუგა, ცუგაო“, დაიძახა და წამოხტა ფეხზე.

ბავშვის ხმა რომ გაიგო, ცუგამ სხარტად ისკუპა და დაუსხლტა ხელიდან ექიმს.

ბავშვის ძახილზე მშობლები შემოცვივდნენ.

გაუხარდათ, რომ დაინახეს — ბავშვი ფეხზე იდგა და ლეკვიც ხელში ეჭირა.

გახარებულნი ეცნენ ექიმს და გადაკოცნეს.

მერე კი ბავშვს მიუბრუნდნენ; ახლა ხომ კარგადა ხარო, ეკითხებოდნენ.

ექიმს უნდოდა ჩუმად გაპარულიყო, მაგრამ ბავშვს ლეკვისთვის თვალებიდან ცხვირსახოცი მოეხსნა და ისკუპა ცუგამ. ისკუპა და ეცა ექიმს კოჭში.

— ვაიო! — იკივლა ექიმმა და სიმწრისაგან ცალ ფეხზე დაიწყო ხტუნვა.

ბავშვს და მის მშობლებს გაუკვირდათ. ეს რა ქნა ცუგამ, კბენა ადრე არასოდეს არ იცოდაო, და გაუწყრნენ.

ცუგას შეეცოდა ექიმი და ახლოს მივიდა, შეაცქერდა, გაჩერდი, გეყოფა ხტუნვაო.

ექიმი მორჩილად გაჩერდა.

და ცუგამ დრუნჩი ფეხზე მიადო.

ცხადია, იმავ წამს გაუყუჩდა ნაკბენი ექიმს.

— კბენაც რა მწარე სცოდნიაო, — ჩაილაპარაკა ექიმმა თავისთვის.

— ახია ჩემზეო, — და ყველაფერს მოუყვა.

— ოღონდ ერთი ვერ გამიგია და ამაზე ფიქრმა დამტანჯა, ამის ჯავრი მომკლავს ნამდვილად: როგორ არჩენს ეს ერთი ციდა ლეკვი ტკივილსა და ავადმყოფობასაო, — დაამთავრა ექიმმა თავისი სათქმელი.

— ჩვენც არაფერი ვიცითო, — ხელები გაშალეს ბავშვის მშობლებმა.

— იქნებ თქვენმა ბავშვმა იცისო.

—მიბრუნდნენ ბავშვისკენ, მაგრამ ის და ცუგა უკვე შორს, ველზე დარბოდნენ სათამაშოდ.

— თუმცა ან ბავშვს საიდან ეცოდინებოდაო, — ჩაიბუტბუტა ექიმმა თავისთვის და წავიდა.

ქალაქში ყველაფერი გაიგეს და მიხვდნენ, რომ ცემით არავინ გახდება უკეთესი. ერთმა მოხუცმა კი თურმე ისიც თქვა: ცემას რომ ჭკუ ჰქონდეს, რაც ჩვენს ხალიჩებს ცემა აქვთ, სულ მფრინავ ხალიჩებად უნდა ქცეულიყვნენო.

საოცარი ლეკვის ამბავი გახმაურდა. მისთვის ყველაზე მოუცლელმა მეცნიერებმაც კი მოიცალეს. შეიკრიბნენ ერთად დიდ დარბაზში, მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ და ცუგა მაგიდის შუაგულში დასვეს.

ბევრი უყურეს, ზოგმა წყვილი სათვალეც გაიკეთა, მაგრამ ვერაფერი უჩვეულო ვერ შეამჩნიეს. ჩვეულებრივი ლეკვი იყო და მეტი არაფერი.

მერე გაზომეს, აწონეს, პირში ჩაჰხედეს, ბეწვი გაუსინჯეს და უამრავი პროცედურა ჩაუტარეს.

შემდეგ ისევ მაგიდის შუაგულში დასვეს და კამათი გააჩაღეს. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას.

ცუგამ უსმინა, მერე დაამთქნარა, გადახტა მაგიდიდან და გაიპარა. კარს უკან ბიჭი ელოდებოდა.

ლეკვის წასვლა არც შეუმჩნევიათ — მეცნიერები ცხარედ კამათობდნენ.

ახლა უნდა გითხრათ ლეკვის საიდუმლო. მეშინია კი, ზოგიერთს იმედი არ გაუცრუვდეს, იმდენად უბრალოდ აიხსნება ყველაფერი. ერთხანს იმასაც კი ვაპირებდი, რამე ლამაზი და წარმტაცი ტყუილი მომეგონებინა, მაგრამ შემდეგ ვარჩიე, მართალი გითხრათ.

კაცმა რომ თქვას, საიდუმლო არც იყო რამე. ბავშვს უყვარდა ლეკვი. ეფერებოდა, კეთილად ექცეოდა და ლეკვმაც შეიყვარა ადამიანები. სიყვარულით აივსო მისი გული.

ეს იყო და ეს.

სიყვარულია უპირველესი მკურნალი ამ ქვეყანაზე.



# საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებული



1924 წლის 28 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე, შეიარაღებულ ბანდიტთა რაზმი თავს დაესხა ვანის რაიონის ამაღლების თემის აღმასკომს და სროლა აუტეხა. ამ დროს აღმასკომში თავის სამუშაო პოსტზე მყოფმა ალექსანდრე კოღუაშვილმა სროლითვე უპასუხა მომხდურებს. ბანდიტებმა წინადადება მისცეს მას, იარაღი დაეყარა და დანებებოდა. მამაცი ბოლშევიკი მტერს არ დანებდა და უთანასწორო ბრძოლაში მტრის ტყვიის მსხვერპლი გახდა. ასე დაიღუპა საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებული რაინდი ა. კოღუაშვილი.

ა. კოღუაშვილი დაიბადა 1886 წელს ქუთაისში. იგი ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროს ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. ტოლ-ამხანაგებს შორის იგი გაბედული და საზრიანი მოქმედებით გამოირჩეოდა. 15 წლის ყმაწვილი მოხერხებულად ავრცელებდა პროკლამაციებს გიმნაზიის მოსწავლეთა შორის. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ა. კოღუაშვილი თავისი კლასის ფანჯარას ღიად ტოვებდა, ღამე მივიდოდა, დიდი სიფრთხილით აჰყვებოდა საწვიმარ მილს, ღია ფანჯრიდან გიმნაზიაში შევიდოდა, ყველა საკლასო ოთახს დაივლიდა და მერხებზე პროკლამაციებს ტოვებდა. დილით მოსწავლეები ხარბად კითხულობდნენ ბოლშევიკთა მოწოდებებს და ახალ რევოლუციურ ამბებს. ასე გრძელდებოდა დიდხანს. ვერც გიმნაზიის ადმინისტრაციამ, ვერც მეფის ოხრანკამ ვერ შეძლეს პროკლამაციების გამავრცელებელის შეპყრობა ან მისი ვინაობის დადგენა. ბოლოს გიმნაზიის ადმინისტრაციამ საეჭვო საკლასო ოთახის ფანჯარასთან ზედამხედველის ყარაულობა დააწესა. როცა ა. კოღუაშვილი ფანჯარაში გადავიდა და პროკლამაციებს ავრცელებდა, ზედამხედველმა შეიპყრო ის, მაგრამ მამაცი ყმაწვილი ხელიდან დაუსხლტა და მიიმალა, იმ დღიდან გიმნაზიაში აღარც გამოცხადებულა. როგორც ხელისუფლებისათვის საშიში პიროვნება, ა. კოღუაშვილი გიმნაზიიდან გარიცხეს. ამის შემდეგ იგი ჭიათურაში წავიდა, სადაც იმ ხანად მისი ძმა, რაჟდენ კოღუაშვილი მუშაობდა. აქ ალექსანდრემ ძმის სახელოსნოში ზეინკლად დაიწყო მუშაობა და კვლავ რევოლუციურ საქმიანობას მიჰყო ხელი. იგი სარისკო და საპასუხისმგებლო პარტიულ დავალებებს ასრულებდა. 1904 წელს მამაცი მუშა-რევოლუციონერი ა. კოღუაშვილი ჭიათურის პარტიულმა ორგანიზაციამ ბოლშევიკურ პარტიაში მიიღო.

იმ ხანად ჭიათურაში მოქმედი არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაცია იარაღის დიდ ნაკლებობას განიცდიდა. საჭიროება და შექმნილი ვითარება კი მოითხოვდა გადამჭრელი ზომების მიღებას იარაღის დამამზადებელი ხელსაწყოებისა და მასალების შესაძენად. ამ საქმის მოგვარება ა. კოღუაშვილს დაეკისრა. იგი საგანგებო დავალებით ქუთაისში ჩავიდა, შეიძინა იარაღის შესაკეთებელი ხელსაწყოები და მოხერხებულად ჩაიტანა ჭიათურაში, შემდეგ კი ახალი იარაღის დამზადებას და ძველის შეკეთებას შეუდგა. პარტიულ ორგანიზაციას იარაღის დიდი მარაგი შეექმნა, რაც ესოდენ საჭირო იყო მომავალი შეიარაღებული აჯანყებისა და რევოლუციური ბრძოლებისათვის.

1904 წლის დასასრულს ალექსანდრე კოღუაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა არალეგალურ მუშაობაში, მონაწილეობდა ტერორისტული აქტების მომზადებაში, პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის გაფიცვებში, მშრომელთა დემონსტრაციებში, სამაისო გამოსვლებში და სხვ.

1914 წელს იგი მეფის არმიაში გაიწვიეს, სადაც მსახურობდა უნტეროფიცრის ჩინით. მონაწილეობა მიიღო სამხედრო მოქმედებაში კარპატებში, ავსტრია-უნგრეთში. თებერვლის რევოლუციის შემდეგ იგი აირჩიეს ასეულის კომიტეტის თავმჯდომარედ, ჯარის ნაწილებში იგი დაუცხრომელ აგიტაციას ეწეოდა დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. ჯარიდან დემობილიზებული ალექსანდრე კოღუაშვილი 1918 წელს ქუთაისში დაბრუნდა და ზეინკლად დაიწყო მუშაობა. აქ ჩვეული ენერგიით გააგრძელა რევოლუციური საქმიანობა და აქტიური სააგიტაციო მუშაობა მშრომელთა დასარაზმავად მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

1921 წლის თებერვალ-მარტში ქუთაისში წითელი არმიის ნაწილების შესვლას იგი სიხარულით შეხვდა. მასვე მალე რევოლუციის მონაპოვარისა და სახალხო ქონების დაცვა დაევალა. 1921 წლიდან ა. კოღუაშვილი ირიცხებოდა ქუთაისის განსაკუთრებული დანიშნულების ლეგიონში სურსათ-სანოვაგის მეკუჭნავედ. მან აქაც გამოიჩინა თავი, როგორც უაღრესად პატიოსანმა და ერთგულმა ბოლშევიკმა. 1922 წელს იგი დააწინაურეს და ვანის რაიონის ამაღლების თემის რევკომის თავმჯდომარედ დანიშნეს. შემდეგ ის იმავე თემის აღმასკომს ჩაუდგა სათავეში. 1924 წელს ა. კოღუაშვილი დაიღუპა. 1924 წლის 28 სექტემბერს გაზეთი „მუშა და გლეხი" წერდა: „თქვენი სახელი, საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე დაღუპულნო გუშაგნო, მუდამ დაუვიწყარი იქნება ხალხის გულში, რომლებიც ფიცსა დებენ თქვენს წინაშე, რომ ყოველთვის მზად იქნებიან შემუსრონ ჩვენი ქვეყნის ყოველგვარი მტერი".

მადლიერი შთამომავლობა არ ივიწყებს სახელოვან წინაპართა სახელებს. მოწიწებით ინახავს მამებისა და პაპების ნათელ ხსოვნას და თაობიდან თაობას გადასცემს სამშობლოსადმი, ხალხისადმი მათი გმირული თავდადების ამბავს. 1974 წლის 6 ნოემბერს ქუთაისში, ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე სკვერში, ძმათა სასაფლაოზე საზეიმოდ გაიხსნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მებრძოლთა ხსოვნისა და დიდების ობელისკი, რომელიც უკვდავყოფს რევოლუციის რაინდთა საგმირო საქმეებს.

ს. რეხვიაშვილი.

# გავრილოვის აღზრდა

ფანტასტიკური მოთხრობა



კირ ბულიჩოვი

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

პენსიონერი ნიკოლოზ ლოჟკინი ავტობუსით ბრუნდებოდა შინ. მოდიოდა შორიდან, ხე-ტყის სახერხი ქარხნიდან და დრო ჰქონდა, რომ ათას რამეზე ეფიქრა. ისიც უნდა ითქვას, იმ დღეს რევმატიზმმა გაუხსენა და ამიტომ შავბნელი ფიქრები ეძალებოდა.

ავტობუსში ტევა არ იყო. ლოჟკინი შუა გასასვლელში იდგა, მის წინ კი სპორტული იერის ჭაბუკი იჯდა და შტირლიცზე წიგნს კითხულობდა, ხოლო როცა კითხვა მობეზრდებოდა, ფანჯარაში იყურებოდა და აჭრელებულ პეიზაჟს თვალს აყოლებდა. ეს ვერაფერი სამართალი იყო, მაგრამ ლოჟკინს როგორღაც ეუხერხულებოდა ეთქვა, ადგილი დამითმეთო, არავის არ ეხალისება გამოტყდეს, რომ უკვე ხანშია გადამდგარი.

მერე, გაჩერებაზე, ჩვილბავშვიანი ახალგაზრდა ქალი ამოვიდა. ჭაბუკმა, ეტყობა, შეამჩნია ის, რადგან პეიზაჟებს თვალი მოსწყვიტა და ისევ წიგნში ჩარგო ცხვირი.

ლოჟკინმა ვეღარ მოითმინა:

— ახალგაზრდავ, — თქვა და ჭაბუკს მხარზე ხელი შეავლო.

ჭაბუკს თავი არ აუწევია, ისე შეატოკა მხარი, რომ მისი ხელი მოეცილებინა.

— ამომხედე! — უბრძანა ლოჟკინმა.

— რა იყო? — ისევ თავაუწევლად იკითხა ჭაბუკმა.

— ბავშვიანი ქალია, ფეხზე დგას, — შეატყობინა ლოჟკინმა.

— დაბრძანდით, — წამოდგა ხელჯოხიანი კაცი გვერდითა სკამიდან.

— როგორ გეკადრებათ! — შეწუხდა ქალი, რადგან დაინახა, რომ კაცს პროთეზი ჰქონდა, — არაფერია, ვიდგები.

ჭაბუკმა მუხლები გამოსწია, რომ ინვალიდი გამოეტარებინა და ისეთი გატაცებით განაგრძო წიგნის კითხვა, თითქოს სტრიქონებიდან თვალებით თაფლს ლოკავდა ანდა კომპოტს ხვრეპავდა.

ამ დროს უკნიდან ხმა მოისმა.

— არა, ბატონო, ეგ საქმე ეგრე არ კეთდება,—და ხალხი ერთმა ჯანიანმა ხნიერმა კაცმა გამოარღვია, სწრაფად დაიხარა, ჩვენი მკითხველი ციმციმ ხელში აიყვანა და მასთან ერთად ჩავიდა ავტობუსიდან. ჭაბუკმა გაჩუმება ამჯობინა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს დიდი ინტერესით განაგრძობდა შტირლიცის თავგადასავლის კითხვას. მგზავრები სიცილით იხოცებოდნენ,

ლოჟკინი აღელვებული დაბრუნდა შინ; ეზოში მეზობელი ალექსანდრ გრუბინი რომ შეხვდა, გაეხარდა, მოსაუბრე ვიშოვეო.

— რა უნდა ვქნათ? — ჰკითხა გრუბინს, — ეს საით მივექანებით?!

გრუბინი მთელ ქალაქში ცნობილი გამომგონებელი იყო, დიდად ნიჭიერი, შეიძლება ითქვას, ხალასი ნიჭის კაცი. მოისმინა თუ არა ლოჟკინის დრამატული ნაამბობი, თავდაპირველად გადაწყვიტა, დაეწყნარებინა მოხუცი და ასე უთხრა:

— იქნებ ის ჭაბუკი ისე იყო გატაცებული კითხვით, რომ გარშემო ვერაფერს ამჩნევდა?

ლოჟკინმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

ერთ-ერთი ფანჯრიდან ეზოში მუსიკის ხმა გამოდიოდა. იმ ეზოში მცხოვრებ ბიჭს კოლია გავრილოვს მაგნიტოფონი ჰქონდა ჩართული და აყვირებდა. ამიტომ მეზობლებს ხმამაღლა უხდებოდათ ლაპარაკი, რომ ერთიმეორისთვის გაეგებინებინათ რამე.

— როგორც არ უნდა იყოს, ეგ ჭაბუკი გამონაკლისია, მასეთი ცოტა თუ არის ვინმე, — თქვა გრუბინმა.

— არიან, — არ დაეთანხმა ლოჟკინი, — არიან და რამე უნდა მოვუხერხოთ.

— კი მაგრამ, რა? ყველას ხომ ხელში ატატებულს ვერ გაიყვან ავტობუსიდან.

— გამოიგონე რამე, საშა. ნიჭი ტყუილადა გაქვს?!

— გამოგონებას ტექნიკური დავალება სჭირდება. შემიდგენ? — მიუგო გრუბინმა.

— ვნახოთ, — თქვა ლოჟკინმა და შინისაკენ გასწია.

მეორე დღეს კი გრუბინს აი, ასეთი დოკუმენტი გადასცა:

### ტექნიკური დავალება

**შესავალი:** სამწუხაროდ, ჩვენს ახალგაზრდობაში ჯერ კიდევ გვხვდება ხულიგნობა, თავაგდებულობა, მოხუცებისა და ქალებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება. არსებული მეთოდები ჯერჯერობით ვერ იძლევა უნივერსალურ ეფექტს. ვფიქრობ, ბრძოლა პირობითი რეფლექსების დონეზეა საჭირო, როგორც ამას გვასწავლიდა აკადემიკოსი პავლოვი.

**დავალება:** შეიქმნას ისეთი ხელსაწყო, რომ მსუბუქი იყოს, მოძრაობას არ ზღუდავდეს და თან სხეულზე ამაგრდებოდეს მოზარდს. ხელსაწყო რეაგირებას უნდა ახდენდეს ტრანსპორტში მოხუცის ან ქალის მოახლოებაზე და უნდა აიძულებდეს მოზარდს ადგილი დაუთმოს მათ; უნდა წინასწარ იჭერდეს უწესო სიტყვებსა და გამოთქმებს, და თუ ახალგაზრდა მაინც წარმოთქვამს მათ, სასჯელ ზომას იღებდეს. დასჯა მაშინაც საჭიროა, როცა მოზარდი ამხანაგურად არ ეკიდება გოგონებს. გარდა ამისა, ხელსაწყო უნდა ბადებდეს დახმარების სურვილს, როცა გვერდით ვინმე მუშაობს.

გრუბინმა რამდენჯერმე გადაიკითხა ტექნიკური დავალება და მერე ლოჟკინს უთხრა, კარგი, ერთი კვირის შემდეგ შემოიარეო.

გავიდა ერთი კვირა და გრუბინმა ლოჟკინს გამზადებული ხელსაწყო უჩვენა.

— ვითომ იმუშავებს?

— სავსებით შეესატყვისება დავალებას. იკვებება ჯიბის სანათურის ბატარეით. ახლა ისღა დაგვრჩე-

ნია, ვინმე დავიყოლიოთ, გამოსცადოს.

სწორედ ამ დროს ფანჯრის წინ კოლია გავრილოვმა ჩაიარა. ეს ტიპიური მოზარდი იყო, მოზარდის ყველა კარგი თუ უარყოფითი თვისებებით. იგი სწავლობდა სამდინარო ტექნიკუმში. მხარზე კოლიას ტრანზისტორი ჰქონდა გადაკიდებული, სახეზე კი ეწერა, რომ შრომის სურვილი არ აწუხებდა.

— აგერ ისიც! — წამოიძახა ლოჟკინმა და ეზოში გავარდა, — ეს ადამიანი სჭირდება მეცნიერებას!

— კოლია! — გააჩერა მან ბიჭი, — არ გინდა გამოცდაში მიიღო მონაწილეობა?

— რა უნდა გამოსცადოთ?

— ნორჩი თაობის ახლებურად აღსაზრდელი ხელსაწყო.

— მე ეგ არაფერში მჭირდება, — თქვა კოლიამ, — დილიდან საღამომდე მზრდიან და მზრდიან. ჯერ დედა, მერე მასწავლებლები, შუალედებში კი ყველა, ვისაც არ ეზარება.

— მოიცა! — წამოიძახა გრუბინმა. როგორც გამომგონებელს, მას ერთი სული ჰქონდა, გამოეცადა ხელსაწყო. — რა გინდა? — ჰკითხა კოლიას, — ნაყინი გიყვარს? ჯიბის ფული გჭირდება?

— მე მაგნიტოფონისთვის მჭირდება ახალი კასეტები.

— ძალიან კარგი.

— კიდევ სამი მანეთი მჭირდება.

— პირობები მიღებულია, — თქვა გრუბინმა, — შემოდი ოთახში, აპარატურას მოგამაგრებ.

როცა კოლიას სხეულზე გადამწოდები დაამაგრეს, ღილკილოში კი გულზე დასაბნევი ნიშანივით პატარა ფოტოელემენტი გამოიყვანეს, გრუბინმა თქვა:

— შეგვიძლია დავიწყოთ. ოღონდ გაფრთხილებთ, არ შეეცადო გადამწოდები შენით მოიხსნა, არაფერი არ გამოგივა. მხოლოდ დაიკაწრები.

— სულელი ხომ არა ვარ? — გაუკვირდა გავრილოვს, — ასეთ ჰონორარზე ვინ არ დათანხმდება. ახლა სად წავიდე?

— დღეს შაბათია, — თქვა გრუბინმა, — ჩაჯექი ავტობუსში და პლაჟზე გადი.

— თქვენა?

— ჩვენ დაგვივიწყე.

გავრილოვმა ფოტოელემენტი შეისწორა, ტრანზისტორი ჩართო და ავტობუსის გაჩერებისაკენ გაემართა. ლოჟკინი და გრუბინი შორიახლოს მიჰყვებოდნენ.

ავტობუსში გავრილოვი წინ გაიჭრა და თავისუფალ ადგილზე დაჯდა. გრუბინი და ლოჟკინი უკანა ბაქანზე გაჩერდნენ და იქიდან ადევნებდნენ თვალს კოლიას. როგორც კი გასასვლელში ხელჩანთიანი მოხუცი ქალი გამოჩნდა და გავრილოვს მიუახლოვდა, ბიჭი წამოხტა, სკამი გაათავისუფლა და უხერხულად დადგა.

— პრინციპი როგორია? — ჩურჩულით ჰკითხა ლოჟკინმა გამომგონებელს.

— ფოტოელემენტმა წრედი ჩართო და როგორც კი ბებო კრიტიკულ მანძილზე მიუახლოვდა ბიჭს, კოლიას ზურგის ქვედა ნაწილში დენმა დაჰკრა. უსაფრთხოა, მაგრამ მტკივნეული.

გავრილოვმა გამომგონებელი დაინახა და მისკენ წამოვიდა.

— ეს რა არის? მასხარად მიგდებთ? — ჰკითხა წყენით.

— რამე მოხდა? — თქვა მიამიტურად გრუბინმა.

— რა მოხდა და დენმა დამარტყა.

— ღირსი იყავი და იმიტომ. ავტობუსში მოხუცს ადგილი უნდა დაუთმო. გაგიგონია ასეთი წესი?

— ვითომ რატომ? — გული მოუვიდა გავრილოვს. — მე ათი გაჩერება მაქვს გასავლელი, ეგ კიდევ ბაზართან ჩადის!

— უფროსია, — ლაკონიურად მიუგო ლოჟკინმა, — თანაც ქალია.

— არა, თუ უარზე ხარ, დავბრუნდეთ, — თქვა გრუბინმა.

— რა უნდა გავაკეთო, რომ დენმა არ დამარტყას?

— ღირსეულად უნდა გეჭიროს თავი, ღირსეულად და კეთილშობილურად უნდა მოიქცე.

— ვეცდები, — თქვა გავრილოვმა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ.

პლაჟამდე არაფერი შემთხვევიათ. ავტობუსში ადგილები განთავისუფლდა, მაგრამ გავრილოვი აღარ დამჯდარა, რისკს მოერიდა.

ცივი ამინდი იყო, ბანაობით არავინ ბანაობდა, მაგრამ ბევრი ხალხი კი იყო შეყრილი პლაჟზე.

— კოლკა, აქეთ! — დაიძახეს გავრილოვის დანახვაზე სამდინარო ტექნიკუმის ბიჭებმა.

გავრილოვი ამხანაგებისკენ გაეშურა, მაგრამ ვიღაც მამაკაცი შეეფეთა და შემთხვევით გზა გადაუღობა. გავრილოვი დაეჯახა და ის იყო პირველი უდიერი სიტყვა წარმოსთქვა, რომ ადგილზე გაქვავდა. სახეზე საშინელი სასოწარკვეთილება გამოეხატა.

— რა დაემართა? — ჰკითხა ლოჟკინმა გრუბინს.

— პატარა მავთულხლართი ამოქმედდა, — უპასუხა გრუბინმა, — ასეა. როგორც კი მიკროფონი შერჩევით დაიჭერს ისეთ სიტყვებს, კულტურულ საზოგადოებაში რომ არ ითქმის, ეს ხლართი მაშინვე ამოძრავდება.

გავრილოვი უკვე გამომგონებლებისაკენ მოიჩქაროდა.

— რაშია საქმე? ავტობუსში ხომ არა ვარ! რაზე მირტყამენ?

— გაიხსენე, რა უთხარი იმ კაცს!

— თქმაც ვერ მოვასწარი...

— ეტყობა მოასწარი, რაკი ხელსაწყომ დაიჭირა. რას იტყვი, დავბრუნდეთ?

— კიდევ მოვითმენ.

სწორედ ამ დროს გავრილოვმა დაინახა მეზობელ სახლში მცხოვრები სვეტლანა.

— გამარჯობა! — უთხრა სვეტლანამ.

გავრილოვს არ უპასუხნია.

— რატომ არ მესალმები?

— ხომ იცი!

— რა იყო, გეწყინა? რა ვქნა, გუშინ საკონტროლოსთვის ვემზადებოდი და კინოში ვერ მოვედი.

— აჰ, ვერ მოხვედი? მაშინ იცი, რას გეტყვი...

მაგრამ გავრილოვმა ვერაფერი ვერ თქვა, რადგან უცებ საყელოს უკნიდან პატარა რეზინის ხელი გამოხტა და კარგი სილაქი გაუტყლაშუნა ლოყაზე, მერე კი იმ წამსვე თავის ადგილზე შეიმალა.

გავრილოვმა ლოყაზე ხელი იტაცა.

— ეგრე მოგიხდება, — გაუღიმებლად უთხრა სვეტლანამ, — ისე ჩათვალე, თითქოს მე გამერტყას.

— რა არის ეს, თქმა ვერ მოვასწარი! — აუყვირდა გავრილოვი ლოჟკინს, — ჯერ სიტყვა არ დამიბოლოვებია და თქვენ უკვე ჩხუბობთ. არ მინდა თქვენი ფული! სახლში მივდივარ! ეს არ შეიძლებაო, ეს აკრძალულიაო, ამისთვის ჩხუბი და ამბავი! არ გამიშრეს სისხლი!?

— იქნებ ცოტა კიდევ მოგეთმინა? — ჰკითხა ლოჟკინმა, — ცოტაც და პირობითი რეფლექსები გამოგიმუშავდება.

გავრილოვი გაჯავრდა.

— თქვენ თვითონ ჩამოიკიდეთ ეს ყველაფერი და თქვენ თვითონ ითმინეთ. გამომიჩნდნენ რაღა...

მაგრამ სიტყვა, რა თქმა უნდა, ვერ დაამთავრა, რადგან ადგილზევე შეარყია დენმა; მაშინ შეეცადა გადამწოდები და გამტარები ჩამოეგლიჯა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და თვალცრემლიანი ნაპირ-ნაპირ გაიქცა.

გამომგონებლები ქალაქის პარკის გარეუბანში ძლივს დაეწივნენ მას. აქ შაბათობაზე იყო გამოსული ხალხი. გავრილოვი აღარსად არ გარბოდა. ერთად შეკონილი ნერგები მოჰქონდა; ფრთხილად დააწყო ისინი პატარ-პატარა ორმოების მწკრივთან. თვითონ თავისუფალ ბარს სტაცა ხელი და იმათ შეუერთდა, ვინც ასეთსავე ორმოებს თხრიდა ხეების ჩასარგავად. სახე გაწითლებული ჰქონდა, ლოყებზე ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლები, მაგრამ დიდი ენთუზიაზმით კი შრომობდა, სხვებზე სამჯერ უფრო სწრაფად მაინც.

— რაშია საქმე? — გაიკვირვა ლოჟკინმა, — გავრილოვი მუშაობს!

— ხელსაწყოს ზემოქმედებაა, — გაეღიმა გრუბინს, — ასე არ მთხოვე, საქმით დაკავებული ადამიანების დანახვაზე ხელსაწყომ გამოსაცდელი იძულებული გახადოს მუშაობაში ჩაერთოსო? ჰოდა, როცა კოლია ამ ახალგაზრდების მახლობლად მირბოდა, ხელსაწყოს ჰიმები ჩაირთო და კუნთები სასარგებლო მიმართულებით შეაუმშა. იქნებ გავრილოვს არც უნდა მუშაობა, მაგრამ არ შეუძლია არ იმუშაოს. მოდი, თავი დავანებოთ, ნუ ჩავერევით. ჩვენ დავბრუნდეთ და კოლია უჩვენოდაც გამოაგნებს გზას.



კოლია საღამოხანს დაბრუნდა, ძლივს მოლასლასებდა, ფეხი ერეოდა. გრუბინმა ფანჯრიდან გამოსძახა:

— კარგად იმუშავე?

გავრილოვმა პირი დააღო საპასუხოდ, მაგრამ დროზე მოეგო გონს და ხმა აღარ ამოუღია. მარტო ფანჯარას მიუახლოვდა და გრუბინს ანიშნა, ეს საწამებელი აპარატი მომხსენიო.

გამოსასწორებელი ხელსაწყოს მოხსნას ხუთი წუთი მოუნდნენ. გრუბინმა კოლიას ვაზელინი წაუსვა გადამწოდების ადგილებზე და უთხრა:

— ჩაიცვი, კოლია, ახლავე კასეტების ფულს მოგცემ.

კოლია ჩუმად იცვამდა, არც იგინებოდა, არც ჩხუბობდა, თითქოს ეშინოდა, მართალია, ხელსაწყო მაგიდაზე დევს, მაგრამ მაინც შეიძლება პირობითი რეფლექსების დონეზე დამსაჯოსო.

როცა დილით ახალგაღვიძებულმა გრუბინმა ფანჯარა გააღო, დაინახა, რომ გავრილოვი ხელში წიგნით სკამზე იჯდა.

— თქვენთან სათხოვარი მაქვს.

— თქვი.

— დღეს კიდევ თუ ჩაატარებთ ცდებს? მაშინ თქვენს სისტემაში დღესაც ჩამრთეთ.

— ფული გჭირდება? ოღონდ ხელფასის წინა დღეებია და ხომ იცი, მაინცდამაინც ბევრი არა მაქვს. სამიოდე მანეთს კი მოგიქუჩებდი, მაგრამ კასეტას...

— თქვენ სწორად ვერ გამიგეთ! უფულოდ ვარ თანახმა. დღეს პაემანზე ვარ წასასვლელი, და სხვა პირადი საქმეებიც მაქვს. ჰოდა ჯერ მთლიანად არა ვარ დარწმუნებული საკუთარ თავში.

— აბა წამოდი, ჩაგრთავ, ოღონდ მერე ჩივილი არ იყოს.

— კაცი არ... — კოლია გავრილოვმა ხმა ჩაიწყვიტა, ერთხანს დუმდა, მერე კი ასე დაამთავრა: — მალე ჩართეთ. ძალიან მჭირდება პირობითი რეფლექსები.

თარგმნა ი. გეგეჭკორმა.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად მშვიდობის შენარჩუნებისა და აგრესიის აღსაკვეთად გაერო-ს (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) უშიშროების საბჭოს აქვს უფლება ამა თუ იმ საერთაშორისო დავის ყველა სტადიაში ან სამხედრო კონფლიქტების დროს წამოჭრილი რაიმე უთანხმოების გადასაჭრელად მიიღოს ყოველგვარი ზომები. ამ ზომებში შედის გაერთიანებული ერების დროშის ქვეშ გაერთიანებული სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალთა გამოყენებაც.

სამხედრო ღონისძიებათა მიმართ გაერო-ს წესდებაში ზუსტად არის ნათქვამი, რომ უშიშროების საბჭოს ნება ეძლევა საჰაერო, საზღვაო თუ სახმელეთო ძალების მეშვეობით აღადგინოს საერთაშორისო მშვიდობა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი ვალდებულია მოთხოვნისთანავე გადასცეს უშიშროების საბჭოს საჭირო შეიარაღებული ძალები.

გაერო-ს შეუძლია შეიარაღებული ძალები საჭიროების შემთხვევაში გააგზავნოს დედამიწის რომელიც გნებავთ „ცხელ ადგილას“. ასე მაგალითად, 1973 წელს, ისრაელ-არაბეთის კონფლიქტის დროს, უშიშროების საბჭოს დადგენილებით ახლო აღმოსავლეთში სამეთვალყურეოდ გაიგზავნა გაერო-ს საგანგებო შეიარაღებული ძალები, ან როგორც მათ სხვანაირად უწოდებენ „ცისფერი ჩაფხუტები“. ამ ნაწილებმა დაიკავეს ბუფერული ზონა ისრაელისა და ეგვიპტის ჯარებს შორის სამხრეთით და ისრაელისა და სირიის ჯარებს შორის ჩრდილოეთით.

ისრაელმა მაშინ უარი თქვა ოკუპირებული ზონიდან ჯარის გაყვანაზე და ამით გაართულა მდგომარეობა. ამიტომ უშიშროების საბჭომ არაერთხელ გაუგრძელა საგანგებო ძალებს იქ ყოფნის ვადა.

ლიბანში ისრაელის ამასწინანდელ აგრესიასთან დაკავშირებით უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, ლიბანში მშვიდობის დასამყარებლად გადაგზავნილიყო საგანგებო ძალები.

ამ ნაწილებში შევიდა ირანის, ნეპალის, ნორვეგიისა და საფრანგეთის ჯარები (4 ათასი კაცი), ჯარების უფროსად დაინიშნა გენერალ-მაიორი ე. ერსკინი (განა).

გაერო-ს ჯარების მიზანია თვალყური ადევნოს ისრაელის ჯარების გაყვანას ლიბანიდან, დაიცვას მშვიდობა და წესრიგი ამ რეგიონში. ჯარებმა ლიბანში 6 თვე უნდა დაჰყონ.

22 მარტს გაერო-ს ჯარებმა დაიწყეს ლიბანში პოზიციის დაკავება, მაგრამ „ცისფერი ჩაფხუტების“ მისიას ამუხრუჭებს ისრაელის მოქმედება, რომელიც აჭიანურებს ჯარის გაყვანას ოკუპირებული ტერიტორიიდან.

# დედამიწის დემოგრაფიული პორტრეტი

გაერო-ს 1977 წ. წელიწდეულში, რომელიც ამასწინათ გამოვიდა, აღნიშნულია, რომ დედამიწის მოსახლეობამ 1976 წელს 4.044 მილიონ ადამიანს მიაღწია. ერთ წელიწადში მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 77 მილიონით. თუ მოსახლეობის ყოველწლიური მატების დონე მომავალშიც ასე გაიზარდა (1,9 პრო-

# მცირე პიონერული ენციკლოპედია

## დოლი

დოლი ყველა თაობის პიონერთა ერთგული მეგობარია. სადაც უნდა იყოს რაზმი — საზეიმო ხაზზე, სპორტულ ზეიმზე თუ საპირველმაისო დემონსტრაციაზე, ლაშქრობაში მუდამ თანა აქვს უბრალო მუსიკალური საკრავი — პიონერული დოლი. დოლის ხმაზე ფეხშეწყობილი მიაბიჯებდნენ პირველი პიონერული რაზმები. და დღესაც, ყველა სასიხარულო და საზეიმო წუთს, შენს გვერდით მუდამ არის ხოლმე დოლი და მისი ხმა წინანდებურად უხმობს ნორჩ ლენინელებს სამშობლოს საკეთილდღეო საქმისათვის.

დოლის ხსენებაზე უნებლიეთ ალბათ ყველას გაგვახსენდება სხვადასხვა თაობის ბავშვების საყვარელი წიგნი — არკადი გაიდარის „მედოლის ბედი“. ის კი იშვიათად თუ იცის რომელიმე თქვენთაგანმა, რომ პირველ პიონერულ ჟურნალს, რომელიც რუსეთში გამოდიოდა, „барабан“-ი ერქვა. დოლი პიონერული ცხოვრების განუყრელი ატრიბუტია, მედოლეობა კი — საამაყო და საქებარი საქმე.

## საყვირი

საყვირი დოლის ღვიძლი ძმაა. საყვირის ხმაზე აღმართავენ ანძაზე წითელ დროშას. მაგრამ საყვირი ზოგჯერ საგანგაშოდაც ახმიანდება ხოლმე და მაშინ პიონერები სასწრაფოდ იკრიბებიან. საყვირი საღამოს საარსაც უკრავს, დასაძინებლად უხმობს ბავშვებს ბანაკში. დილით პიონერები საყვირის ხმაზე ხვდებიან ახალ დღეს. მაგრამ ზოგჯერ...

...სახალხო პარკი გერმანიის ქალაქ ჰალეში. ათასობით მუშას მოეყარა თავი ერნსტ ტელმანის მოსასმენად. აქ იყო თოთხმეტი წლის მესაყვირე ფრიც ვაინენკი — ნორჩი სპარტაკელი, რევოლუციური მოძრაობის მონაწილე. ჩვეულებრივ, მისი საყვირი მუშათა მიტინგზე და კრებებზე უხმობდა მუშებს, ფრიცმა იცოდა, რომ პოლიცია ხელიდან არ გაუშვებდა შესაძლებლობას, ხელი შეეშალა ტელმანის გამოსვლისათვის.

ერნსტ ტელმანი ლაპარაკობდა ოქტომბრის რევოლუციაზე, მსოფლიო პროლეტარიატის ერთიანობაზე. ვერა-

ცენტით), მაშინ 37 წლის შემდეგ ე. ი. 2013 წელს დედამიწის მოსახლეობა გაორკეცდება.

აზიაში ცხოვრობს 2.304 მილიონი ადამიანი, ანუ დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტი (57 პროცენტი), ევროპაში — 476 მილიონი (11,8 პროცენტი), აფრიკაში — 412 მილიონი (10,2 პროცენტი), ლათინურ ამერიკაში — 333 მილიონი, (6,4 პროცენტი), ჩრდილო ამერიკაში — 339 მილიონი (5,9 პროცენტი).

სხვა რეგიონებთან შედარებით მოსახლეობის ყველაზე სწრაფი ზრდით გამოირჩევა აფრიკა.

ყველაზე ნელა მოსახლეობა იზრდება ევროპაში. ნიგერიასა და ზამბიაში 1000 ადამიანზე 52 ბავშვი იბადება, მალავსა და ტოგოში — 51, მალიში, ლიბერიაში — 50.

ახალდაბადებულთა ყველაზე დაბალი რიცხვია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (ათას კაცზე 9,8), შემდეგ მოდის შვეცია (11,9), ინგლისი (12,1), ბელგია (12,2), შვეიცარია (12,3), ნიდერლანდები (12,9), ნორვეგია (14,1).

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ყველაზე მეტია ქალებისათვის (77,80 წელი) ნორვეგიაში და მამაკაცებისათვის 72, 77 წელი — შვეიცარიაში, აფრიკის უმეტეს ქვეყნებში სიცოცხლის ხანგრძლივობა 50 წელს არ აღემატება, ზოგან კი — 40 წელზე ნაკლებიც არის.

ვინ შენიშნა, როგორ შევიდნენ ხალხში პოლიციელები. ვაინეკმა ყველაზე ადრე დაინახა ისინი. საყვირი ასწია და ტუჩებთან მიიტანა, მაგრამ პოლიციელი მივარდა. ბიჭმა საყვირი ჩასცხო მას და ამ დროს მუშებიც მოცვივდნენ მის დასახმარებლად. პოლიციელებმა სროლა ატეხეს. ერთ-ერთი პირველი იმ დღეს, 1925 წლის 13 მარტს, დაეცა ფრიც ვაინეკი.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მის გმირობაზე დაწერილია წიგნები, გადაღებულია ფილმები, პიონერული რაზმეულების ალმებს მისი სახელი ამშვენებს; ჰალეში ნორჩ მესაყვირეს ძეგლიც აუგეს. ამ ძეგლის ასლი გერმანელმა ბავშვებმა ჩვენს პიონერებს აჩუქეს. მოსკოვის პიონერთა სასახლეში დგას ამაყად თავაწეული, საყვირამართული ბრინჯაოს ფიგურა.

**ნორჩ მეყვავილეთა დასახმარებლად**

# ყვავილებით დავამშვენოთ ოთახი, ეზო, გარემო

საქვეყნოდ ცნობილია, რომ დედაბუნება თანდათან ხელიდან გვეცლება. თუ ეს მეტად საშიში პროცესი არ შევაჩერეთ და ბუნებას მხარში არ ამოვუდექით, უახლოეს მომავალში ჩვენი დედამიწა, ბიოსფერო და ჰიდროსფერო უკვე ვეღარ დააკმაყოფილებს სასიცოცხლო მოთხოვნილებებს.

ამიტომ საჭიროა, რაც შეიძლება მეტი მცენარეულობა ვამრავლოთ შინ და გარეთ. ყვავილი აკეთილშობილებს და ამშვენებს ადამიანს, უნერგავს სიფაქიზეს, აღუძრავს ესთეტიკურ გრძნობებს.

ყვავილი ალამაზებს ცხოვრებას. იგი ჩვენი განუყრელი მეგობარია. უყვავილოდ ოთახი ცარიელი, ცივი და მოწყენილია.

ყვავილების მოვლა არ მოითხოვს დიდ ცოდნასა და მომქანცველ შრომას. პირიქით, ეს საქმიანობა სახალისო და სასიამოვნოა. სხვას რომ თავი გავანებოთ, ოთახში მცენარეების გაშენება ჯანმრთელობისთვისაც სასარგებლოა, რადგანაც ჰაერს აჯანსაღებს. ზოგი ოთახის მცენარე გამოყოფს ავტოვიტამინებს — ადამიანისათვის მეტად სასარგებლო მქროლავ ორგანულ ნივთიერებებს, რომლებიც დადებითად მოქმედებენ სასუნთქ ორგანოებზე, სისხლზე, ნერვულ სისტემაზე.



ოთახის მცენარეებს სათუთი მოვლა სჭირდებათ, — უნდა ვიცოდეთ, როგორ შევურჩიოთ მათ ნიადაგი, განათება, სითბო, ტენი. გთავაზობთ მცენარის მოვლა-პატრონობის წესებს:

ს უ მ ბ უ ლ ი საუკეთესო მცენარეა ადრეულა ყვავილნარების მოსაწყობად, ისხამს იშვიათ სურნელოვან ყვავილს, კარგად ხარობს ფხვიერ, ღრმად დამუშავებულ და ძველი, გადამწვარი ნაკელით განოყიერებულ ნიადაგში. ბოლქვები უნდა დაირგას ღრმად, ყვავილობის შემდეგ (ზაფხულში) ბოლქვებს იღებენ ნიადაგიდან, კარგად გამოაშრობენ, ინახავენ და შემოდგომაზე ისევ რგავენ ღია გრუნტში, ქოთანში, მისი მრავალფეროვანი ყვავილი ლამაზ ყვავილედად არის შეკრული. სუმბული კარგად ყვავილობს გრილ ოთახში, რწყავენ ზომიერად, ადვილად მრავლდება ბოლქვის კბილებით.



. . .

ტ ი ტ ა საკმაოდ ცნობილი და გავრცელებული ბოლქვიანი მცენარეა. მისი ყვავილები ცალპირა ფორმისაა, სადა ან აჭრელებული ფერები დასდევს, აქვს ნაზი, სასიამოვნო სურნელება. ტიტა კარგია ეზოში ყვავილნარების მოსაწყობად, მწკრივებსა და კლუმბებში დასარგავად. არის ტიტას ნაგალა, მაღალი, ადრეულა და გვიანმოყვავილე და ფერების მიხედვით მრავალნაირი: თეთრი, იისფერი, წითელი, ყვითელი, მრავლდება ბოლქვუნებით. ბოლქვებს ზამთარში გრილ შენობაში ინახავენ.

**ირაკლი ხმალაძე,**
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.



# ჩანგური

ფოლკლორული

განყოფილებას ხელმძღვანელობს
ნოდარ შამანაძე.



## ფუტკარი

— რად გამაღვიძე, ფუტკარო,
ამ უთენია დილითა,
იქნებ იმიტომ არ გძინავს,
გალეშილი ხარ ღვინითა?!
— არა, ჩვენ ღვინოს არა ვსვამთ,
ისე ვართ სავსე ლხინითა,
გული და სული გვიხარის,
მზე რომ ამოვა დილითა,
შენც ადრე უნდა წამოდგე,
მზეს შეეგებო დილითა,
ბედნიერება ვინ ნახა
ლოგინში წოლა-ძილითა?!

მთქმელი — შუშანა ხარშილაძე (71 წ.);
ჩამწერი — ლიანა კანთელაშვილი. ხაშურის რაიონის სოფ. ტკოცის რვაწლიანი სკოლის VII კლასის მოსწავლე.



## ზაჰესი

არაგვი ადიდებულა
და შერეულა მტკვარშია;
ზაჰესმა დიდი საქმე ქნა,
ხალხს ამოუდგა მხარშია,
ქარხნები აამუშავა,
სინათლეს გვაძლევს თვალშია.

მთქმელი — ვასილ გულბათაშვილი (72 წ.);
ჩამწერი — დალი გულბათაშვილი, მცხეთის რაიონის გალავნის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.



## ცელო, მოუსვი ბალახსა...

ცელო, მოუსვი ბალახსა,
არ დაგიბლაგვდეს პირია,
გამოკკა, გამოიტანე
ნიშა-ნიკორას წილია,
თიბე და თიბე ბალახი,
დააყრევინე ცვარია,
არცა დაბლაგვდე, არც გატყდე,
საუქმოდ არა გეცალია.

მთქმელი — კოლა კვიციანძე (69 წ.);
ჩამწერი — ნანა წიკლაური, გორის რაიონის სოფ. ბერშუეთის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

## დედის სურათი



შემომცქერიხარ გაღიმებული,
შემომცქერიხარ გალაღებული;
ერთი რამ მაინც ვიცოდე ნეტავ,
რომელ წელშია გადაღებული,
რა იქნებოდა, გეცოცხლა, დედა,
რომ შენი მკერდის სითბო მენახა.
მე ვენაცვალე იმის მარჯვენას,
ვინც შენი სახე შემომინახა.

მთქმელი — პეტრე წიკლაური (46 წ.);
ჩამწერი — ქრისტინე დოლიძე, თიანეთის რაიონის ხევსურსოფლის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.



## რატომ ემტერება მგელი ძაღლს?

თავდაპირველად ძაღლი და მგელი კარგი მეგობრები ყოფილან, ძაღლს გეშის კარგად აღება ემარჯვებოდა თურმე, მგელს კი სხეულის გათბობა ეხერხებოდა. ერთხელ ძაღლმა მგელს სთხოვა: მე გეშის აღებას გასწავლი, შენ კი მასწავლე, როგორ გავთბეო. მგელი დასთანხმებია და უთქვამს: კარგად რომ გათბე, დაწოლის წინ სამჯერ შემოტრიალდიო და ისე დაწექიო. ძაღლმა მოისმინა თუ არა მგლის დარიგება, იშვირა ფეხი და გაიქცა, მგელს გეშის აღება არ ასწავლა. ამის შემდეგ მგელი ძაღლის დაუძინებელი მტერია.

მთქმელი — დარეჯან შუბითიძე (71 წ.);
ჩამწერი — გიორგი შუბითიძე, ხაშურის რაიონის ტკოცის რვაწლიანი სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

## რევოლუციონერ პატიმრის სიმღერა



წითელი რაზმის წევრი ვარ,
მტერი ვარ მჩაგვრელისაო,
მომნახეს, დამაპატიმრეს,
გადავეყარე ჭირსაო,
ციხეში გამომწყვდეულმა
შუქი არ ვიცი მზისაო,
ჩიტებო, გემუდარებით
მიამბეთ ჩემი მხრისაო.
ჩემო ლამაზო სოფელო,
ხევიანო და მთიანო,
ნეტავი შენსა კალთებზე
წყარონი ისევ დიანო,
ან მზე თუ ბრწყინავს ისევა
და ვარსკვლავები კრთიანო?
ვამაყობ: ჩვენი ბიჭები
უტეხ მებრძოლად მთლიანო.

მთქმელი — დარო არდაზიშვილი (75 წ);
ჩამწერი — ეთერ გეჯანიშვილი, თიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთ ხევის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

## რატომ დაერქვა ახმეტა?



ახმეტის რაიონში ერთ დროს დიდად ნაქები ყოფილა ბითაანის ვენახები. ერთხელ თურმე გზადგავლილ მგზავრს წყალი მოსწყურებია, მასპინძელს კი ღვინო დაულევინებია, მგზავრს რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ გახსენებია ღვინის გემო და უთქვამს: ,,ახ, ნეტა, ბითაანის ღვინისა კიდევ დამალევინაო". შემდეგ ,,ნ" ,,მ"-თი შეიცვალა და ასე წარმოიშვა სახელწოდება ,,ახმეტა".

მთქმელი — კატო ჟიჟიაშვილი (84 წ.);
ჩამწერი — ლია მღვდლიშვილი, ახმეტის 1-ლი საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

## მეცხვარის სიმღერა



მე ჩემი ოფლით ვიცხოვრებ,
სხვისი შემყურე არ ვარო,
ფარა მყავს, დავხეტიალობ,
სულ მთა-ღრეებში დავალო.
ცხვარს რომ შევუსევ სერებსა
და იქვე წამოვგორდები,
მგონია მუდამ ვიცოცხლებ,
სულ არასოდეს მოვკვდები.
გული თავისით ღიღინებს,
არ სურს წადილი დამალოს;
ცხვარო, იხარე, გალაღდი,
სიკეთის შთამომავალო.

მთქმელი — ლადო ბოგაშვილი (70 წ.);
ჩამწერი — მანანა სპანდერაშვილი, ლაგოდეხის ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

## კუდი



ერთი ფშაველი კაცი სახლს აშენებდა. ეხმარებოდა მეზობელი, რომელსაც მაღალი, წოწოლა ქუდი ეხურა. მათ ასე წაიკაფიავეს:

— კარატიელო, დაგიწვი
დუხაბორივით ქუდია;
— ე ჩემი ქუდი იმას ჰგავს,
შენ რომ სახლ წამოჰყუდეა,
ზეით კი ვეღარ დაჰხურე,
დარჩის, დადგების გუბეა.

მთქმელი — იაკოგ ყაყიდაშვილი (70 წ.);
ჩამწერი — იზა ჯიმშიტაშვილი, მ. გელოვანის სახელობის თიანეთის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.



## სხვავა

სხვავა ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია რაჭაში. მას ყოველი მხრიდან მაღალი მთები აკრავს, გვერდით კი ყინულივით ცივი, კალმახიანი კრიხულა ჩამოუდის.

ერთხელ ვახტანგ გორგასალი რაჭაში ყოფილა სანადიროდ. გზად ზემოთ ხსენებულ სოფელში გამოუვლია, ერთ მაღალ სერზე შეჩერებულა თავისი ამალით და იქაურობისთვის თვალი გადაუვლია, შემდეგ ცხენიდან ჩამომხტარა, ცივი წყლით სახე გაუგრილებია, საღამოს გრილი ნიავი ღრმად ჩაუსუნთქავს და კმაყოფილებით უთქვამს — აქ სულ სხვა ჰავააო.

მას შემდეგ ამ სოფელს სხვავა დაერქვა.

მთქმელი — ქიონია არჩვაძე (72 წ.);
ჩამწერი — ნანა არჩვაძე, ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვავის რვაწლიანი სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

## დედოფლის მინდორი



ერთხელ თამარ მეფე ომიდან ბრუნდებოდა. გზად ერთი ლამაზი, ვარდ-ყვავილებით აღაღანებული მინდორი შეხვედრია. მეფეს მინდორი მოსწონებია და ლაშქრისათვის უბრძანებია, აქ დავისვენოთო. დიდხანს ტკბებოდა თურმე თამარი ლამაზი მინდვრის ცქერით. ხალხმა დიდი მეფის პატივსაცემად იმ მინდორს ,,დედოფლის მინდორი" უწოდა. ახლაც ასე ეძახიან.

მთქმელი — ა. ფუხაშვილი (72 წ.);
ჩამწერი — ნინო ფუხაშვილი, ქარელის რაიონის ფციის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

## ანდაზები

1. ბრმა ქათამს ჰგონია, ყველგან ხორბალი ყრიაო.
2. მგელი რომ დაბერდება, ძაღლები ხუმრობას დაუწყებენო.
3. ქალსა დედა გაუსინჯე, სამოსელსა ნაწიბურიო.
4. ზაფხულში ოფლი დაღვარე, იშრომე მონდომებითა, თუ გინდა იყო ზამთარში ტკბილად და მოსვენებითა.
5. მარტი რომ წინ გედგასო, ცხრა დღის წყალიც შინ გედგასო.
6. ამხანაგი ნუ გძულსო, ნაშოვარი ნუ გშურსო.
7. ბარისა ბარელსა ჰკითხე, მთისა — მთიელსაო.
8. დამპალი თოკით ორმოში არ ჩაისვლებისო.
9. დარიგება იმას სთხოვე, ვინც დარიგებულად ცხოვრობსო.
10. ვინც სხვის იმედით იქნება, ის უვახშმოდ დარჩებაო.
11. იყავ მაგარი და არა ჯიუტიო.
12. ლხინში ნაბიჯით წადი, ჭირში — სირბილითაო.

მთქმელი — მიხეილ წიკლაური (86 წ.);
ჩამწერი — ნანა წიკლაური, გორის რაიონის ბერშუეთის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.



## წიგნები

**ნინო ბეჟარაშვილი**

### ერთი ბიჭის ზღაპარი

თქვენ ალბათ ბევრი ზღაპარი წაგიკითხავთ და იმ ზღაპრებში ჯადოქრებიც შეგხვედრიათ. ასე არ არის? ის ჯადოქრები, უკლებლივ ყველანი, ავები არიან, სულ იმას ფიქრობენ, ადამიანებს რა დავუშავოთო.

მაგრამ ზღაპრებში თურმე კეთილი ჯადოქრებიც ცხოვრობენ. რაო, არა გჯერათ? მაშინ გადაშალეთ ნინო ბეჟარაშვილის წიგნი „ერთი ბიჭის ზღაპარი" და მოძებნეთ პატარა მოთხრობა სათაურით: „კეთილი ჯადოქარი". აბა, წაიკითხეთ და ნახავთ, მართალი ვარ თუ არა...

...მამა ომში იყო, დედა ყოველდღე სამუშაოზე დადიოდა და პატარა გოგონა მარტოკა რჩებოდა ცარიელ სახლში. ჰოდა, მოწყენილსა და დაღონებულს ერთხელ პაწია ჯადოქარი გამოეცხადა, რომელიც „პატარა თოჯინას მიაგავდა. თეთრი, გამჭვირვალე კაბა ეცვა და ზედ ოქრომკედით ნაქარგი არშიები ჰქონდა მოვლებული. ძაფივით წვრილ წელზეც ოქროს ქამარი ერტყა". მივიდა გოგონასთან ეს ლამაზი ჯადოქარი, მიუალერსა, ქაღალდზე კურდღელი დაუხატა და წავიდა. ის კურდღელი კი უცებ გაცოცხლდა, ყურები ცქვიტა, ტუჩები ააცმაცუნა და ტყის ამბები მოუყვა გოგონას. მეორედ მოსვლისას ჯადოქარმა ციყვი დაუხატა და... ახლა ციყვმა ისკუპა ქაღალდიდან, შიგ კალთაში ჩაუხტა გაოცებულ გოგონას და თავისი საოცარი სიმღერით დაატკბო. და ასე, ხან რას ხატავდა კეთილი ჯადოქარი და ხან კიდევ რას, მერე ის ნახატები ცოცხლდებოდნენ და ართობდნენ გოგონას. მოწყენილობამ კი გუდა-ნაბადი აიკრიფა და ცხრა მთას იქით გადაიკარგა.

ბოლოს აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ის, რაც გოგონას თავს გადახდა, თურმე მშვენიერ ნახატებიან წიგნში ეხატა და ეწერა...

ჰოდა, თქვენც გირჩევთ, ბავშვებო, როცა მოწყენილობა მოგეძალებათ, აიღეთ ნინო ბეჟარაშვილის ეს ლამაზი, საინტერესო წიგნი და ნახავთ, რა უცებ დაგავიწყდებათ მარტოობა!




---



### ლოცვის ნაცვლად...

ერთმა დასავლეთგერმანელმა სტუდენტმა კუნძულ ტაივანზე ყოფნისას გადაწყვიტა მთის მწვერვალზე აღმართული ბუდისტური მონასტერი მოენახულებინა. მთელი დღე იარა ფეხით და მხოლოდ საღამოს მიაღწია მონასტრამდე. დიდხანს აკაკუნა ალაყაფის კარზე. ბოლოს, როგორც იქნა, კარი გაიღო და ერთი ბერი სტუმარს გრძელ დერეფანში შეუძღვა. დერეფნის ბოლოს მბჟუტავი სინათლე და იატაკზე მსხდომ ადამიანთა ფიგურები მოჩანდა. „ალბათ ლოცულობენ", — გაიფიქრა სტუდენტმა.

რარიგ დიდი იყო მისი გაოცება, როცა ახლოს მივიდა. ლოცვის ნაცვლად, ბერებს ტელევიზორი ჩაერთოთ და იატაკზე ფეხმორთხმულნი გატაცებით უყურებდნენ ტელეგადაცემას.

### პურის ისტორიის მცოდნე

59 წლის შვეიცარიელი მაქს ვერენი ჯერ კიდევ 38 წლის წინათ დაინტერესა პურის ისტორიამ. მას შემდეგ მან პურის შესახებ 491 შრომა დაწერა, 45 რადიოგადაცემა მოამზადა, 10 გამოფენა მოაწყო შვეიცარიასა და სხვა ქვეყნებში, თავის სახლში შექმნა უნიკალური მუზეუმი, სადაც ექსპონირებულია ძველ ეგვიპტეში, ძველ რომსა და უძველესი ხანის სხვა სახელმწიფოებში გამომცხვარი პურის ნიმუშები.

მაქს ვერენი 1960 წლიდან ხელმძღვანელობს ჟურნალს, რომელსაც „პურის ცხობის შვეიცარიული არქივი" ეწოდება. ვერენს მსოფლიოს ბევრი ქვეყნის არქეოლოგები მიმართავენ ხოლმე დახმარებისათვის, როცა გათხრების დროს პურის ნიმუშებს პოულობენ. მისი შრომები, კერძოდ, „პურის ისტორია", 11 ენაზეა თარგმნილი.

### როდის მოხდება ვარსკვლავებისაკენ პირველი გაფრენა?

ინგლისელ მეცნიერთა ჯგუფმა წამოაყენა ვარსკვლავ ბარნარდისაკენ საკვლევი აპარატის გაგზავნის პროექტი. ასტრონომთა მონაცემებით ამ ვარსკვლავს ახლავს პლანეტები, რომელთაგან ერთ-ერთი, შესაძლოა, ჩვენი დედამიწის მსგავსი იყოს. მზის სისტემიდან ბარნარდი ექვსი სინათლის წლის სიშორეზეა, ამიტომ ავტომატური აპარატი მისკენ სინათლის სიჩქარით უნდა მიფრინავდეს. გაფრენა ნავარაუდევია მთვარიდან. სტარტიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ აპარატი დაიწყებს ბარნარდის საპლანეტო სისტემის ფოტოსურათების გადმოცემას.

სპეციალისტების აზრით, ამ პროექტის განხორციელება 2200 წელს იქნება შესაძლებელი.

### აუცილებლად დარგე ხე!

ფილიპინების პრეზიდენტის ამასწინანდელი დადგენილების თანახმად, ქვეყნის ყველა მკვიდრი, რომელსაც „ბარის ხელში აღება შეუძლია", ვალდებულია ხუთი წლის მანძილზე ყოველ თვეში თითო ხე დარგოს და მოუაროს მას.

მთავრობა იმედოვნებს, რომ ამ ღონისძიების განხორციელებით კუნძულის ტყის ფონდი სულ ცოტა ორი მილიარდი ხით გაიზრდება. საქმე ის არის, რომ ათეულობით წლების მანძილზე ტყეები უმოწყალოდ იჩეხებოდა, რამაც ფილიპინებზე ჰავა მკვეთრად შეცვალა — დაიწყო კატასტროფული წყალდიდობები და ქარიშხლები. ახალი კამპანიის მიზანია კუნძულის ბუნებაში ადრინდელი წონასწორობის აღდგენა.

# ჭადრაკი

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი **შოთა ინწკირველი.**

გთავაზობთ ჩემს მიერ ჯერ ისევ მოსწავლეობისას ნათამაშევ პარტიას, რომელსაც მე და ჩემი მეტოქე ზეპირად — დაფაზე დაუხედავად ვთამაშობდით.

ნაშრომებში და მეთოდურ წერილებში საკუთარი პარტიების გარჩევა მიზანშეწონილად ითვლება, რადგან ავტორმა უკეთ იცის თავისი პარტიის ყველა ნიუანსი. შესაძლებელი ხდება მართალი თხრობა იმისა, თუ რას ფიქრობს მოჭადრაკე პარტიის მსვლელობისას.

## ლაზიერის ინტუიტური შეწირვა

(შეწირვის პრაქტიკულ-ფსიქოლოგიური ფაქტორები)

„შეწირვა უნდა შეაფასო არა მარტო მისი სისწორით, არამედ მისი საშიშროებითაც".

შპილმანი

„მე ვამტკიცებ, რომ ჭადრაკში ყველაზე მთავარია, იყო უშიშარი მებრძოლი".

ტალი

პარტია № 3
ესპანური პარტია
მახარაძე, 1946 წ.

თეთრები: შ. ინწკირველი (მესამეთანრიგოსანი);
შავები: გ. ლომაძე (მეორეთანრიგოსანი);

**1.e4 e5 2.მf3 მc6 3.კb5 a6 4.კa4 d6 5.c3 კd7 6.d3 კe7 7.მb-d2 მf6 8.მf1 კg4 9.მe3 კh5 10. 0-0 ლd7.**

მოწინააღმდეგემ რამდენადმე ორიგინალურად გაითამაშა დებიუტი. იგი თავის თავს ამის ნებას აძლევს კვალიფიკაციასა და გამოცდილებაში უპირატესობის გამო (ის მაშინ სპორტსაზოგადოება „კრასნაია ზნამიას" საქართველოს ჩემპიონი იყო). ახლა იგი როქისაგან თავს იკავებს და სურს მთელი ძალებით, თუ საჭირო იქნება, პაიკებითაც შეუტიოს თეთრების მეფეს.

**11.მf5 b5 12.მ:e7??**

შაბლონური, დოგმატური სვლაა, გაკეთებული ზოგადი მოსაზრებით — ორი კუს უპირატესობის მოსაპოვებლად. ეს „უწყინარი" სვლა შესაძლოა საბედისწერო გამხდარიყო თეთრებისათვის. ასეა, როცა თეორია ზერელედ იცი, ძვალსა და რბილში არ გაგჯდომია, „შენად" არ ქცეულა.

„g7" პაიკის აყვანა და საკუთარი მეფის წინააღმდეგ ხაზის გახსნა სახიფათოდ მეჩვენა.

**12... მ:e7**

მე-12 სვლით არა მარტო კარგი მხედარი გავცვალე, რომელმაც აგრეთვე რამდენიმე ტემპი გაიყოლია — მb-d2-f1-e3-f5:e7, არამედ შავ მხედარს მეფის ფრთაზე გადმოსვლაშიც დავეხმარე, სადაც ის მთავარ, ლამის გადამწყვეტ, დამრტყმელ ძალად წარმოჩინდება!

**13.კb3 მg6 14.ეe1.**

კიდევ ერთი შაბლონურ-ავტომატური, სტანდარტული სვლა, თუმცა უამისოდაც ცუდად არის თეთრების საქმე, რაც ნათლად ჩანს შემდეგი შესაძლო გაგრძელებიდან: 14. h3 მh4 15.g4 კ:g4!

**14... მh4**



**15.მ:h4??!!**

ლაზიერის შეწირვას არაკორექტული, ავანტურისტული ელფერი დაჰკრავს, მაგრამ ეს ნაკარნახევია პრაქტიკული მოსაზრებით — ჩვეულებრივი „კანონიერი" გზა უპერსპექტივოა.

შეწირვის კლასიფიკაციით იგი ინტუიტურს განეკუთვნება. ინტუიტური შეწირვა ფაქტიურად რეალური შეწირვაა (იხ. პარტიები ებრალიძე — მაკაგონოვი, „პიონერი" № 2, 1976 წ. ხუბულური — ალექსანდრია, „პიონერი" № 12, 1977 წ.), მას შემოქმედებითსაც უწოდებენ, მაგრამ პრაქტიკული რისკის მეტ დოზას შეიცავს. ამ დროს ყველაფერი უკიდურესობამდეა დაყვანილი. შეწირვა ახალ რთულ პრობლემებს აყენებს. პოზიციის, თუ შეიძლება ითქვას — ქაოსურობის გამო მომავალი გაურკვეველია. ვარიანტების ბოლომდე გათვლა შეუძლებელია (ის დამხმარე როლს თამაშობს). ამ შემთხვევაში უნდა დავეყრდნოთ პოზიციის გაგებას — მის შეფასებას პერსპექტივაში, ინტუიციას, ფანტაზიას და რისკს.

რომანტიზმის უკანასკნელი მოჰიკანი დიდოსტატი რუდოლფ შპილმანი (ვენა. 1884-1942) შემწირველის, შემტევი მხარის მნიშვნელოვან შანსად, სხვა ფაქტორებთან ერთად, მიიჩნევს იმას, რომ მოწინააღმდეგე ყოველთვის ვერ იპოვნის უძლიერეს გაგრძელებებს... აქ, მოულოდნელობასთან ერთად, მთავარ ფსიქოლოგიურ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ, რომ მეტოქემ უთუოდ იფიქრა „ეს განწირულის ნაბიჯია" და პარტია „ადვილად, თავისთავად მოგებულად" ჩათვალა. ეს უკანასკნელი კი საკმაოდ გავრცელებული, ტიპური და მეტად სახიფათო მიკრობია!

**15... კ:d1 16.კ:d1!** (ნიშნები მაშინდელი დასმულია) **16... h6 17.d4 g5.**

მოწინააღმდეგეს სურს განდევნოს მხედარი და დაიწყოს შეტევა მეფის ფრთაზე. ახლა, მართალია, „f5" უჯრა სუსტდება, მაგრამ იგრძნობა, რომ მეტოქე 18.მf5-ს ტაქტიკურ შეცდომად მიიჩნევდა 18... მ:e4 გამო და, ცხადია, მახეს მიგებს. მე ვხედავდი, რომ ეს ბრძოლის გართულების საშუალებას მაძლევდა. ყოველივე ამან ოპტიმისტურად განმაწყო. თითქოს საკუთარ თავს მივაგენი და ბრძოლაში მთელი არსებით ჩავები.

**18.მf5 მ:e4 19.კg4.**

ინიციატივის დაუფლების ცდა.

**19... ლc6 20.d5! ლc4! 21. კe2 ლc5 22.კe3 ლ:d5 23.კf3 ლb7 24.კd4! d5 25.კ:e5 ეh7.**

რაღაცას მივაღწიე. მეტოქეს თითქოს აშკარა შეცდომა არ მოსვლია.

ჭადრაკი თავისი ბუნებით ორი რამდენადმე წინააღმდეგობრივი საწყისის — პრაქტიკულისა და ანალიტიკურის მატარებელია. ერთია შეწირვის უარყოფა, მისი არაკორექტულობის დადგენა კაბინეტური ანალიზით და მეორეა საბრძოლო სიტუაცია, სადაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვან, შესაძლოა, გადამწყვეტ როლს თამაშობს საათი!

ჩვენი აზრით, ამ პარადოქსული ბუნების გაუთვალისწინებლობა იყო თავის დროზე ჭადრაკის ისტორიაში ერთ-ერთი მოვლენის, მიხეილ ტალის... ავანტიურისტად მონათვლის მიზეზი. არ შეიძლება ე. წ. „მთლიანი" ან „მონუმენტური" პარტიების გაფეტიშება (რომელთა უმრავლესობა ცალ კარში თამაშს გვაგონებს). ასეთი პარტიები ძირითადად იქმნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოწინააღმდეგის ნ ე ბ ა ყ ო ფ ლ ო ბ ი თ ი შეცდომით, რომელიც უფრო ტექნიკური ყაიდისაა, „შიშველი ტექნიკით" ფონს ვერ გახვალ, განსაკუთრებით ჩვენს ტექნიკის საუკუნეში. ძირითადად პოზიციის გამწვავებით, რისკის გაწევით თუ გამოიწვევ მოწინააღმდეგის შეცდომას. უპირველესად აქ უნდა იჩინოს თავი ინდივიდმა, მისმა „ღვთით მონიჭებულმა მადლმა".

დიდი ლასკერი თვლიდა, რომ ჭადრაკი უპირველეს ყოვლისა ბრძოლაა, რაშიაც ადამიანი ჰპოვებსო უმაღლეს კმაყოფილებას. ჭადრაკის დაფასთან გადამწყვეტ როლს თამაშობსო მოჭადრაკის განცდები.

**26.მe3!!**

იწვევს „d6“ უჯრის დასუსტებას. საყურადღებოა: ულაზიეროდ თეთრები ისეთი გულდაჯერებით თუ გულდამშვიდებით (გნებავთ, მეთოდურადაც) იბრძვიან, თითქოს დაფაზე მატერიალური თანაფარდობა იყოს! გვახსოვდეს: ინტუიტური შეწირვის შემდეგ თავისუფალი უნდა ვიყოთ მოწინააღმდეგის მატერიალური უპირატესობის დამთრგუნველი გავლენისაგან წინასწარ უნდა ვიყოთ ფსიქოლოგიურად შემზადებული მსგავსი სიტუაციისათვის.

26... c6! 27.მf5 ლa7 28.მd6+ მფf8.

თუ 28... მ:d6, მაშინ 29. კd4+ლe7 30.კf6!! ლ:e1+ 31. ე:e1+ მe4 (31... მფd7 32. ეe7+) 32.ე:e4+! de 33.კ:e4 ეს პოზიცია ღირებულებათა გადაფასების კარგი მაგალითია. უკეთ განლაგებული, შეთანხმებული ორი კუ ჯაბნის ცუდად განლაგებულ, გათიშულ ორ ეტლს, აზრი იმარჯვებს უხეშ მატერიაზე!

თუ 30... ლe6, მაშინ 31. კg4 ან 30... ლe4 31. კ:e4 de 32. ეa—d1.

29. მ:e4 de 30. კ:e4.



შავი ფიგურები გათიშული. დაქსაქსულია და მათ მობილიზაცია-კონსოლიდაციას საგრძნობლად აბრკოლებს თავშესაფარს მოკლებული მეფის მდგომარეობა (რომელიც ფეხებში ებლანდება თავის ფიგურებს). ღია პოზიციაში საგრძნობი გახდა აგრეთვე ორი (ცენტრალიზებული) კუს ძალა. შესაძლოა, შეწირული ლაზიერის კომპენსაცია არც აქ მქონდეს, მაგრამ შეტევის თუ ინიციატივის ფლობა მორალური უპირატესობაც არის, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ პარტიაში.

30... f5 31.კ:f5 ეf7 32.კd6+ მფg8.

შესაძლოა, მეტოქეს „f2“-ზე მუქარით კონტრთამაშის მიღების შესაძლებლობა ესახებოდა.

33.კe6! ლ:f2+ 34.მფh1 მფh8 35.კ:f7 ლ:f7 36.ეe7 ლf2 37. კe5+ მფg8 38.კd4 ლf4 39. მფg1 c5 40.ეf1.

პოზიციური უპირატესობის მატერიალიზაცია.

40...ლ:f1+ 41.მფ:f1 cd 42.cd.

ბრძოლა ეტლების ენდშპილში გადავიდა. ზედმეტი პაიკის რეალიზაცია არცთუ იოლია.

42... ეd8 43.ეe4 მფf7 44. მფe2 მფf6 45.მფd3 ეc8 46. d5 ეc1 47.ეe6+ მფf5 48.ე:h6 ეd1+ 49.მფc3 ე:d5 50.ე:a6 ეd1.

შავები ხსნას კონტრთამაშში ეძებენ.

51.ეa5 ეg1 52.ე:b5+მფg4 53.g3 ეg2 54.h3+! მფh5 55. g4+ მფh4 56. ეd5 ეg3+ 57. ეd3 ე:h3 58.ე:h3+ მფ:h3 59. a4.

შავები დანებდნენ, რადგან მათი „g“ პაიკი ლაზიერად გადაქცევას ვერ ასწრებს.

„ჭადრაკი ამოუწურავია. საკმარისია გაკეთდეს თუნდაც ერთი გაუაზრებელი სვლა, რომ მეტოქის ყველაზე შორეული ოცნებაც კი სინამდვილედ იქცეს“.

ბრონშტეინი

# საძიებელი


ხერგიანი მ. — ჩვენი შრომითი მეოთხედი (ნარკვევი — გარეკ 1 გვერდი).
ერემოვი გრ. — მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი (წერილი) 3
აფხაზავა ნ. — სეტყვა და ქვა (მოთხრობა) . . . . 5
მეტრეველი თ. — სტენდები მოგვითხრობენ (ფოტორეპორტაჟი) . . . . . . . . 12
ჰიჰინაძე ლ. — პედაგოგი და ლიტერატორი (მოგონება) . 14
არაბული მ. — შვილი (ლექსი) . . . . . . 15
ზნეობის ანბანი — სულმდაბლობა . . . . 16
ქავჟარაძე ირ. — (პატარ-პატარა ამბები) თარგმანი ფრანგულიდან . . . . . . . 17
აისი . . . . . . . . 18
პეტრიაშვილი გ. მკურნალი (მოთხრობა) . . . . . . . 19
რეხვიაშვილი ს. — საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებული (წერილი) . . . . . . . 22
გულიჩოვი ა. — გავრილოვის აღზრდა (მოთხრობა) . . 23
საერთაშორისო ორგანიზაციები (წერილი) . . . 26
მცირე პიონერული ენციკლოპედია . . . . . 26
ხმალაძე ი. — ყვავილებით დავამშვენოთ ოთახი, ეზო, გარემო (წერილი) . . . . . . . . . . 27
შევკრიბოთ ხალხური საუნჯე . . . . . . 28
ახალი წიგნები, ჯადოსნური სარკე . . . . . 30
ინწკირველი შ. — მხედრიონი . . . . . . 31
ცხრაკლიტული — გარეკ. III გვ.



გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ნიკო ხერკელაძისა, მეოთხე გვერდის — დიმიტრი ზარაფიშვილისა.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.



სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.



ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-03 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 23/VII-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VIII-78 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35. შეკვ. № 1831. ტირ. 148.000. უე 08722.

ფასი 20 კაპიკი




© „პიონერი“, 1978 წ.


რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

# კ რ ო ს ვ ო რ დ ი



**შ ვ ე უ ლ ა დ:** 1. თბილისის ერთ-ერთი უბანი; 2. მინის ჭურჭელი; 3. ესტონეთის დედაქალაქი; 4. საბჭოთა კოსმონავტი; 5. XIX საუკუნის ფრანგი ქართველოლოგი, 6. ცნობილი ქართველი მწერალი; 9. სოფელი ყაზბეგის რაიონში; 10. შექსპირის პიესის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი; 18. შვეციაში მცხოვრები ქართველი მოჭადრაკე; 19. სოფელი ქართლში; 20. სახელმწიფო სამხრეთ აზიაში; 21. სამხედრო წოდება; 26. XIX საუკუნის ფრანგი მწერალი; 27. ქართული მხატვრული ფილმი; 28. გერმანელი მწერალი, ილია ჭავჭავაძის მეგობარი; 29. პირველი რევოლუციური გაზეთი.

**თ ა რ ა ზ უ ლ ა დ:** 7. ქრილობა, ანუ? 8. მამაკაცის სახელი; 11. მარტოხელა, ანუ? 12. ტანმორჩილი, ანუ? 13. კარმიდამო, ანუ? 14. ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორი; 15. ხის ჯიში; 16. ქართული ხალხური სიმღერა; 17. ყურძნის მტევნების ასხმულა; 20. ცნობილი შვედი ჩოგბურთელი; 22. გმირი ქალაქი სსრკ-ში; 23. ფართობის საზომი ერთეული; 24. ბიბლიური პიროვნება; 25. ქალაქი ევროპაში; 26. დედამიწის უმაღლესი ქედი; 30. ჭადრაკის ფიგურათა გადაადგილება, რაც ერთ სვლად ითვლება.

კახა გაგიტაშვილი,
თბილისის 39-ე საშუალო სკოლა, V კლასი.

## რამდენ ფართობზე ბალახობს ძროხა?

შემოღობილი ოთხკუთხედი საძოვრის ფართობი 32X24 მეტრია, ოთხკუთხედის დიაგონალის სიგრძე 40 მეტრს უდრის. დიაგონალზე, საძოვრის ერთ-ერთი კუთხიდან 10 მეტრის დაშორებით ჩარჭობილია პალო.

ძროხას ყელზე ჯაჭვი აქვს შემოხვეული, ჯაჭვს 10 მეტრი სიგრძის თოკი აქვს მიბმული. შემოღობილი ფართობის რამდენი პროცენტის მოძოვა შეუძლია ძროხას?




## რამდენი ხუთკუთხედია?

დახედეთ ნახაზს და დათვალეთ, რამდენი ხუთკუთხედია ამ ფიგურაში.



## რამდენი წლისაა თითოეული?

ერთ სოფელში ცხოვრობს ოთხი ძმა. მათი წლოვანების ნამრავლი უდრის 21-ს. ყოველი მათგანის წლოვანება მთელი რიცხვის ტოლია. რამდენი წლისაა თითოეული ძმა?



## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

სძინავს თუ ფხიზლობს,
მოძრაობს თუ დგას,
მოუცილებლად
ჩანთა თანა აქვს.

მიდიხარ — უახლოვდები,
მიხვალ და—ისევ შორდები.

ვაჟა მაგრაქველიძე,

ადვილი მისახვედრია,
არ დაგჭირდებათ ფიქრი,
წყლიდან ამოაქვთ, მაგრამ
წყალში იშლება იგი.

ირინა ჩაჩანიძე,
ქ. ჭიათურის მე-4 საშუალო სკოლა. II რაზ. საბჭ. თავ-რე.

### პასუხი № 5-ში მოთავსებულ ცხრაკლიტულზე

#### კროსვორდი

თარაზულად: 5. ლენტი; 6. გოლფი; 7. გნოლი; 8. მარში; 14. ძაღლი; 15. ანდანტე; 16. ვაზნა; 19. დრაკონი; 20. ეპითეტი; 21. რკო; 22. ანი; 27. ევრაზია; 28. ინდექსი; 32. აზოტი; 33. ზამბეზი; 34. ირანი; 37. გენუა; 38. პალმა; 39. აგანა; 40. არალი.

შვეულად: 1. ნეონი; 2. ეტალონი; 3. მოცარტი; 4. აფიშა; 9. გაგრა; 10. ბლოკი; 11. ტაო; 12. საათი; 13. კნუტი; 17. ანაკლია; 18. აპენინი; 23. ავაზა; 24. პალტო; 25. მეტრი; 26. უსენი; 29. სატურნი; 30. აბო; 31. აზნაური; 35 თერგი; 36. ემალი.



ИНДЕКС 76157